

სამართლო

დაცები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო
პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოქებნა
შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-
გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2024, №2

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2024, №2

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2024, №2

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2024, №2

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი
გარიგა გაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საქითხები

1. სამშენებლო სამართალდარღვევა

სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტა ლეგალიზების გამო	4
უნებართვოდ განხორციელებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების დემონტაჟის დავალების თაობაზე აქტის კანონიერება	19
სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე განხორციელებული ავტოფარეხის მშენებლობა	40
სამშენებლო სამართალდარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმისგან გათავისუფლების საფუძველი	61
სამშენებლო სამართალდამრღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი	74
უსაფრთხოების წესების დაუცველად მშენებლობის წარმოებისას საშეღავთო დანაწესის გამოყენების კანონიერება	95

2. სხვა სამშენებლო დავები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა	120
მინის ნაკვეთზე სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა	146
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა თანხმობის გარეშე სარეკლამო აბრის მოწყობისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების კანონიერება	168

1. სამშენებლო სამართალდარღვევა

სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეცვალა დაგანვიზუალიზაციის გამო

განხილვა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

№ბს-1043(23-20)

15 ნოემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ბ. სტურუა

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

მ. მ-ე 2016 წლის 10 მაისს სარჩელით მიმართა თბილისის საქა-
ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპა-
სუხეების – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილი-
სის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამ-
სახურის მიმართ და სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შემ-
დეგ ჯარიმის ნაწილში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზე-
დამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 15 იანვრის №000639 დადგენილებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მე-
რის 2016 წლის 26 ივნისის №1-1343 ბრძანების ბათილად ცნობა
მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, ქ. თბილისში, ...ის ქ. №65-67-69-ში
მდებარე (საკადასტრო კოდი ...) საკუთრებაში არსებულ ინდივი-
დუალურ საცხოვრებელ სახლზე, მისივე დაკვეთით 2015 წლის გან-
ხორციელებული უნებართვო დაშენებისათვის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 15 იანვრის №000639 დადგენი-
ლებით დაჯარიმდა 8000 ლარით და დაეგანა მშენებლობის დემონ-
ტაციი. თუმცა იმის გამო, რომ აპირებდა მშენებლობის ლეგალიზე-
ბას, ამასთან, დაშენების დემონტაციი დააზიანებდა პირველ სარ-
თულს და მიაყენებდა ზიანს, არ შესრულდა უნებართვო მშებელო-
ბის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს მითითება და დაჯარი-
მების შესახებ აქტი გასაჩივრდა თბილისის მუნიციპალიტეტის მე-
რიაში, სადაც წარდგენილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია. მოსარ-

ჩელებმ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას მოითხოვა სხდომის გადადება ექსპერტიზის დასკვნის წარსადგენად, რითაც დადასტურდებოდა, რომ ქალაქ თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 15 იანვრის დადგენილება ზიანს აყენებდა არამარტო მ. მ-ეს, არამედ მის მეზობლად მცხოვრებ ორ პიროვნებას: ა. ი-ეს და რ. ა-ეს, რომელთა დაინტერესებულ პირებად ჩართვა არ უზრუნველყო ქ. თბილისის მერიამ.

სარჩელში ასევე აღნიშნულია, რომ 2016 წლის 04 მარტს მ. მ-ემ წარადგინა ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დადგენილია, რომ ქ. თბილისში, ...ის ქუჩის №65-67-69 საცხოვრებელ სახლზე დაშენებული მეორე სართულის დემონტაჟი შესაძლებელია, თუმცა სახურავის, რკ/ბეტონის სარტყელის და მზიდი კედლების დემონტაჟის დროს დაზიანდება №65 და №69 სახლების მომიჯნავე კედლების ზედაპირი და სახურავის საფარი, ასევე შესაძლოა დაზიანდეს მ. მ-ის №67 სახლის პირველი სართულის გადახურვა და ჭერი. აღნიშნული დასკვნის შინაარსის სანინააღმდეგოდ, უშუალოდ არქიტექტურის სამსახურის მიერ არ არის გაცემული დასკვნა, შესაძლებელი იყო თუ არა ქალაქ თბილისში, ...ის №65-67-69 სახლის დემონტაჟი, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენდა დადგენილების გამოტანისას. ამდენად, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ საჩივრზე პასუხი მიღებული იქნა საქმის გარემოებების არასრულყოფილი შესწავლის შედეგად, კანონის არსებითი დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე, სადაც მიწვეული არ ყოფილან დაინტერესებული პირები, ამასთან, არ არის გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ საჯარო რეესტრიდან ამონანერის თანახმად, ქალაქი თბილისში, ...ის №65-67-69 მესაკუთრეს წარმოადგენენ არამხოლოდ მ. მ-ე, არამედ ა. ი-ე და რ. ა-ე.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას დაირღვა ადმინისტრაციული წარმოებისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 96-ე, და 97-ე მუხლები, შესაბამისად, სახეზე იყო სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის წინაპირობები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2018 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით მ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისში, ...ის ქუჩაზე №65-67-69-ში (ს.კ....) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების დაზუსტებული ფართობი: 194 კვ.მ, საკუთ-

რების უფლებით 24.06.2015 წლიდან აღრიცხულია მ. მ-ის სახელზე. საქმეში არსებული მტკიცებულებების გარდა, მისივე ახსნა-განმარტებით დადასტურებულია 2015 წლს სამშენებლო სამუშაოების მისი დაკვეთით განხორციელების ფაქტი საკუთრებაში არ-სებულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლზე (№69), კერძოდ, უნებართვოდ დაშენება. სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია უნებართვო მშენებლობის თაობაზე მოპასუხის მიერ გამოცემული აქტების: მითითებისა და შემონმების აქტის მხარეზე ჩაბარება.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიუთითა სადაც პერიოდში მოქმედ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველ პუნქტსა და ამავე დადგენილების 66-ე მუხლის პირველ, მე-7 და მე-10 პუნქტებზე და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ განხორციელდა უნებართვო მშენებლობა, რაც „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 14.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს აძლევდა უფლებამოსილებას მიეღო 2016 წლის 15 იანვრის №000639 დადგენილება ქ. თბილისში, ...ის ქ. №65-67-69-ში მდებარე ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლზე უნებართვოდ დაშენებისთვის მ. მ-ის დაჯარიმების თაობაზე. აქედან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ საფუძვლინად მიიჩნია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 44.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მ. მ-ისათვის სახდელის სახით 8000 ლარის ოდენობით შეფარდება.

რაც შეეხება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის 26 ივლისის №1-1343 ბრძანების კანონიერებას, რომლითაც არ დაქმაყოფილდა მ. მ-ის ნარმომადგენლის 08.02.2016 წლის ადმინისტრაციული საჩივარი და ძალაში დარჩა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 15 იანვრის №000639 დადგენილება, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და საჩივრის განმხილველმა ორგანომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესწავლის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, რის გამოც არ არ-სებობდა აღნიშნული ბრძანების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი, შესაბამისად მ. მ-ის საჩივლი არ დაქმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო

წესით გაასაჩივრა მ. მ-ემ, რა დროსაც მოპასუხედ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად მიუთითა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება, მ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. მ-ის სარჩევლი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გადაწყვეტილების გამოტანიდან ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 15 იანვრის №000639 დადგენილება მ. მ-ის 8000 ლარით დაჯარიმების ნაწილში; ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 15 იანვრის №000639 დადგენილების მე-2 პუნქტი (რომლითაც მ. მ-ს დაევალა განხორციელებული დაშენების დემონტაჟი) გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან; გადაწყვეტილების გამოტანიდან ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის 26 ივლისის №1-1343 ბრძანება; საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე მ. მ-ე გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა.

სააპელაციო პალატამ საქმეში ნარმოდგენილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 10 დეკემბრის №4294992 ბრძანებით დაადგინა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660 ბრძანებულებით დამტკიცებული „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის“ პირველი მუხლის თანახმად, მ. მ-ის განცხადება დაკმაყოფილდა და ლეგალიზებულად ჩაითვალა ქ. თბილისში, ...ის ქ. №67-ში უნებართვოდ აშენებული საცხოვრებელი სახლის ფართი, რის გამოც არ არსებობდა მისი დემონტაჟის დავალების საფუძველი. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ წინამდებარე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად ცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 15 იანვრის №000639

დადგენილების მე-2 პუნქტი (რომლითაც მ. მ-ეს დაევალა განხორციელებული დაშენების დემონტაჟი). მ. მ-ის 8000 ლარით დაჯარიმების ნაწილში ამავე დადგენილების კანონიერებასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ იმ პირობებში, როდესაც მ. მ-ემ აღიარა მის მიერ უნებართო სამშენებლო სამუშაოების წარმოების ფაქტი, ნაგებობის დემონტაჟზე აცხადებდა უარს, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ არ იყო მიღებული გადაწყვეტილება სადაც ამ პირობებში ლეგალიზების შესახებ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობსა საქალაქო სამსახურის უფლებამოსილი იყო საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მიეღო დადგენილება ამავე კოდექსის კოდექსის 44.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული – 8000 ლარის ოდენობით, ქ. თბილისში, ...ის ქ. №65-67-69-ში, ს.კ. ... ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლზე უნებართვოდ დაშენებისთვის მ. მ-ის დაჯარიმების თაობაზე.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ კონკრეტული სამართალდარღვევისთვის კანონმდებლობით მხოლოდ ერთი საწყისი გათვალისწინება არ გამორიცხავდა საქმეზე შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების დადგენას და გათვალისწინებას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგად ნაწილში მოცემული მოწესრიგება ზოგადია ყველა სამართალდარღვევისათვის. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს უზრუნველყოფისა და მოწესრიგების 2019 წლის 20 დეკემბრის №ბს-638(2კ-17) განჩინებაზე, სადაც აღნიშნულია, რომ მართალია, სამშენებლო სამართალდარღვევები ცალკე კანონებითა მოწესრიგებული, თუმცა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მოცემული მოწესრიგება არ არის სხვაგვარად მოწესრიგებული სპეციალურ კანონმდებლობაში, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში. ზოგადი წესი, რომელიც მცირე მნიშვნელობის სამართალდარღვევას აწესრიგებს, ვრცელდება ყველა სახის სამართალდარღვევაზე, თუ ისინი სპეციალური კანონით არ არის სხვაგვარად მოწესრიგებული, მათ შორის, სამშენებლო კანონმდებლობით. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველი შემთხვევის მომწესრიგებული სამართლებრივი აქტები არ შეიცავენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინების დაუშვებლობაზე მითითებას, არ შეიცავენ აღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღების გამომრიცხავ რაიმე დებულებას, შესაბამისად პალატამ მიიჩნია, რომ უფლებამოსილი იყო მოსარ-

ჩელისათვის სანქციის შეფარდების საკითხზე ემსჯელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე და 34-ე მუხლების დანაწესის გათვალისწინებით, რაც გულისხმობდა მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევის ჩადენისას საქმის გადასაწყვეტად უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) შესაძლებლობას გაეთავისუფლებინა დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადებით, ასევე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოების მხედველობაში მიღებას. ჯარიმის გამოყენების მიზანშეუწოდებაზე მსჯელობისას საპატარაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლის მე-11 ნაწილის იმპერატიულ დანაწესზე, რომლის მიხედვითაც სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის ორგანო წყვეტს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას, თუკი „პროექტის შემთანხმებელმა და მშენებლობის ნებართვის გამცემმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება ობიექტის ლეგალიზების შესახებ“. ხსენებული დანაწესის კანონში შემოტანით ცხადია, რომ კანონმდებელი უშვებს სრულ შესაძლებლობას, მიუხედავად დადასტურებული სამართალდარღვევისა, აღარ გააგრძელოს საქმისწარმოება, არ დაუდგინოს სუბიექტს სანქცია, რამეთუ დადგა ვითარება, როცა სამართალდარღვევის ობიექტი უკვე მოექცა კანონიერ ჩარჩოში და მოხდა მისი ლეგალიზება. აღნიშნული მსჯელობის შესაბამისად, საპატარაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან ამჟამინდელი მდგომარეობით მოსარჩელის მიერ სამართალდარღვევის მავნე შედეგები თავიდან იქნა აცილებული თავად მ. მ-ის აქტიური მოქმედების შედეგად, კერძოდ, 2018 წლის შემდგომ მ. მ-ის მიერ უნებართვოდ აშენებული ფართი სახელმწიფოს მიერ ლეგალიზებულია, მოსარჩელის მიმართ არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად, დაკისრებული სანქციისაგან გათვისუფლებისა და სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადების საფუძლი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილების გამოტანიდან ბათილად ცნო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 15 იანვრის №0000639 დადგენილება მ. მ-ის 8000 ლარით დაჯარიმების ნაწილში. ამასთან, ბათილად ცნო ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის 26 ივლისის №1-1343 ბრძანება და მის კანონიერებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, წინა სასარ-

ჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების თანმდევ შედეგს წარმო-ადგენდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2020 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მუნიციპალურმა ინსპექცი-ამ. კასატორებმა გაასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორების განმარტებით, მშენებლობის ნებართვასთან და-კავშირებულ საჯარო სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირე-ბას სადაც აქტების გამოცემის დროს ახდენდა „მშენებლობის ნე-ბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ სა-ქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება, რომელიც არეგულირებდა საქართველოს ტერიტორიაზე მშენებ-ლობის ნებართვის გაცემის, სანებართვო პირობების შესრულები-სა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესს. აღ-ნიშნული დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბა-მისად, მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვე-ლია კანონმდებლობით, მათ შორის, ამ დადგენილებით განსაზ-ლვრულ შემთხვევებში სათანადო წესით მიღებული მშენებლობის ნებართვა. შესაბამისად, ნებართვის გარეშე მშენებლობის წარმო-ება განიხილება უნებართვო მშენებლობად, რომელიც ამავე დად-გენილების 3.74 მუხლის მიხედვით, განმარტებულია, როგორც მშე-ნებლობის ნებართვას დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობა მშენებლობის ნებართვის გარეშე, ან/და დროებითი შენობა-ნაგებობის განთავსება სანებართვო მოწმობით განსაზ-ლვრული გამოყენების პერიოდის გასვლის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, უნე-ბართვო მშენებლობისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებუ-ლია შესაბამისი პასუხისმგებლობა – დაჯარიმება 8000 (რვა ათასი) ლარით. იმის გათვალისწინებით, რომ მ. მ-ებ ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩის №65-67-69-ში (საკ. კოდი ...) შესაბამისი სამშენებლო-სანე-ბართვო დოკუმენტაციის გარეშე განახორციელა მშენებლობა, 2015 წლის 8 ოქტომბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა მისცა მითითება და გა-ნესაზღვრა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე შესაბამისი სამშე-ნებლო სანებართვო დოკუმენტაციის წარსადგენად. აღნიშნული მითითება მხარეს პირადად ჩაბარდა 2015 წლის 19 ოქტომბერს. 2015 წლის 19 ნოემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მე-

რიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა №00639 შემონმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა 2015 წლის 8 ოქტომბრის №00639 მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა, ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში 2015 წლის 24 დეკემბერს გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომაზე მ. მ-ემ დაადასტურა მითითებისა და შემონმების აქტის ჩაბარება და დამატებით განმარტა, რომ სამშენებლო სამუშაოები მისი დაკვეთით განხორციელდა 2015 წელს, აღნიშნულ მშენებლობაზე ნებართვის მოსაპოვებლად 2015 წლის 4 სექტემბერს მიმართული ჰქონდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისთვის საცხოვრებელ სახლზე პროექტის შეთანხმების შესახებ AR1339215 განაცხადით.

კასატორები განმარტავენ, რომ ვინაიდან 2015 წლის 4 სექტემბერს წარდგენილ განაცხადზე, სამსახურის 2015 წლის 17 სექტემბრის №2194533 შუალედური გადაწყვეტილებით, განმცხადებელს განემარტა რიგი ხარვეზები და საბოლოოდ განცხადება დარჩა განუხილველი, რაც მ. მ-ის მიერ არ გასაჩივრებულა, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660 ბრძანებულებით დამტკიცებული „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-8 მუხლის თანახმად, არსებობდა შესაბამისი ორგანოს მიერ ლეგალიზებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, უნებართვოდ და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების წინაპირობები, შესაბამისად, სამართლებრივი ნორმების სრული დაცვით, მოსარჩევე მ. მ-ეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 15 იანვრის №000639 დადგენილებით დაკვისრა ჯარიმა – 8000 ლარის ოდენობით და დაევალა უნებართვო მშენებლობის დემონტაციი.

საკასაციო საჩივრის ავტორები არ იზიარებენ სააპელაციო პალატის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 20 დეკემბრის №ბს-638-634(2კ-17) განჩინებაზე მითითებასა და მ. მ-ის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე დაკისრებული სანქციისგან გათავისუფლებისა და სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადების შესახებ მსჯელობას და აღნიშნავენ, რომ საქმის გადასაწყვეტად უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია გაათავისუფლოს დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხის-

მგებლობისაგან და დასჯერდეს სიტყვიერ შენიშვნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილია მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევა, თუმცა სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია იმის თაობაზე, თუ რატომ იქნა მიწნეული მ. მ-ის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევა მცირე მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ გადაცდომად, მით უფრო მაშინ, როდესაც მ. მ-ის მიერ არ შესრულდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 17 სექტემბრის №2194533 შუალედური გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზი ვადაშნ და აშათან, როგორც აღინიშნა, უარი განაცხადა დაშენების დემონტაჟზე, რაც კასატორების მოსაზრებით, ცხადყოფს მის ბრალს, აღნიშნული კი თავის თავში გულისხმობს სამართალდარღვევის დამოკიდებულებას მის მიერ განხორციელებული ქმედების მიმართ. ამასთან, დაუსაბუთებელი სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობის და ნაწილობრივ ბათილად ცნობის ნაწილში, რამდენადაც სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს მსჯელობას აღნიშნული თვალსაზრისით. მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, კასატორები მიიჩნევენ, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა სამართლის ნორმების დარღვევით, რამაც შემდგომ მიღებული გადაწყვეტილების შინაარსზე იმოქმედა, შესაბამისად, მოითხოვეს საკასაციო საჩივრების დასაშვებად ცნობა და საქმის არსებითად განხილვის შედეგად საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 7 ივნისის განჩინებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა ცნობილი და მიღებულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა პოზიციების გაცნობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საკასაციო საჩივრები დასაშვებად და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა მიუთითებს სადაც პერიოდში მოქმედ „შენებლობის ნებართვის გაცემის ნესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57

დადგენილებაზე (ძალადაკარგულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 მარტის №139 დადგენილებით), რომელიც არეგულირებდა საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებულ საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებს. მითითებული დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეკონსტრუქცია მიეკუთვნება მშენებლობის ერთერთ სახეობას და განიხილება ახალ მშენებლობად. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციას წარმოადგენს შენობა-ნაგებობებზე ახალი სართულ(ებ)ის დაშენება, ან არსებული სართულ(ებ)ის დემონტაჟი, აგრეთვე მისი ნებისმიერი სართულის განაშენიანების ფართობის შეცვლა 1 მ²-ზე მეტად; დასახელებული დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციაზე გაიცემა მშენებლობის ნებართვა.

ამრიგად, მშენებლობის ნებართვას დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია მშენებლობის ნებართვის გარეშე, მიჩნევა უზენაართოვ მშენებლობად, რისთვისაც პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით გათვალისწინებულია შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. აღნიშნული კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის თანახმად, უზენაართვო მშენებლობის წარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაც ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, რომელიც იწვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას, კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, გამოიწვევს დაჯარიმებას – 8000 ლარის ოდენობით.

განსახილველ შემთხვევაში 2015 წლის 19 ნოემბერს მ. მ-ის მიმართ შედგენილი №000639 შემოწმების აქტით დადგენილია, რომ მოსარჩელის მიერ არ შესრულდა 2015 წლის 8 ოქტომბერს შედგენილი №000639 მითითება, რომლის თანახმადაც, ქ. თბილისში, ...ის ქ. №65-67-69-ში მდებარე ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლზე მ. მ-ემ შესაბამისი სამშენებლო-სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე განახორციელა დაშენება, ხოლო დარღვევის გამოსწორების მიზნით მ. მ-ეს დაევალა შესაბამისი სამშენებლო-სანებართვო დოკუმენტაციის წარმოდგენა ან ობიექტის დემონტაჟი უსაფრთხოების წესების დაცვით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სა-

ქალაქო სამსახურის 2016 წლის 15 იანვრის №000639 დადგენილებით, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მ. მ-ე დაჯარიმდა 8000 ლარით და ამავე დადგენილებით მას დაევალა ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლზე უნებართვოდ განხორციელებული დაშენების დემონტაჟი. აღნიშნული დადგენილება გასაჩივრდა ადმინისტრაციული საჩივრით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, სადაც 2016 წლის 4 მარტს მ. მ-ემ ნარადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელმძის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №500108616 ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დადგენილია, რომ ქ. თბილისში, ...ის ქუჩა №65-67-69 საცხოვრებელ სახლზე დაშენებული მეორე სართულის დემონტაჟი შესაძლებელია, თუმცა სახურავის, რკ/ბეტონის, სარტყლის და მზიდა კედლების დემონტაჟის დროს დაზიანდება №65 და №69-ში სახლების მომიჯნავე კედლების ზედაპირი და სახურავის საფარი, ასევე შესაძლოა დაზიანდეს მ. მ-ის (№67) პირველი სართულის გადახურვა და ჭერი. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 26 ივლისის №1-1343 ბრძანებით, მ. მ-ის ადმინისტრაციული საჩივრი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემონტებიდან გამომდინარე, დადასტურებულია მ. მ-ის მიერ სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, რასაც ეს უკანასკნელიც არ ხდის სადავოდ, რის საფუძველზეც შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მის მიმართ შედგა მითითება, შემდგომ შემონმების აქტი და დარღვევის გამოუსწორებლობის გამო, სადავო დადგენილებით მას შეეფარდა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული ჯარიმა. აღსანიშნავია ისიც, რომ თავად ლეგალიზების განხორციელების საჭიროება და ლეგალიზების ფაქტიც ადასტურებს მოცემულ შემთხვევაში სამშენებლო სამუშაოების უნებართვო ხასიათს. განსახილველ შემთხვევაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 10 დეკემბრის №4294992 ბრძანების თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660 ბრძანებულებით დამტკიცებული „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის“ პირველი მუხლის თანახმად, მ. მ-ის განცხადება დაკმაყოფილდა და ლეგალიზებულად ჩაითვალა ქ. თბილისში, ...ის ქ. №67-ში უნებართვოდ აშენებული საც-

ხოვრებელი სახლის ფართი.

საკასაციონ პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული პრინციპების ყველა სახის სამართლდარღვევაზე გავრცელების შესახებ (თუ სპეციალური კანონით არ არის სხვაგვარად მოწესრიგებული), და დამატებით განმარტავს, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, იურიდიული პასუხისმგებლობის სხვა სახეების მსგავსად, კანონიერების, სამართლიანობის, პასუხისმგებლობის გარდაუვალობის და ა.შ. პრინციპებს ეფუძნება, ანუ პრინციპთა ერთიან სისტემას, რომლებიც ასახავენ მის შინაარსს, არსს, ფუნქციებსა და რეალიზაციის ფორმებს. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის პრინციპები ასახავენ მის ობიექტურ არსს, მიზნებს, ბუნებას და დანიშნულებას. პასუხისმგებლობის ზომების განსაზღვრის დროს კანონმდებელი შეზღუდულია სამართლიანობის, პროპორციულობის და სამართლის სხვა კონსტიტუციური და ზოგადი პრინციპების მოთხოვნებით.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებისას კანონმდებლის უპირატესი მიზანია არსებული სამართალდარღვევის აღმოფხვრა, მისი გამოსწორება და არა დამრღვევის დასჯა (სუსგ №ბს-468-465(კ-17), 21.01.2020 წ.), მათ შორის, საჯარო ინტერესების აღდგენა და წარმოშობილი ზიანის კომპენსაცია. ამასთან, სამართალდარღვევისათვის დაწესებული პასუხისმგებლობის ზომა უნდა ითვალისწინებდეს მართლსაწინააღმდეგო მოქმედების (უმოქმედობის) შედეგს და პროპორციული უნდა იყოს ამ სამართალდარღვევის შედეგად საჯარო წესრიგის დარღვევის ხარისხთან. ამდენად ცალსახაა, რომ მარტოოდენ სამართალდამრღვევის დასჯა არ უნდა ატარებდეს მხოლოდ რეპრესიულ ხასიათს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი. ნინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა ადმინისტრაციული სამართლის ისეთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი, როგორიცაა კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი. აღსანიშნავია ისიც, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი აკრძალვა მიმართულია უნებართვი მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის ნარმოების ნინააღმდეგ და ადგენს სანქციის კონკრეტულ ზომას, შესაბამისად, დასახელებული ნორმა დავის თავისებურებების გათვალისწინებით არ იძლევა ჯარი-

მის მინიმუმის ან მაქსიმუმის განსაზღვრის შესაძლებლობას. თუმცა ამა თუ იმ სამართალდარღვევაზე კანონმდებლობით სანქციის მხოლოდ კონკრეტული ზომის გათვალისწინება არ გამორიცხავს საქმეზე შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გამოყენებას.

პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 264-ე მუხლის მიხედვით, ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმების განხილვისას მოვალეა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეული თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მიყენებულია თუ არა ქონებრივი ზარალი... აგრეთვე გამოარკვიოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მართალია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის მომენტისთვის პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით აკრძალული ქმედება სახეზე იყო, თუმცა სახდელის დადების თაობაზე სადაც დადგენილების გამოტანის შემდეგ ამ ნორმით გათვალიწინებული დარღვევა აღმოფხვრილი იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 10 დეკემბრის №4294992 ბრძანების გამოცემით, რომლითაც უნებართვო მშენებლობა მოექცა კანონიერ ჩარჩოში – ჩაითვალა ლეგალიზებულად. შესაბამისად, მოსაზრების აქტიური მოქმედების საფუძველზე შეცვლილი ვითარება იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ ჩადენილი სამშენებლო სამართალდარღვევა შეფასებულიყო მცირემნიშვნელოვან დარღვევად და გამოყენებულიყო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული საშეღავათო დანაწესი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „სანქციის შეფარდების დრო მოიცავს არა მხოლოდ ორგანოს მიერ მისი გამოყენების მომენტს, არამედ აგრეთვე ზემდგომი ორგანოების ან სასამართლოს მიერ სანქციის გამოყენების კანონიერების შემოწმების პერიოდს... ვითარების შეცვლა, საზოგადოებრივი საშიშროების განმსაზღვრელი პირობების გაუქმება, როგორც პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი უნდა შეფასდეს დავის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე“ (სუსგ 19.10.2017 წ. №ბს-360-357(2-კ-17); სუსგ 13.07.2022 წ. №ბს-504-504(3-კ-18)).

ამდენად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ სააპელაციო სასა-

მართლო უფლებამოსილი იყო მოსარჩელისათვის სანქციის შეფარდების საკითხზე ემსჯელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის დანაწესის გათვალისწინებით (სუსგ 20.12.2019წ. №ბს-638-634(2_17); სუსგ 20.12.2019წ. №ბს-926-922(2_17); სუსგ 10.11.2022წ. №ბს-320(2_21)).

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 20 დეკემბრის №ბს-638-634(2_17) განჩინებაზე მითითების უსაფუძლობასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ დასახელებული განჩინება სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მოხმობილია იმ კუთხით, რომ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე სანქციის შეფარდების საკითხზე მსჯელობისას სასამართლო უფლებამოსილია იხელმძღვანელოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის ზოგად ნაწილში მოცემული მოწევს-რიგებით, რომელიც ზოგადია ყველა სამართალდარღვევისათვის, თუ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მოცემული მოწევსრიგება არ არის სხვაგვარად მოწევსრიგებული სპეციალურ კანონმდებლობაში, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში, რასაც ეთანხმება და იზიარებს საკასაციო სასამართლოც.

ამასთან, განსახილველ საქმეზე შექმნილ ვითარებაში, ჯარიმის გამოყენების მიზანშეუწონლობაზე მსჯელობისას სააპელაციო პალატამ ასევე მართებულად გაამახვილა ყურადღება პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისიუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის მე-11 ნაწილის დანაწესზე, რომლის მიხედვითაც, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ პროექტის შემთანხმებელმა და მშენებლობის ნებართვის გამცემმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება იბიექტის ლეგალიზების შესახებ. სენებული დანაწესის კანონში შემოტანით კანონმდებელ უშვებს შესაძლებლობას, მიუხედავად დადასტურებული სამართალდარღვევისა, აღარ გააგრძელოს საქმისნარმოება, არ შეუფარდოს სუბიექტს სანქცია, რამეთუ დადგა ვითარება, როდესაც სამართალდარღვევის ობიექტი უკვე მოექცა კანონიერ ჩარჩოში და მოხდა მისი ლეგალიზება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 24.11.2007წ. №660 ბრძანებულებით დამტკიცებული „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ირგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვე-

ტილების მიღების წესის“ თანახმად, ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას. მოცემულ შემთხვევაში, უნებართვო მშენებლობის ლეგალიზებით ად- მინისტრაციულმა ორგანომ ფაქტობრივად უარი თქვა მისი დემონ- ტაჟის განხორციელებაზე და ამდენად არ არსებობდა სადაცო აქ- ტებით გათვალისწინებული დემონტაჟის დავალების ძალაში და- ტოვების საფუძველი (სუსგ 13.07.2022წ. №ბს-504-504(3-18)). შე- საბამისად მართებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ქა- ლაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სა- ქალაქო სამსახურის 2016 წლის 15 იანვრის №000639 დადგენილე- ბის მე-2 პუნქტის (რომლითაც მ. მ-ეს დაევალა განხორციელებუ- ლი დაშენების დემონტაჟი) ძალადაკარგულად გამოცხადების თა- ობაზე. ასევე, თანმდევი შედეგის სახით, არსებობდა ადმინისტრა- ციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბი- ლისის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის 26 ივლისის №1-1343 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სა- სამართლო მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მე- რიის საკასაციო საჩივარი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპე- ლაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად- მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა- წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუ- ნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის (ზედამხედ- ველობის საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლის) საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ად- მინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 21 ივლისის გადაწ- ყვეტილება;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლო- ოა და არ საჩივრდება.

**უცხაროთვოდ განხორციელებული სარეკონსტრუქციო
სამუშაოების დემონტაჟის დავალების თაობაზე აპტის
კანონიერება**

**განჩინება
საცაროთვებოს სახელით**

№ბს-216(2კ-22)

24 ნოემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. სტურუა,
გ. გოგიაშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 17 აპრილს თ. პ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმარ-
თა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
კოლეგიას მოპასუხების – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიცი-
პალური ინსპექციის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტე-
ტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის
30 აგვისტოს №001617 დადგენილებით იგი დაჯარიმებულ იქნა სამ-
შენებლო სამართალდარღვევის საქმეზე, კერძოდ, ქალაქ თბილის-
ში, ...ის ქ. №7-ში მდებარე შენობა-ნაგებობაზე შესაბამის სანე-
ბართვო დოკუმენტაციის გარეშე რეკონსტრუქციის განხორციე-
ლებისათვის. მოსარჩელე მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნულ დად-
გენილებაში დაშვებულია შეცდომა, კერძოდ, კონკრეტულად არ
არის განსაზღვრული სამართალდარღვევის სახეობა შესაბამის ჩა-
მონათვალში. ამასთან, სამართალდარღვევის სახით განსაზღვრუ-
ლი დარღვევა ექვემდებარება ლეგალიზებას, რაზედაც მას წარ-
დგენილი ჰქონდა განცხადება მისი დაკანონების შესახებ, რაც, ასე-
ვე, არის სადაცო. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნულის
გათვალისწინებით, მას პირველ რიგში უნდა მიეცეს შესაძლებლო-
ბა, რომ მოახდინოს სამართალდარღვევის გამოსწორება მისი და-
კანონების გზით.

ამდენად, მოსარჩელემ სამშენებლო სამართალდარღვევის საქ-
მეზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედვე-

ლობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 30 აგვისტოს №001617 დადგენილებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 6 მარტის №195 ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2019 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. პ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის 2017 წლის 16 აგვისტოს ამონანერის თანახმად, ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №7-ში, №... საკადასტრო კოდის მქონე 36 კვ.მ უძრავი ქონების მესაკუთრეს წარმოადგენს თ. პ-ა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2016 წლის 28 ივნისს შედგენილ იქნა №4-6/თ-679-16 დათვალიერების ოქმი, რომლითაც დგინდება, რომ მოქალაქე მ. ნ-ის 2016 წლის 14 აპრილის №176418/12 განცხადების საფუძველზე, დათვალიერებულ იქნა თ. პ-ას საკუთრებაში არსებულ ფართზე განხორციელებული უნებართვი სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოები. ამვევ დათვალიერების ოქმში თ. პ-ას მერ მითითებულ იქნა, რომ ...ის ქ. №7-ში, მის საკუთრებაში მქონე ფართზე, მან დაახლოებით 2004 წელს ანარმოა სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოები.

სასამართლომ, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 28 ივნისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ თ. პ-ას მიმართ შედგა №001617 მითითება, რომლითაც დადგინდა, რომ მოსარჩელის მიერ ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №7-ში განხორციელებული იყო ლიტერ „გ“ შენობის უნებართვი რეკონსტრუქცია, რამაც გამოიწვია შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილება. ასევე, მონაცვლებული იყო კიბე, ბაქანი, დამატებული იყო კარ-ფანჯრები გისოსებით, კონდიციონერი, გამწოვი მილი, სატელიტური ანტენა, ფანჯრებზე დამატებული იყო გისოსები. დარღვევის გამოსხივების მიზნით, თ. პ-ას დაევალა სამშენებლო სამუშაოების შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარდგენა ან ობიექტის დემონტაჟი უსაფრთხოების ნორმების დაცვით. მოსარჩელეს დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ინსპექტორებისა და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ტერიტორიის დაცვის სამმართველოს ...ის რაიონული განყოფილების მთავარმა საეცილისტმა 2016 წლის 1 აგვისტოს №442 მოხსენებითი ბარათით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს და მოითხოვა ქალაქ თბილის-

ში, ...ის ქ. №7-ში არსებულ შენობა-ნაგებობაზე უნებართვოდ განხორციელებულ სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოებთან დაკავშირებით 2016 წლის 28 ივნისის №001617 მითითებით განსაზღვრული ვადის შეჩერება, ვინაიდან 2016 წლის 29 ივლისს თ. პ-ამ განცხადებით (№AR1427754) მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა მის მიერ უნებართვოდ აშენებული ობიექტის ნაწილების ლეგალიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 4 აგვისტოს №2757879 ბრძანებით თ. პ-ას 2016 წლის 29 ივლისის №AR1427754 განცხადება დატოვებულ იქნა განუხილველად.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2017 წლის 1 მაისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ შედგენილ იქნა №001617 შემოწმების აქტი, რომლითაც დადგინდა, რომ თ. პ-ას მიერ არ იქნა შესრულებული №001617 მითითების პირობები.

სასამართლომ, ასევე, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა „კ...ის“ 2017 წლის 25 ივნისის №85 კრების ექმის თანახმად, თ. პ-ას ნება დაერთო, მოქმედინა მის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების, კერძოდ, ქალაქ თბილისში, ...ის №7-ში ნაწარმოები მე-2 სართულის დაშენების ლეგალიზება, 33.1 კვ.მ ფართის ოდენობით, რომელიც მის მიერ 2007 წლამდე იქნა ნაწარმოები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 30 ივნისის №4-3/98გ-117 ბრძანების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 28 ივნისის №001617 მითითების საფუძველზე (შემოწმების აქტი №001617 შედგენილი 2017 წლის 1 მაისს), თ. პ-ას მიმართ დაწყებული სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის განხილვის ვადა გაგრძელდა 2 (ორი) თვით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2017 წლის 30 აგვისტოს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ინსპექტირებისა და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ტერიტორიის დაცვის სამმართველოს ...ის რაიონული განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა №433 მოხსენებითი ბარათით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს და განმარტა, რომ ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩის №7-ში არსებულ შენობა-ნაგებობაზე უნებართვოდ განხორციელებულ სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოებთან დაკავშირებით, მესაკუთრის – თ. პ-

ას მიმართ შედგა 2016 წლის 28 ივნისის №001617 მითითება და მას დაევალა 30 კალენდარული დღის ვადაში წარედგინა ხსენებული სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების კანონიერების და-მადასტურებელი დოკუმენტაცია ან ობიექტი მოეყვანა საინვენტარიზაციო გეგმასთან შესაბამისობაში. 2017 წლის 1 მაისს შედგა №001617 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა, რომ მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები არ შესრულდა.

სასამართლომ, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 30 აგვისტოს №001617 დადგენილებით თ. პ-ა დაჯარიმდა 8 000 (რვა ათასი) ლარით, ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №7-ში (ს.კ. №...) უნებართვოდ სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების განხორციელებისათვის, კერძოდ, განხორციელდა ლიტერ „გ“ შენობის (შენობა №3/2) რეკონსტრუქცია, რამაც გამოიწვია შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილება, ასევე, მონაცვლებული იყო კიბე, ბაქანი, დამატებული იყო კარ-ფანჯრები გისოსებით, კონდიციონერი, გამწოვი მილი და სატელიტური ანტენა, ფანჯრებზე დამატებული იყო გისოსები. ამავე დადგენილებით თ. პ-ას დაევალა, ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №7-ში (ს.კ. №...) მდებარეობით „გ“ შენობის (შენობა №3/2) საინვენტარიზაციო გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ, უნებართვოდ განხორციელებული სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების დემონტაჟი.

2017 წლის 18 სექტემბერს თ. პ-ას წარმომადგენელმა საჩივრით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 30 აგვისტოს №001617 დადგენილების ბათილად ცნობა მოითხოვა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 6 მარტის №195 ბრძანებით თ. პ-ას წარმომადგენლის 2017 წლის 19 სექტემბრის №19/01172622862-01 ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 30 აგვისტოს №001617 დადგენილება.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2017 წლის 29 ოქტომბერს (23.08.2017წ.) №AR 1532687 თ. პ-ამ განმეორებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №7-ში, ნომენკლატურის მიხედვით, მიშენება/დაშენების, ხოლო მოთხოვნის ტექსტის მიხედვით, №3/2 შენობის ლეგალიზება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 3 ნოემბრის

№3657064 ბრძანებით თ. პ-ას №1532687 განცხადება დატოვებული იქნა განუხილველად.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ სამშენებლო სამუშაოების კანონიერად განხორციელების საფუძვლად კანონმდებლობა იმპერატიულად მიიჩნევს შესაბამის საწებართვო დოკუმენტაციას, კერძოდ, I კლასის შენობა-ნაგებობის შემთხვევაში, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განზრახული მშენებლობის შესაძლებლობის თაობაზე გაცემულ დასტურს/თანხმობას, სხვა კლასის შენობა-ნაგებობების შემთხვევაში კი – შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას. ამდენად, სასამართლომ აღნიშნა, რომ პირი, რომელიც გეგმავს მშენებლობის განხორციელებას, გალდებულია სამშენებლო სამუშაოები წარმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნებართვო მშენებლობის სახით ადგილი ექნება სამშენებლო სამართალდარღვევას, რისთვისაც პასუხისმგებლობა, თავის მხრივ, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად განისაზღვრება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ გაიზიარა მოპასუხე მხარის მითითება იმის თაობაზე, რომ თ. პ-ას მიერ წარმოებ სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების წაწილს ესაჭიროებოდა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ნერილობითი ნებართვა, წაწილს კი ამავე ორგანოს დასტური/თანხმობა – ნებართვას საჭიროებდა სადაც დადგენილებით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაო, კერძოდ, ლიტერ „გ“ შენობის (შენობა №3/2) რეკონსტრუქცია, რამაც გამოიწვია შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილება (დაშენებულია მეორე სართული), ხოლო მონაცევლებული კიბის, ბაქანის, კარფანჯრების (გისოსებით), კონდიციონერის, გამწოვი მილის, სატელიტური ანტენისა და ფანჯრებზე დამატებული გისოსების განთავსებას ესაჭიროებოდა უფლებამოსილი ორგანოს დასტური/თანხმობა, თუმცა ყოველივე ზემოაღნიშნული თ. პ-ას მიერ განხორციელებულ იქნა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ნებართვისა და თანხმობის/დადასტურების გარეშე. პირველი ინსტანციის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ მითითებით გათვალისწინებული ვადის შეჩერებისა და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის განხილვის ვადის გაგრძელების მიუხედავად, რამაც მითითების შედგენიდან დადგენილების გამოტანამდე ადმინისტრაციული წარმოების პროცესი ერთი წლისა და ორი თვის ვადით გაახანგრძლივა, მოსარჩევის მიერ არც მშენებლობის

ლეგალიზების თაობაზე შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების წარდგენა განხორციელდა. აღნიშნული კი, სასამართლოს მოსაზრებით, ცალსახად და ნათლად მიუთითებდა სამშენებლო სამუშაოების უნებართვო ხასიათზე, რაც მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წარმოადგენდა სამართალდამრღვევ პირზე შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, როგორც სახდელის გამომტანმა, ისე საჩივრის განმხილველმა ორგანომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესწავლის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, რის გამოც არ არსებობდა სარჩევლის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. პ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩევლის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. პ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ნაწილობრივ გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; თ. პ-ას სარჩევლი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თ. პ-ასათვის ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №7-ში (ს.კ. №...) მდებარე ლიტერ „გ“ შენობის (შენობა №3/2) საინვენტარიზაციო გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანის, კერძოდ, უნებართვოდ განხორციელებული სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების დემონტაჟის ნაწილში (მე-2 პუნქტი), ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 30 აგვისტოს №001617 დადგენილება; თ. პ-ასათვის უნებართვოდ განხორციელებული სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების დემონტაჟის ნაწილში, ბათილად იქნა ცნობილი თ. პ-ას ნარმომადგენლის 2017 წლის 19 სექტემბრის №19/01172622862-01 ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 6 მარტის №195 ბრძანება; თ. პ-ა, „ადმინისტრაციული სახდელსაგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს 2019 წლის 18 სექტემბრის კანონის თანახმად, გათავისუფლდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 30 აგვისტოს №001617 დადგენილებით დაკისრებული ჯარიმისაგან (შესაბამისი

საურავისგან); დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ, მართალია, არსებითად სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, რამაც საბოლოოდ არასწორ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა სასამართლი.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის (სადაც პერიოდში მოქმედი რედაქციით) მე-15 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევა განმარტებულია, როგორც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი მოთხოვნების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა, რისთვისაც პასუხისმგებლობა განსაზღვრულია ამ თავით. ამავე კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილების თანახმად, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას იწყებს დამრღვევის მიმართ მითითების გაცემით, გარდა ამ მუხლის 23-ე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამონტებს დამრღვევს, რაზედაც დგება შემონტების აქტი. შემონტების აქტში აისახება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ: ა) მითითება შესრულდა; ბ) მითითება არ შესრულდა; გ) მითითება არადროულად სრულდება. მითითებული მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად კი, თუ შემონტების აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, აქტის საფუძველზე სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას: ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ; ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე უნებართვო მშენებლობისა და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ; გ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის, მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერებისა და დემონტაჟის შესახებ.

სააპელაციო პალატამ, ასევე, მიუთითა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის წარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის

ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, რომელიც იწვევს შენობა-ნაგებობის გაპრიტების ცვლილებას, გამოიწვევს დაჯარიმებას კერძო საკუთრებაში – 8000 ლარით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით უდავოდ იყო დადგენილი, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 30 აგვისტოს №001617 დადგენილებით, თ. პ-ა დაჯარიმდა 8 000 (რვა ათასი) ლარით, ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №7-ში (ს.კ. №...) უნებართვოდ სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების განხორციელებისათვის, კერძოდ, განხორციელდა ლიტერ „გ“ შენობის (შენობა №3/2) რეკონსტრუქცია, რამაც გამოიწვია შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილება; ასევე, მონაცვლებული იყო კიბე, ბაქანი, დამატებული იყო კარ-ფანჯრები გისოსებით, კონდიციონერი, გამწოვი მილი და სატელიტური ანტენა; ფანჯრებზე დამატებული იყო გისოსები.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სადავო არ იყო თ. პ-ას მიერ უნებართვო სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების განხორციელების ფაქტი. სადავო არ იყო, რომ თ. პ-ამ იმდერატიულად დადგენილ ვადაში ვერ უზრუნველყო განხორციელებული უნებართვო სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების აღმოფხვრა. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები კანონშესაბამისი იყო და სახეზე არ იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით გათვალისწინებული გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის წინაპირობები.

თუმცა, მიუხედავად გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიმართ უნდა გავრცელებულიყო „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათი; კერძოდ, „ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ“ 18.09.2019წ. საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია ერთჯერადი ხასიათის დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით ამავე კანონით განსაზღვრული იმ ფიზიკური პირების ადმინისტრაციული სახდელისგან — ჯარიმისგან და შესაბამისი საურაგისგან გათავისუფლება, რომლებმაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინის-

ტრაციული სამართალდარღვევა 2019 წლის 15 იანვრამდე ჩაიდინეს და რომელთა მიმართაც ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება ამ კანონის ამოქმედებამდე არ აღსრულებულა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამშენებლო სამართალდარღვევაზე, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ერთ-ერთ სახეზე, უნდა გავრცელებულიყო აღნიშნული კანონით გათვალისწინებული შეღავათი. პალატის მითითებით, საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ სამშენებლო სამართალდარღვევა ჩადენილი იყო 2019 წლის 15 იანვრამდე, ხოლო თ. პ-ას ჯარიმის დაკისრების შესახებ დადგენილება გასაჩივრებული იყო და ჯერ არ იყო აღსრულებული. საქმის მასალებით, აგრეთვე, დადგენილი იყო, რომ თ. პ-ა წარმოადგენდა შშმპ – მნიშვნელოვნად გამოხატული სტატუსის მქონე პირს და იმყოფებოდა შესაბამის აღრიცხვაზე (დოკუმენტი წარდგენილი იყო სააპელაციო სასამართლოში და ამ ფაქტს არც ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი ხდიდა სადაცოდ).

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელისგან თავისუფლდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ“ 18.09.2019წ. საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათი ეხებოდა მხოლოდ ჯარიმისაგან და საურავისაგან გათავისუფლებას. გამომდინარე იქიდან, რომ თ. პ-ა წარმოადგენდა შშმ პირს, იგი წარმოადგენდა ზემოაღნიშული კანონის სუბიექტს, შესაბამისად, არსებობდა მისთვის დაკისრებული ჯარიმის ნაწილში კანონით გათვალისწინებული შეღავათის გავრცელების საჭიროება, მასზე დაკისრებული ჯარიმის გაუქმების საფუძველი.

რაც შეეხება უნებართვოდ განხორციელებული სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების დემონტაჟის საკითხს, სააპელაციო პალატამ გაითვალისწინა მსგავს სამართლებრივ საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა (იხ. სუსგ №ბს-204-202(3-12), 14.06.2012წ.) და მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, დემონტაჟს დაქვემდებარებული უძრავი ქონება რეგისტრირებული იყო აპელანტის სახელზე და სადაცო არ იყო აპელანტის საკუთრების უფლება სადაცო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მიხედვით, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებ-

და უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერების მიმართ მოქმედი უტყუარობისა და სისრულის პრეზუმციის მიზანია სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ინტერესების დაცვა და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფა. უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული უფლება მანამდეა კანონიერი, უფლებამოსილ პირს მანამდე შეუძლია თავისუფლად განკარგოს ეს ქონება, ვიდრე რეგისტრაციის საფუძველი (სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება, ადმინისტრაციული აქტი, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და სხვა) არ გაუქმდება, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. საჯარო რეესტრის ჩანაწერების უტყუარობისა და სისრულის პრეზუმციის მოქმედებს იმ დრომდე, ვიდრე პრეზუმირებული ფაქტის უსწორობა არ დამტკიცდება. ეს კი მიიღწევა უფლების საფუძვლად არსებული გარიგების ბათოლობით. უფლების ნამდვილობის გამომრიცხველი გარემოებების არსებობის ფაქტი სასამართლომ უნდა დაადგინოს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მეორე ნაწილის სიტყვა-სიტყვით განმარტებით თუ ვიმსჯელებთ, სასამართლოში საჩივრის (სარჩელის) შეტანა გამორიცხავს ამ ნორმით გათვალისწინებული ვარაუდის მოქმედებას, რაც არასწორია, ვინაიდან მარტოლდენ გასაჩივრების ფაქტი არ აჩერებს საჯარო რეესტრის ჩანაწერების უტყუარობისა და სისრულის პრეზუმციის მოქმედებას, თუ არ დადასტურდა უფლების ნამდვილობის ხარვეზი თავად გარიგების მხარეთა მიერ ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. მანამდე ივარაუდება, რომ რეგისტრაციის შედეგად განხორციელებული ჩანაწერი სწორია და, შესაბამისად, უფლება ნამდვილი (შდრ <HTTP://www.gccc.ge/>, საქ-ის 312-ე მუხლის კომენტარი) (იხ. სუსგ. საქმე №ას-1719-2019, 22.01.20206).

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნინამდებარე შემთხვევაში, დადგენილი იყო, რომ სადავო არ გამხდარა აპელანტის საკუთრების უფლება ან ამ უფლების რეგისტრაციის საფუძველი სადავო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოება, საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმციიდან გამომდინარე, საფუძველს აცლიდა განხორციელებული სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების დემონტაჟის თ. პ-ასათვის დავალებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება თ. პ-ასათვის უნებართვოდ განხორციელებული სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების დემონტაჟის დავალების თაობაზე სადავო

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის ნაწილში (გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-4 და მე-5 პუნქტები) საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ, რომლებმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მიუთითებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლზე, მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრი მხოლოდ ადასტურებს რეგისტრირებული მონაცემების არსებობას, შესაბამისად, იგი არ არის შენობა-ნაგებობის კანონიერების განსაზღვრაზე უფლებამოსილი ორგანო. აღნიშნული მოქმედება უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვის ან ლეგალიზების აქტის გარეშე აზრს უკარგავს საქართველოში მოქმედ სამშენებლო კანონმდებლობას. შედეგად, მარეგისტრირებული ორგანოს ქმედებით სამართლებრივად შეუძლებელი ხდება ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულზე დაკისრებული ერთიანი საჯარო პოლიტიკის განხორციელება, რამდენადაც კონკრეტული სამშენებლო სამუშაოს სამართლებრივ რეჟიმში მოქცევისა და სამოქალაქო ბრუნვის ობიექტად ქცევისათვის საჭირო დოკუმენტის – მშენებლობის ნებართვის ან ლეგალიზების აქტის გვერდის ავლით უძრავი ქონების რეგისტრაცია ენინაალმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს და ფუნქციის გარეშე ტრვებს მშენებლობის ნებართვის გამცემ და სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელ ინგანოებს.

კასატორი მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი უძრავი ნივთების კანონიერების დასადგენად საკმარისად იქნება მიჩნეული მხოლოდ შენობა-ნაგებობების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და არა სათანადო წესით გაცემული ნებართვა ან ლეგალიზების აქტი, მაშინ აზრს დაკარგავს სამშენებლო საქმიანობის სფეროში მოქმედი არაერთი საკანონმდებლო ოუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.

ამდენად, კასატორის მოსაზრებით, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ზემოაღნიშნული სამართლებრივი შეფასებები ცხადყოფს, რომ სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და გადაეთა არასწორი სამართლებრივი შეფასებები. შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ არსებობს გასაჩივრებულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების და ახალი გადაწ

ყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

კასატორი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია მიუთითებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მუნიციპალური ინსპექციის დადგენილება გამოცემულია 2019 წლის 15 იანვრის შემდგომ, ხოლო მუნიციპალური ინსპექციის მოსაზრებით, დადგენილებით, თავის მხრივ, საბოლოოდ დგინდება სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, სასამართლოს მითითება სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით, არასწორია.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მუნიციპალური ინსპექციის 2017 წლის 30 აგვისტოს №001617 დადგენილების მე-2 პუნქტის ბათილად ცნობის ნაწილში დაუსაბუთებელია, რამდენადაც სადავო საკითხის ამგვარი გადაწყვეტით სამართალდამრღვევი პირი ინარჩუნებს შენობა-ნაგებობას სამართალდარღვევის შედეგად წარმოშობილი მდგომარეობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 14 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 29 სეტემბრის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თ. პ-ასათვის უნებართვოდ განხორციელებული სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების დემონტაჟის დაგალების თაობაზე სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო

სამსახურის 2017 წლის 30 აგვისტოს №001617 დადგენილებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 6 მარტის №195 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილებად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო, უპირველესად, აღნიშნავს, რომ განსახილებლ შემთხვევაში, თ. პ-ას მიერ წარმოდგენილი სარჩელით მოთხოვნილ იქნა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 30 აგვისტოს №001617 დადგენილების ბათილად ცნობა, რომლითაც თ. პ-ა კერძო საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე უნებართვოდ წარმოებული სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოებისათვის ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად, როს გამოც მას დაეკისრა სახდელი – ჯარიმა 8000 ლარის ოდენობით და დაევალა უნებართვოდ განხორციელებული მშენებლობის დემონტაჟი. ამავე სარჩელით მოსარჩელემ მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 6 მარტის №195 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი ადმინისტრაციული საჩივარი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 30 აგვისტოს №001617 დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სადაცო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შეფასებისას, სასამართლო იდგა თ. პ-ას სამართალდამრღვევად ცნობის, ასევე, მისთვის ჯარიმის დაკისრებისა და უნებართვოდ განხორციელებული სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების დემონტაჟის დავალების მართლზომიერების შემოწმების საჭიროების წინაშე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თ. პ-ა მართებულად იქნა ცნობილი სამართალდამრღვევად, თუმცა მისი გათვალისწინებით, რომ უნებართვო სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების წარმოების შედეგად წარმოქმნილი ნაგებობა რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში თ. პ-ას საკუთრებად, არსებობდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 30 აგვისტოს №001617 დადგენილებისა და თ. პ-ას წარმომადგენლის 2017 წლის 19 სექტემბრის №19/01172622862-01 ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

2019 წლის 6 მარტის №195 ბრძანების თ. პ-ასათვის უნებართვოდ განხორციელებული სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების დემონტაჟის დავალების ნაწილში ბათილად ცნობის საფუძველი. ამავე გადაწყვეტილებით, სააპელაციო სასამართლომ თ. პ-ა გაათავისუფლა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზე-დამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 30 აგვისტოს №001617 დადგენილებით დაკისრებული ჯარიმისაგან (შესაბამისი საურავისგან), რამდენადაც სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მო-სარჩელე წარმოადგენდა „ადმინისტრაციული სახდელისაგან გა-თავისუფლების შესახებ“ 18.09.2019წ. საქართველოს კანონის სუ-ბიექტს, კერძოდ, ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრებულ იქნა მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ, მხოლოდ თ. პ-ასათვის უნებართვოდ განხორციელებული სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების დემონტაჟის დავალების თაობაზე სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის ნაწილში (გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-4 და მე-5 პუნქტები), ხოლო ადმინისტრაციული სახდელისაგან – 8000 ლარის ოდენობით ჯარიმისაგან თ. პ-ას გათავისუფლების ნაწილში, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ ორგანოებსა არ გაუსაჩივრებიათ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაემაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებიათ. პ-ას. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება თ. პ-ას. სამართალდამრღვევად ცნობისა და მისი დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისაგან – 8000 ლარის ოდენობით ჯარიმისაგან გათავისუფლების ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონშებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში მითოთებული ფაქტებისა. ამავე კოდექსის 409-ე მუხლის მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს სააპელაციო

სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

ამდენად, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების ფარგლებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დგას გასაჩივრებული გა-დაწყვეტილების კანონიერების მხოლოდ თ. პ-ასათვის უნებარ-თვოდ განხორციელებული სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სა-მუშაოების დემონტაჟის დავალების თაობაზე სადაცო ადმინისტრა-ციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის ნაწილში (გასა-ჩივრებული გადაწყვეტილების მე-4 და მე-5 პუნქტები) შემოწმე-ბის საჭიროების წითაშე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს პროდუქტის უსაფრთხო-ებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის (სადაცო პერიოდში მოქმედი რედაქციით) მე-15 მუხლის „რ“ ქვეპუნქტზე, რომლის თა-ნახმად, სამშენებლო სამართალდარღვევა არის საქართველოს კა-ნონმდებლობით დადგენილი შესაბამისი მოთხოვნების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა, რისთვისაც პასუხისმგებლობა განსაზ-ღვრულია ამ თავით. ამავე კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილების თანახმად, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზე-დამხედველობის ორგანო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას იწყებს დამრღვევის მიმართ მითითების გაცემით, გარდა ამ მუხ-ლის 23-ე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მითითე-ბით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმია-ნობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამონმებს დამ-რღვევს, რაზედაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აი-სახება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითე-ბის პირობებთან მიმართებით, კერძოდ: ა) მითითება შესრულდა; ბ) მითითება არ შესრულდა; გ) მითითება არადროულად სრულდე-ბა.

ამავე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, თუ შემოწმების აქ-ტში დაფიქსირებულია დარღვევა, აქტის საფუძველზე სამშენებ-ლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას: ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ; ბ) დამრღვე-ვის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვე-ვით მიმდინარე უნებართვო მშენებლობისა და უნებართვო დემონ-ტაჟის შეჩერების შესახებ; გ) დამრღვევის დაჯარიმებისა და სა-ქართველოს კანონმდებლობს დარღვევით აშენებული შენობა-ნა-გებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის, მშენებარე შე-ნობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩე-რებისა და დემონტაჟის შესახებ.

საკასაციო სასამართლო, ასევე, მიუთითებს, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხ-

ლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის ნარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, რომელიც იწვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას, გამოიწვევს დაჯარიმებას კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – 8 000 ლარით.

საკასაციო სასამართლო განმეორებით ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება თ. პ-ას სამართალდამრღვევად ცნობის, მის მიმართ „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათის გავრცელებისა და 8 000 ლარის ოდენობით დაკისრებული ჯარიმასაგან მისი გათავისუფლების ნაწილში, შესულია კანონიერ ძალაში. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მითითებულ ნაწილში გაუსაჩივრებლობამ შედეგობრივად გამოიწვია იმ გარემოების დადასტურება, რომ თ. პ-ას მიერ ჩადენილ იქნა სამშენებლო სამართალდარღვევა. ამასთან, მის მიმართ გავრცელდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ამნისტია და იგი გათავისუფლებულ იქნა სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენისათვის დაკისრებული სახდელისაგან – ჯარიმისაგან. რაც შეტება სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით მოსარჩელი-სათვის დემონტაჟის დაგალებას, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელემ უნებართვოდ განხორციელებული სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების შედეგად აშენებულ ნაგებობაზე საჯარო რეესტრში დაირეგისტრირა საკუთრების უფლება, ხოლო რამდენადაც სადაც არ გამხდარა არც თავად აღნიშნული უფლება და არც უფლების რეგისტრაციის საფუძველი, გამოირიცხებოდა მოსარჩელე თ. პ-ასათვის უკვე საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების დემონტაჟის დავალების საფუძვლითიანობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულის საწინააღმდეგოდ მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქმეში არ არის ნარმოდებენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა უკანონოდ განხორციელებულ მშენებლობაზე თ. პ-ას საკუთრების უფლების ნარმოშობას/არსებობას. კერძოდ, საქმეში ნარმოდებით დგინდება, რომ თ. პ-ას (პ/ნ ...) საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, ...ის ქუ-

ჩის №7-ში მდებარე ს.კ. ... უძრავი ქონება (საკუთრების ტიპი: საკუთრება; ფართი: 36.00 კვ.მ). ხსენებულ ამონაწერებში უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებად მითითებულია: 1. ნასყიდობის ხელშეკრულება, გაფორმებული 2005 წლის 23 მაისს, დამონმებული ნოტარიუსის – ლ. გ-ის მიერ რეესტრით №...; 2. პრივატიზაციის ხელშეკრულება, გაფორმებული 1993 წლის 6 იანვარს, დამონმებული ნოტარიუსის – თ. ვ-ის მიერ რეესტრით №..., რეგისტრირებული ტექ. ინვენტარიზაციის ბიუროში 1993 წლის 6 იანვარს; 3. უძრავი ქონების გამიჯვნის ხელშეკრულება, დამონმების თარიღი: 19.10.2009წ., საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახური.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 30 აგვისტოს №001617 დადგენილებით თ. პ-ა დაჯარიმდა 8 000 (რვა ათასი) ლარით, ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №7-ში (ს.კ. №...) უნებართვოდ სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების განხორციელებისათვის, კერძოდ, განხორციელდა ლიტერ „გ“ შენობის (შენობა №3/2) რეკონსტრუქცია, რამაც გამოიწვია შენობა-ნაგებობის გაპარიტების ცვლილება, ასევე, მონაცვლებული იყო კიბე, ბაქანი, დამატებული იყო კარ-ფანჯრები გისოსებით, კონდიციონერი, გამწოვი მილი და სატელიტური ანტენა, ფანჯრებზე დამატებული იყო გისოსები. ამავე დადგენილებით თ. პ-ას დაევალა, ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №7-ში (ს.კ. №...) მდებარე ლიტერ „გ“ შენობის (შენობა №3/2) საინვენტარიზაციო გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ, უნებართვოდ განხორციელებული სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების დემონტაჟი.

2017 წლის 18 სექტემბერს თ. პ-ას წარმომადგენელმა საჩივრით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 30 აგვისტოს №001617 დადგენილების ბათილად ცნობა მოითხოვა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 6 მარტის №195 ბრძანებით თ. პ-ას წარმომადგენლის 2017 წლის 19 სექტემბრის №19/01172622862-01 ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 30 აგვისტოს №001617 დადგენილება.

საქმის მასალებით, ასევე, დადგენილად არის მიჩნეული, რომ 2017 წლის 29 ოქტომბერს (23.08.2017-ის) №**AR**1532687 თ. პ-ამ განმეორებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექ-

ტურის სამსახურს და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №7-ში, ნომენკლატურის მიხედვით, მიშენება/დაშენების, ხოლო მოთხოვნის ტექსტის მიხედვით, №3/2 შენობის ლეგალიზება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 3 ნოემბრის №3657064 ბრძანებით თ. პ-ას №1532687 განცხადება დატოვებულ იქნა განუხილველად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ლეგალიზების მოთხოვნით წარდგენილ განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციით დაინდება, რომ №3/2 შენობის განაშენიანების ფართობი შეადგენს 38.7 კვ.მ-ს. ამასთან, შენობა-ნაგებობის საერთო ფართია 69.1 კვ.მ, მათ შორის: I სართული – 36 კვ.მ, ხოლო II სართული – 33.1 კვ.მ. საგულისხმოა, რომ I სართულზე არსებული 36 კვ.მ სწორედ საჯარო რეესტრის ამონანერებში მითითებულ თ. პ-ას საკუთრებას წარმოადგენს, ხოლო რაც შეეხება II სართულის 33.1 კვ.მ ფართს, ხაზგასასმელია, რომ მოსარჩელე მოითხოვდა სწორედ დასახელებული ფართის ლეგალიზებას, რომლის უნებართვო მშენებლობისათვისაც იგი ცნობილ იქნა სამართლდამრღვევად და განესაზღვრა კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ იმ გარემოების დადგენილად მიჩნევას, რომ უნებართვოდ აშენებულ უძრავ ქონებაზე რეგისტრირებულია თ. პ-ას საკუთრების უფლება, რამდენადაც საქმის მასალებში არ მოიპოვება სათანადო მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩის №7-ში №3/2 შენობის მეორე სართულზე (ფართი: 33.1 კვ.მ) რეგისტრირებულია თ. პ-ას საკუთრების უფლება. თავის მხრივ, საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე უფლებადამდგენი დოკუმენტი, რომელიც ცხადყოფდა ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე თ. პ-ას საკუთრების უფლების არსებობას და შექმნიდა საჯარო რეესტრში ამ უფლების მოსარჩელის სახელზე რეგისტრაციის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს მითითებას იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას,

თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება. ამავე კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო ამონტებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა.

საკასაციო პალატა, ასევე, ყურადღებას მიაქცევს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ამონტებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულ სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნებართვოდ განხორციელებული მშენებლობის დემონტაჟის დავალების თაობაზე სადაც აქტების ბათილად ცნობის ნაწილში დაეფუძნა გარემოებას, რომელიც სააპელაციო სასამართლოში სამართალნარმოების მიმდინარეობის დროს არ ყოფილა სათანადო წესით გამოკვლეული, დაგენილი და შეფასებული. უფრო კონკრეტულად, სააპელაციო სასამართლომ საქმეში სათანადო მტკიცებულებების არსებობის გარეშე დაასკვნა, რომ უნებართვოდ წარმოებული სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ნაგებობა თ. პ-ას საკუთრებაში იყო აღრიცხული. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სათანადო მტკიცებულებების არსებობის გარეშე დაადგინა საქმის მართებული გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება, რაც, შედეგობრივად, წარმოადგენს იმგვარ საპროცესო დარღვევას, რომელსაც შეეძლო არსებითი ზეგავლენა მოეხდინა საქმის განხილვის შედეგზე. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №7-ში მდებარე უძრავი ქრისტე (ფართით 36 კვ.მ) საკუთრების უფლებით, შესაბამისი უფლებადამდგენი დოკუმენტების საფუძველზე, აღრიცხულია თ. პ-ას სახელზე, თუმცა სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა გამოარკვიოს, რეგისტრირებულია თუ არა თ. პ-ას საკუთრების უფლება 36 კვ.მ ფართის ნაგებობაზე უნებართვოდ დაშენებულ 33.1 კვ.მ ფართზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლზე, რომლის შესაბამისად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხ-

ლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უნებართვოდ აშენებულ შენობა-ნაგებობაზე თ. პ-ას საკუთრების უფლების არსებობა-არარსებობის დადგენის პროცესში, სააპელაციო სასამართლოს, როგორც ფაქტების დამდგენ სასამართლოს, საჭიროების შემთხვევაში გააჩნია პროცესუალური უფლებამოსილება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს მითითებული ფაქტობრივი გარემოების დასადგენად საჭირო მტკიცებულებები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, 2016 წლის 29 ივნისს თ. პ-ამ განცხადებით (№AR1427754) მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სიიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა მის მიერ უნებართვოდ აშენებული ობიექტის ნაწილების ლეგალიზება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 4 აგვისტოს №2757879 ბრძანებით თ. პ-ას 2016 წლის 29 ივნისის №AR1427754 განცხადება დატოვებულ იქნა განუხილველად.

ასევე, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა „კ...ის“ 2017 წლის 25 ივნისის №85 კრების ოქმით ირკვევა, რომ თ. პ-ას ნება დაერთო, მოეხდინა მის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების, კერძოდ, ქალაქ თბილისში, ...ის №7-ში ნანარმოები მე-2 სართულის დაშენების ლეგალიზება, 33.1 კვ.მ ფართის ოდენობით, რომელიც მის მიერ 2007 წლამდე იქნა ნანარმოები.

ამასთან, დადგენილია, რომ 2017 წლის 29 ოქტომბერს (23.08.2017-ის) №AR1532687 თ. პ-ამ განმეორებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №7-ში, ნომენკლატურის მიხედვით, მიშენება/დაშენების, ხოლო მოთხოვნის ტექსტის მიხედვით, №3/2 შენობის ლეგალიზება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 3 ნოემბრის №3657064 ბრძანებით თ. პ-ას №1532687 განცხადება დატოვებულ იქნა განუხილველად.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, საქმეზე დადგენილი ზე-

მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებები ცხადყოფს, რომ მოსარჩელე თ. პ-ას ჰქონდა უნებართვოდ წარმოებული სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების ლეგალიზების მცდელობები. შესაბამისად, სადაც ნაწილში საქმის ხელახალი შესწავლა-განხილვის დროს, სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა გამოარკვიოს, ხომ არ განხორციელებულა დემონტაჟს დაქვემდებარებული უნებართვოდ აშენებული უძრავი ქონების ლეგალიზება. დადებითი პასუხის შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა, რომლითაც განისაზღვრა, რომ უნებართვო მშენებლობის კანონიერ ფარგლებში მოქცევა - ლეგალიზება ზემოქმედებას ახდენს სამართალდამრდველი პირისათვის დემონტაჟის დავალების საკითხზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თ. პ-ასათვის უნებართვოდ განხორციელებული სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების დემონტაჟის დავალების თაობაზე სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 30 აგვისტოს №001617 დადგენილებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 6 მარტის №195 ბრძანების ბათილად ცხობის ნაწილში, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 პრილის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თ. პ-ასათვის უნებართვოდ განხორციელებული სარეკონსტრუქციო (სამშენებლო) სამუშაოების დემონტაჟის დაგალების თაობაზე სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 30 აგვისტოს №001617 დადგენილებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 6 მარტის №195 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყვდეს საქმე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოდა და არ საჩივრდება.

სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე განხორციელებული ადმინისტრაციული მშენებლობა

განხილვა საქართველოს სახელით

№ბს-488(2კ-22)

15 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აპუსერიძე,
ბ. სტურუა

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

2019 წლის 18 აპრილს ქ. ა-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

კოლეგიას, მოპასუხეების – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიმართ.

სარჩელის თანახმად, 2017 წლის 7 სექტემბრის №002559 დადგენილებით ქ. ა-ი დაჯარიმდა 8000 ლარით ქ. თბილისში, ..ის I შესახვევი №12-ში (ს/კ ...) სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე განხორციელებული ავტოფარეხის მშენებლობისთვის. ქ. თბილისში, ..ის I შესახვევი №12-ში განთავსებული უძრავი ქონება, რომელიც რეგისტრირებული იყო ტექალრიცხვის არქივში, მათ შორის, სადაც ვო ავტოფარეხი, დატანილია საინვენტარიზაციო გეგმაზე, ცნობადადასიათების მიხედვით მინის ფართი ფიქსირდება 450 კვ.მ, ხოლო დარეგისტრირდა 400 კვ.მ, 10 კვ.მ-ით ნაკლები, შესაბამისად, ავტოფარეხი განთავსებულია მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ მიწაზე (ს/კ ...), რაც არ იქნა სათანადოდ გამოკვლეული.

ამდენად, მოსარჩელებმ სამშენებლო სამართლდარღვევის საქმეზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 7 სექტემბრის №002559 დადგენილებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 19 მარტის №222 ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 2 დეკემბრის განჩინებით ქ. ა-ის სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში და დასაშვებად იქნა ცნობილი; ხოლო საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2020 წლის 20 მარტს 14:00 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, რის შესახებაც სასამართლოუწყება გაეგზავნა მოსარჩელე ქ. ა-ის წარმომადგენელს – თ. კ-ის და ჩაბარდა თ. კ-ის დედას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 16 მარტის ცნობის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, საქართველოს უწყებათაშორისი საკოორდინაციო ჯგუფისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ჯანმრთელობის დაცვისა და ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ქ. ა-ის სარჩელზე სასამართლო მოსამზადებელი სხდომა ნაცვლად 2020 წლის 20 მარტისა, გაიმართებოდა 2020 წლის 19 ივნისს 14:00 საათზე. აღნიშნულის თაობაზე სასამართლო უწყება გაეგზავნათ მოსარჩელესა და მის წარმომადგენელს და ჩაბარდა მოსარჩელე ქ. ა-ის წარმომადგენლის – თ. კ-ის დედას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 19 ივნისის სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის ოქმის თანახმად, სასამართლო სხდომა გაიხსნა

14:06:06 საათზე, სხდომაზე გამოცხადდნენ მოპასუხეების – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის წარმომადგენლები, ხოლო მოსარჩელე ქ. ა-ი სხდომაზე არ გამოცხადდა. მოსამართლემ აღნიშნა, რომ მოსარჩელის გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოსთვის ცნობილი არ იყო, შესაბამისად, გამოუცხადებლობა არასაპატიოდ მიიჩნია და სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნა 2020 წლის 30 სექტემბერს 16:00 საათზე. სასამართლო სხდომა დახურულად გამოცხადდა 14:09:45 საათზე. აღნიშნულის თაობაზე სასამართლო უწყება გაეგზავნათ მოსარჩელესა და მის წარმომადგენელს და ჩაბარდა მოსარჩელე ქ. ა-ის წარმომადგენლის – თ. კ-ის დედას.

2020 წლის 29 სექტემბერს საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა მოსარჩელე ქ. ა-ის წარმომადგენელმა – თ. კ-იმ, რომელმაც იმ საფუძვლით, რომ 2020 წლის 30 სექტემბერს 16:00 საათზე ჩანიშნული ჰქონდა სხვა სასამართლო სხდომა, სადაც მოპასუხებს წარმოადგინდა, ვერ შეძლებდა ქ. ა-ის პროცესზე გამოცხადებას, რის გამოც სხდომის სხვა დროისთვის გადადება მოითხოვა. აღნიშნულ განცხადებას მოსარჩელის წარმომადგენელმა დაურთო ტელეფონით სასამართლოში დაბარების შესახებ 2020 წლის 17 აგვისტოს აქტი, რომლითაც დგინდება, რომ მოპასუხეთა წარმომადგენელი – თ. კ-ი დაბარებულ იქნა სხვა სასამართლო სხდომაზე 2020 წლის 30 სექტემბერს 16:00 საათზე, №47 სხდომის დარბაზში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 სექტემბრის სასამართლოს მთავარი სხდომის ოქმის თანახმად, სასამართლო სხდომა გაიხსნა 16:07:28 საათზე, სხდომაზე გამოცხადდნენ მოპასუხეების – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის წარმომადგენლები, ხოლო მოსარჩელე ქ. ა-ი სხდომაზე არ გამოცხადდა. არ დაკმაყოფილდა მოსარჩელე ქ. ა-ის წარმომადგენლის შუამდგომლობა სხდომის გადადების შესახებ და სასამართლომ გააგრძელა საქმის განხილვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 სექტემბრის სხდომიდან კი საქმეზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 2020 წლის 16 ოქტომბერს 17:50 საათზე, რის თაობაზეც სასამართლო უწყება გაეგზავნათ მოსარჩელესა და მის წარმომადგენლის და ჩაბარდა როგორც მოსარჩელე ქ. ა-ს, ასევე მისი წარმომადგენლის – თ. კ-ის დედას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 16 ოქტომბრის

ცნობის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ქ. ა-ის სარჩელზე, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება ნაცვლად 2020 წლის 16 ოქტომბრისა გაიმართებოდა 2020 წლის 28 ოქტომბერს 16:10 საათზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ქ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივის 2010 წლის 31 მარტის საინვენტარიზაციო გეგმის თანახმად, ...ის I შესახვევი №12-ში მდებარე მინის ნაკვეთის საერთო ფართია 450 კვ.მ. 2010 წლის 6 ივნისის საჯარო რეესტრის ამონაზერის თანახმად, ქ. თბილისი, ...ის I შესახვევი №12-ში საკადასტრო კოდით (...) რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთის მესაკუთრეა ქ. ა-ი, დაზუსტებული ფართობით 440.00 კვ.მ.

სასამართლოს მითითებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2017 წლის 15 ივნისს შედგენილ იქნა №... დათვალიერების ოქმი, რომლითაც დგინდება, რომ მოქალაქე გ. მ-ე განცხადებით ითხოვდა ქ. ა-ის საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე მდებარე ავტოფარეხის საზღვრების და განონიერების შესწავლას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2017 წლის 15 ივნისს ქ. ა-ის მიმართ შედგა №002559 მითითება, რომლითაც სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ ქ. თბილისში, ...ის I შესახვევი №12-ში და მის მიმდებარედ განხორციელებულია კაპიტალური შენობა-ნაგებობის (ავტოფარეხის) მშენებლობა, რომელიც ნანიღობრივ გაცდენილია (...) საკადასტრო საზღვრებს და გადადის მეზობლის და სახელმწიფო ტერიტორიაზე. კაპიტალური შენობა-ნაგებობის თავზე მოწყობილია მსუბუქი კონსტრუქცია. დარღვევის გამოსწორების მიზნით დაევალა სამშენებლო სამუშაოების შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარდგენა ან ობიექტის დემონტაჟი უსაფრთხოების ნორმების დაცვით. მოსარჩელეს დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა 20 კალენდარული დღე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2017 წლის 7 ივნისს შედგენილ იქნა №002559 შემოწმების აქტი, რომლითაც დადგინდა, რომ ქ. ა-ის მიერ არ იქნა შესრულებული №002559 მითითების პირობები.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2017 წლის 7 სექტემბრის №002559 დადგენილებით ქ. ა-

ი დაჯარიმდა 8 000 ლარით ქ. თბილისში, ...ის I შესახვევი №12-ში (...). შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე განხორციელებული სამშენებლო სამუშაოებისთვის (კაპიტალური ავტოფარეხი, მასზე განთავსებული მსუბუქი კონსტრუქციით), რომელიც გადადიოდა ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და სახელმწიფო ტერიტორიაზე (0.28მ^2 და 0.16მ^2 -ით (დასაშვები ცდომილებები)). ამავე დადგენილებით ქ. თბილისში, ...ის I შესახვევი №12-ში ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ობიექტის მესაკუთრეს დაევალა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე განთავსებული შენობა-ნაგებობის (კაპიტალური ავტოფარეხი, მასზე განთავსებული მსუბუქი კონსტრუქციით) დემონტაჟი.

2017 წლის 2 ოქტომბერს ქ. ა-მა საჩივრით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, რომლითაც მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2017 წლის 7 სექტემბრის №002559 დადგენილების ბათილად ცნობა. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 19 მარტის №222 ბრძანებით არ დაკავშირდება ქ. ა-ის 2017 წლის 2 ოქტომბრის №19/01172751155-01 ადმინისტრაციული საჩივარი და ძალაში დარჩა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2017 წლის 7 სექტემბრის №002559 დადგენილება.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „მშენებლობის ნებართვების გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 36-ე მუხლზე, მე-4 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტზე, ასევე 65-ე მუხლის პირველ წინადადებასა და პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, 66-ე მუხლზე, მე-3 მუხლის 74-ე პუნქტით განმარტებულ უზებართვო მშენებლობის დეფინიციაზე და მოცემულ შემთხვევაში დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ა-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განხორციელებულია სათაადო ნებართვის გარეშე კაპიტალური ავტოფარეხის, მასზე განთავსებული მსუბუქი კონსტრუქციის შენობის მშენებლობა, ქ. თბილისში, ...ის I შესახვევი №12-ში (ს/კ ...), რომელსაც ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე ესაჭიროებოდა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული წერილობითი დასტური/თანხმობა. შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული წარმოების არცერთ ეტაპზე და არც სასამართლოში, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი არ იქნა მშენებლობის ნებართვის გაცემის ან ლეგალიზების დამადასტურებელი დოკუმენტები, აღნიშნული ცალსახად მიუთითებდა უნებართვოდ აშენებულ კაპიტალურ შენობა-ნაგებობაზე, რაც კანონმდებლობის თანახმად, სამართალდამრღვევ პირზე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს

წარმოადგენდა.

სასამართლომ მიუთითა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, 51-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, 25-ე მუხლზე და განსახილველ შემთხვევაში დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ა-ი წარმოადგენს ქ. თბილისი, ...ის I შესახევი № 12-ში საკადასტრო კოდით (...) რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, დაზუსტებული ფართობით 440.00 კვ.მ. ამასთან, ქ. თბილისი, ...ის I შესახევი № 12-ში შესაბამისი სანებართოვან დოკუმენტაციის გარეშე განხორციელებულია კაპიტალური ავტოფარეხის და მასზე განთავსებული მსუბუქი კონსტრუქციის შენობის მშენებლობა. ქ. ა-ს არც მითითებით განსახლვრულ ვადაში და არც სადაცო დადგენილების გამოცემამდე არ მოუხდენია სამართალდარღვევის გამოსწორება, რის გამოც, სასამართლომ მიიჩნია, რომ დასახელებული ნორმებისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებს გათვალისწინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2017 წლის 7 სექტემბრის № 002559 დადგენილებით ქ. ა-ს მართლზომიერად დაეკისრა ჯარიმა სანებართოვან დოკუმენტაციის გარეშე კაპიტალური ავტოფარეხის და მასზე განთავსებული მსუბუქი კონსტრუქციის მშენებლობისთვის.

რაც შეეხება ქ. ა-ის პასუხისმგებლობის საკითხს, სასამართლომ ამ შემთხვევაშიც მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც ზუსტად არ დგინდებოდა სამართალდარღვევის ჩამდენი პირის ვინაობა, ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსარჩელე, როგორც მესაკუთრე, სწორად მიიჩნია დარღვევაზე პასუხისმგებელ სუბიექტად, რადგან პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სფეროში ამ თავის მოქმედება ვრცელდება სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეზე ან მოსარგებლებზე, თუ დაუდგენელია მშენებლობის მწარმოებელი პირი.

მოსარჩელე მხარის მოთხოვნას ასევე წარმოადგენდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 19 მარტის № 222 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც ქ. ა-ს ადმინისტრაციული საჩივრის დაკავშირებებაზე ეთქვა უარი, რასთან დაკავშირებითაც სასამართლომ აღნიშნა, რომ საჩივრის განმხილველმა ორგანომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესწავლის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრების დაკავშირებაზე უარის თქმის თაობაზე, რის გამოც არ არსებობდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 19 მარტის № 222

ბრძანების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2020 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპე-ლაციო წესით გაასაჩივრა ქ. ა-მა, რომელმაც გასაჩივრებული გა-დაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსთვის დაბრუნება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2022 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით ქ. ა-ის სააპე-ლაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამო-ქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვე-ტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვა-ლისწინებულ შემთხვევებს. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო ზემოაღნიშნული მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა, კერძოდ, გადაწყვეტი-ლება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებ-ლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წე-სით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარ-მომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემ-თხვევებისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენლი ცნობს სა-სამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას. პალატამ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძ-ვლების არსებობისას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შე-უძლია არ გადააგზავნოს საქმე ხელახალი განსახილვისთვის და თვი-თონ გადაწყვიტოს იგი. თუმცა, სააპელაციო პალატის მოსაზრე-ბით, ყოველთვის არა შესაძლებელი საკითხის გადაწყვეტა სააპე-ლაციო სასამართლოს მიერ, სწორედ ამიტომაცაა მითითებული ზე-მოაღნიშნულ ნორმაში შესაძლებლობის და არა ვალდებულების თა-ობაზე. პალატის მითითებით, როგორც წესი, სააპელაციო სასამარ-თლო შეზღუდულია სააპელაციო მოთხოვნის ფარგლებით, რასაც განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გა-უქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს-თვის დაბრუნება წარმოადგენდა. ამდენად, მოცემულ შემთხვევა-ში სააპელაციო სასამართლო იმსჯელებდა წარდგენილი სააპელა-

ციონ საჩივრის ფარგლებში გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლების დადგენის მიზნით.

პალატამ აღნიშნა, რომ მხარის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში წარმოადგენს მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროცესუალურ უფლებას, რომლის პატივისცემა სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპის – მართლმსაჯულების განხორციელება მხარეთა თანასწორობის საფუძველზე – უპირობო მოვალეობაა და რომლის იგნორირება საპროცესო კანონით მკაცრად განსაზღვრულ პროცესუალურ შედეგს – სასამართლო აქტის გაუქმებას იწვევს. იმის გათვალისწინებით, რომ მითითებული საპროცესო დარღვევა – საქმის განხილვა მხარის დაუსწრებლად, თვით კანონმდებლობის მიერ შეფასებულია ისეთი ტიპის დარღვევად, რომელიც უცილოდ იწვევს გადაწყვეტილების გაუქმებას და აღნიშნული დამოკიდებული არ არის სასამართლოს შეხედულებაზე, პალატამ არსებოთად მიიჩნია ზემოაღნიშნული გარემოების არსებობისა და გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლის გამოყელება-დადგენა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში აპელანტი სადავონ გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვდა იმ საფუძვლით, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ საქმე განხილული იქნა მოსარჩევე მხარის მონაწილეობის გარეშე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე და 71-ე მუხლებზე და მოცემულ შემთხვევაში დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2020 წლის 19 ივნისს გამართულ მოსამზადებელ სხდომაზე, რომელსაც არ ესწრებოდა მოსარჩევე ქ. ა-ი, სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნა 2020 წლის 30 სექტემბერს 16:00 საათზე, რის შესახებაც მხარეს ეცნობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, კერძოდ, სასამართლო უწყება გაეგზავნათ მოსარჩევე ქ. ა-სა და მის წარმომადგენელს თ. კ-ის. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი უკუგზავნილებიდან ირკვეოდა, რომ სასამართლო უწყება 2020 წლის 25 ივნისს ჩაბარდა მოსარჩელის წარმომადგენლის დედას, ხოლო თავად ქ. ა-ს კანონით დადგენილი წესით მთავარი სხდომის დანიშნის თაობაზე ვერ ეცნობა და უწყება მის მიერ მითითებულ მისამართზე ჩაბარებული ვერ იქნა ადრესატის მისამართზე არყოფნის გამო.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის წარმომადგენელმა თ. კ-იმ 2020 წლის 29 სექტემბერს განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და სასამართლო სხდომის სხვა

დროისთვის გადადება მოითხოვა იმ საფუძვლით, რომ ამავე დროს – 2020 წლის 30 სექტემბერს 16:00 საათზე დანიშნული იყო სხვა სასამართლო სხდომა, სადაც ნარმოადგენდა მოპასუხე მხარეებს. აღნიშნულ განცხადებას მოსარჩელის ნარმომადგენელმა თან დაურთო სატელეფონო აქტი სასამართლოში დაბარების შესახებ, რომლითაც დგინდება, რომ ნარმომადგენელი – თ. კი დაბარებული იქნა სხვა სასამართლო სხდომაზე 2020 წლის 30 სექტემბერს 16:00 საათზე, №47 სხდომის დარბაზში.

საქმეში ნარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 სექტემბრის სასამართლოს მთავარი სხდომის ოქმიდან საპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე მხარე არ გამოცხადდა, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლომ არ დაკავშირდებოდა მოსარჩელის ნარმომადგენლის შუამდგომლობა სხდომის გადადების შესახებ და მოსარჩელე მხარის დასწრებისა და მისი ინტერესების დაცვის გარეშე გამართულ მთავარ სხდომაზე არსებოთად დაასრულა საქმის განხილვა და გადადო საქმეზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება, რის შედეგადაც მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საპელაციო პალატამ განმარტა, რომ სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს იმ გარემოებათა ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლო პროცესზე მხარის გამოცხადებლობის საპატიო მიზეზად. აღნიშნული ნორმის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების ნარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნაოესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების ნარდგენას. ამდენად, კანონის მითითებული დანწესის თანახმად, საპატიოდ ჩაითვლება ისეთი გარემოების არსებობის სარწმუნოდ დადასტურება, რომელიც ობიექტურად შეუძლებელს ხდის მხარის მიერ საპროცესო მოქმედების შესრულებას, მოცემულ შემთხვევაში კი – სასამართლო პროცესზე გამოცხადებას. განსახილველ შემთხვევაში პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სასამართლოს მთავარი სხდომის შესახებ უშუალოდ მოსარჩელე მხარისთვის ცნობილი არ ყოფილა, ხოლო მისმა ნარმომადგენელმა სხვა სასამართლო სხდომაზე გამოცხადების გამოვერ შეუძლო ნინამდებარე საქმეში სასამართლო პროცესზე მონაწილეობის მიღება. გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ მო-

სარჩელე მხარის წარმომადგენელმა დაიცვა რა საპროცესო კანონ-მდებლობით დადგენილი სტანდარტი, სასამართლოს სხდომის წინა დღეს აცნობა და წარუდგინა შესაბამისი მტკიცებულება სასა-მართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ. ამ-დენად, იმ პირობებში, როდესაც სადავო არ იყო მხარის საპატიო მიზეზით სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა, მოსარჩე-ლე მხარის იურიდიული ინტერესის დაცვის გარეშე დატოვება გაუ-მართლებელი იყო, ვინაიდან სასამართლო დაცვის ძირითადი უფ-ლებიდან გამომდინარე სასამართლო პროცესის ყოველ მონაწილეს უნდა ჰქონდეს საკუთარი შეხედულების გამოთქმისა და პოზიცი-ის დაფიქსირების უფლება. ამასთან, ეს უფლება უზრუნველყოფი-ლი უნდა იყოს არა ზოგადად, არამედ ყოველი კონკრეტული ფაქ-ტობრივი გარემოების მიმართ, რომელიც სასამართლოს განხილ-ვის საგანია. ყოველ მხარეს უნდა ჰქონდეს საკუთარი შეფასების გამოხატვის შესაძლებლობა იმ ფაქტის მიმართ, რომელსაც წარ-მოადგენს მეორე მხარე ან რომელსაც იხილავს სასამართლო საკუ-თარი ინიციატივით.

დამატებით, პალატამ ყურადღება გაამახვილა კონვენციური სა-მართლით დადგენილ მართლწესრიგზე, რამდენადაც სასამართლო შეტყობინების მხარისათვის ჩაბარება და პირის სხდომაზე მოწვე-ვა ემსახურება სამართლიან და თანასწორ პირობებში პროცესის მონაწილეთა ჩაყენებას და მართლმსაჯულების ეფექტიანი გან-ხორციელების მიზანს და მიუთითა პრეცედენტულ სამართალზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამარ-თლომ მიიჩნია, რომ უარყოფითი საპროცესო შედეგი (მხარის დას-წრების გარეშე საქმის განხილვა და გადაწყვეტა), რასაც ითვალის-წინებს კანონმდებლობა ვალდებულებების შეუსრულებლობის-თვის, არ უნდა დადგეს ისეთი მხარის მიმართ, რომლის მიერაც საპ-როცესო მოვალეობები შესრულებული ვერ იქნა ობიექტური სა-ფუძვლით. შესაბამისად, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში მო-სარჩელე მხარეს არ მიეცა საპროცესო თავდაცვის საშუალება, არ-სებობდა სააპელაციო საჩივრის და კმაყოფილებისა და სასამარ-თლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლე-ბი. პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლოს საქმის ხელახლა განხილ-ვისას, კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების მიზ-ნით, სრულყოფილად უნდა გამოეკვლია საქმის გარემოებები და მოსარჩელე მხარის კანონით დადგენილი წესით სასამართლო სხდომაზე მონაწილეობით გადაეწყვიტა დავა მოქმედი საპროცე-სო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2022 წლის 28 თებერვლის განჩინება საკასაციო წე-

სით გაასაჩივრეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურმა ინ-სპექციამ, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია არ ეთან-ხება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მასზედ, რომ ქ. ა-ს კანონით დადგენილი წესით მთავარი სხდომის დანიშვნის თაობა-ზე ვერ ეცნობა, მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე, 74-ე მუხლებზე და აღნიშნავს, რომ სასამართლო უწყება 2020 წლის 30 სექტემბერს დანიშნული მთავარი სხდომის შესახებ ჩა-ბარდა მოსარჩელის წარმომადგენლის დედას 2020 წლის 25 ივნისს, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში მხარეს სასამართლო სხდო-მის შესახებ ეცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

რაც შეეხება სხვა სასამართლო სხდომაზე დაბარების გამო სხდომის გადადების მოთხოვნას, კასატორის მოსაზრებით, აღნიშ-ნული ვერ გახდება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვე-ტილების გაუქმების საფუძველი. კასატორის მითითებით, გასათ-ვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მთავარ სხდომამდე არაერთხელ (20.03.2020, 19.06.2020) ჩატარდა მოსამზადებელი სხდომა, თუმ-ცა მხარე არ გამოცხადებულა.

კასატორის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუ-ნიციპალური ინსპექციის მითითებით, თბილისის საქალაქო სასა-მართლომ მხარეს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად აცნო-ბა საქმის განხილვის დანიშვნის შესახებ მის მიერ მითითებულ ფაქ-ტობრივ მისამართზე უწყების გაგზავნის მეშვეობით, თუმცა ვიზა-იდან მხარე მის მიერ მითითებულ მისამართზე არ იმყოფებოდა, უწყება ჩაბარდა მოსარჩელის წარმომადგენლის ოჯახის წევრს – დედას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით.

რაც შეეხება მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს, კა-სატორი მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხ-ლის მე-3 ნაწილზე და აღნიშნავს, რომ მხარემ გამოუცხადებლო-ბის მიზეზის შესახებ სასამართლო პროცესის წინა დღეს, კერძოდ, 2020 წლის 29 სექტემბერს აცნობა სასამართლოს იმის თაობაზე, რომ 2020 წლის 30 სექტემბერს 16 საათზე ჩანიშნული იყო სხვა პროცესი, რაც 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულ არცერთ საპატიო მიზეზში არ ჯდება. ამასთან, მხარე გულგრილად მოეკი-და საქმეს, გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლო პროცესამდე გაცილებით ადრე შეეძლო უზრუნველყო გამოუცხადებლობის მი-

ზეზების აღმოფხვრა. აქვე სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა ის ფაქტი, რომ მხარეს სასამართლო პროცესის დანიშვნის შესახებ უწყება უფრო ადრე ჩაპარდა, ვიდრე იმ სასამართლო პროცესის დანიშვნის შესახებ, რომელზე დასწრების გამოც მხარე არ გამოცხადდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 მაისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 თებერვლის გასაჩივრებული განჩინებით ქ. ა-ის სააპელაციო საჩივრი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 თებერვლის განჩინებაზე საკასაციო საჩივრები წარმოდგენილია მოპასუხების – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები თავისი მო-

ტივებით პროცესუალურ კასაციას წარმოადგენს, რომელიც წარმოდგენილია იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა დაეკმაყოფილებინა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დავის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების თაობაზე, რამდენადაც, კასატიონების მტკიცებით, მხარეს სასამართლო სხდომის შესახებ ეცნობა კანონით დადგენილი წესით. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც სახეზე არ გვაქვს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას არსებითად იმსჯელოს საქმის გარემოებებზე. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ან საკასაციო საჩივრების ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და საქმის არსებითად განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნების თაობაზე. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ წარდგენილი სააპელაციო საჩივრის ფარგლებში იმსჯელა გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლების დადგენის მიზნით და მიიჩნია, რომ სახეზე იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლოს მიერ საქმე განხილულ იქნა მოსარჩევე მხარის მონაწილეობის გარეშე, რა დროსაც მას არ მიეცა საპროცესო თავდაცვის საშუალება. შესაბამისად, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების ფარგლებში, საკასაციო სასამართლომ შეფასება უნდა მისცეს სახეზე იყო თუ არა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების საჭიროება.

აღნიშნული საკითხის დადგენის მიზნით საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს ქრონოლოგიურად მიუთითოს საქალაქო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით განხორციელებულ საპროცესო მოქმედებებზე, კერძოდ:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 2 დეკემბრის განჩინებით ქ. ა-ის სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში და დასაშვებად იქნა ცნობილი; ხოლო საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაიზიშნა 2020 წლის 20 მარტს 14:00 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, რის შესახებაც სასამართლო უწყება გაეგზავნა მოსარჩევე ქ. ა-ის წარმომადგენელს თ. კ-ის და ჩაბარდა თ. კ-ის დედას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 16 მარტის ცნო-

ბის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, საქართველოს უწყებათაშორისი საკონფრინაციო ჯგუფისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ჯანმრთელობის დაცვისა და ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ქ. ა-ის სარჩელზე სასამართლო მოსამზადებელი სხდომა ნაცვლად 2020 წლის 20 მარტისა, გაიმართებოდა 2020 წლის 19 ივნისს 14:00 საათზე. აღნიშნულის თაობაზე სასამართლო უწყება გაეგზავნათ მოსარჩელესა და მის წარმომადგენელს და ჩაბარდა მოსარჩელე ქ. ა-ის წარმომადგენლის – თ. კ-ის დედას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2020 წლის 19 ივნისის სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის ოქმის თანახმად, სასამართლო სხდომა გაიხსნა 14:06:06 საათზე, სხდომაზე გამოცხადდნენ მოპასუხეების – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის წარმომადგენლები, ხოლო მოსარჩელე ქ. ა-ი სხდომაზე არ გამოცხადდა. მოსამართლემ აღნიშნა, რომ მოსარჩელის გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოსთვის ცნობილი არ იყო, შესაბამისად, გამოუცხადებლობა არასაპატიოდ მიიჩნა და სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნა 2020 წლის 30 სექტემბერს 16:00 საათზე. სასამართლო სხდომა დახურულად გამოცხადდა 14:09:45 საათზე. აღნიშნულის თაობაზე სასამართლო უწყება გაეგზავნათ მოსარჩელესა და მის წარმომადგენელს და ჩაბარდა მოსარჩელე ქ. ა-ის წარმომადგენლის – თ. კ-ის დედას.

2020 წლის 29 სექტემბერს საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა მოსარჩელე ქ. ა-ის წარმომადგენელმა – თ. კ-იმ, რომელმაც იმ საფუძვლით, რომ 2020 წლის 30 სექტემბერს 16:00 საათზე ჩანიშნული ჰქონდა სხვა სასამართლო სხდომა, სადაც მოპასუხეებს წარმოადგენდა, ვერ შეძლებდა ქ. ა-ის პროცესზე გამოცხადებას, რის გამოც სხდომის სხვა დროისთვის გადადება მოითხოვა. აღნიშნულ განცხადებას მოსარჩელის წარმომადგენელმა დაურთო ტელეფონით სასამართლოში დაბარების შესახებ 2020 წლის 17 აგვისტოს აქტი, რომლითაც დგინდება, რომ მოპასუხეთა წარმომადგენელი – თ. კ-ი დაბარებულ იქნა სხვა სასამართლო სხდომაზე 2020 წლის 30 სექტემბერს 16:00 საათზე, №47 სხდომის დარპაზში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2020 წლის 30 სექტემბრის სასამართლოს მთავარი სხდომის ოქმის თანახმად, სასამართლო სხდომა გაიხსნა 16:07:28 საათზე, სხდომაზე გამოცხადდნენ მოპასუხეების – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპა-

ლიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის წარმომადგენლები, ხოლო მოსარჩელე ქ. ა-ის სხდომაზე არ გამოცხადდა. არ დაკმაყოფილდა მოსარჩელე ქ. ა-ის წარმომადგენლის შუამდგომლობა სხდომის გადადების შესახებ და სასამართლომ გააგრძელა საქმის განხილვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმითა კოლეგიის 2020 წლის 30 სექტემბრის სხდომიდან კი საქმეზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიღო 2020 წლის 16 ოქტომბერს 17:50 საათზე, რის თაობაზეც სასამართლო უწყება გაეგზავნათ მოსარჩელესა და მის წარმომადგენლს და ჩაბარდა როგორც მოსარჩელე ქ. ა-ს, ასევე მისი წარმომადგენლის – თ. კ-ის დედას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 16 ოქტომბრის ცნობის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ქ. ა-ის სარჩელზე, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება ნაცვლად 2020 წლის 16 ოქტომბრისა გაიმართებოდა 2020 წლის 28 ოქტომბერს 16:10 საათზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ქ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ამდენად, საქმის მასალების მიხედვით, მოსარჩელე მხარე არ გამოცხადებულა საქალაქო სასამართლოში გამართულ არც მოსამზადებელ და არც მთავარ სხდომაზე.

რაც შეეხება საქალაქო სასამართლოს მიერ მოსარჩელე მხარის-თვის სასამართლო უწყების ჩაბარების საკითხს, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დოკუმენტის ადრესატისთვის ჩაბარების საკითხები მოწერიგებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მსამართის, სამუშაო ადგილის, სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. ამავე კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, თუ როდის ჩაითვლება უწყება ჩაბარებულად მხარეებისა და მათი წარმომადგენლებისათვის, კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაპხარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ

კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო ჩა-ბარების განსხვავებულ, გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში – ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წე-სით. 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამპარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგი-ლის ადმინისტრაციას, ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილ წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილ-ველ საქმეში მონაწილეობენ, როგორც მონიაზაღმდეგე მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღ-ნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ასევე ვალდებუ-ლია უწყება დაუყოვნებლივ ჩაბაროს ადრესატს. უწყების ამ ნაწი-ლით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყე-ბის ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეო-რე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

განსახილველ შემთხვევაში საქალაქო სასამართლომ მოსამზა-დებელი სხდომის თაობაზე საქმეში მითითებულ მისამართზე აც-ნობა მოსარჩელის წარმომადგენელს – თ. კ-ის, ხოლო მოსარჩელე მხარის მოსამზადებელ სხდომაზე გამოუცხადებლობის შემდეგ სა-სამართლოს მთავარი სხდომის დანიშნის შესახებ ეცნობა როგორც მოსარჩელეს, ასევე მის წარმომადგენელს. ორივე შემთხვევაში სა-სამართლო უწყება ჩაიპარა მოსარჩელე ქ. ა-ის წარმომადგენლის – თ. კ-ის დედას. რაც შეეხება თავად ქ. ა-ისთვის განკუთვნილ სასა-მართლო უწყებას – საქმეში წარმოდგენილი უკუგზავნილიდან ირ-კვება, რომ უწყება მოსარჩელის მიერ მითითებულ მისამართზე ჩა-ბარებული ვერ იქნა ადრესატის მისამართზე არყოფნის გამო. ამ-დენად, მართალია, თავად ქ. ა-ს უწყება სასამართლოს მთავარი სხდომის თაობაზე ვერ ჩაბარდა, თუმცა უწყება სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად (რომლის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამპარებელმა სა-სამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითი-თებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯა-ხის რომელიმე ქმედუნარიან წევრს) ჩაბარდა მოსარჩელე ქ. ა-ის წარმომადგენლის – თ. კ-ის დედას, რომელიც ამავე მუხლის თა-ნახმად, ვალდებული იყო უწყება დაუყოვნებლივ ჩაებარებინა ად-რესატისთვის. ამდენად, მოსარჩელე ქ. ა-ის წარმომადგენელს – თ. კ-ის სასამართლოს მთავარი სხდომის თაობაზე ეცნობა კანონით დადგენილი წესით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცე-

სო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, წარმომადგენლისათვის გაგზავნილი დოკუმენტი ჩაითვლება მხარისათვის გაგზავნილად, ხოლო მხარისათვის გაგზავნილი – წარმომადგენლისათვის გაგზავნილად. ამდენად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს საპელაციო სასამართლოს დასკვნას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მხარე კანონით დადგენილი წესით იყო ინფორმირებული როგორც სასამართლოს მთავარი სხდომის, ასევე სხვა საპროცესო მოქმედებების თაობაზე. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე მხარე სადაცოდ არ ხდის სასამართლო უწყების ჩაბარების საკითხს, არამედ, მიუთითებს სასამართლო სხდომის სხვა დროისთვის გადადების თაობაზე მისი შუამდგომლობის მიუხედავად, საქალაქო სასამართლოს მიერ მათი დასწრების გარეშე საქმის განხილვისა და გადაწყვეტის თაობაზე.

შესაბამისად, შეფასება უნდა მიეცეს საქალაქო სასამართლოს მიერ მოსარჩელე მხარის დასწრების გარეშე საქმის განხილვისა და გადაწყვეტის შესაძლებლობას, მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ წარდგენლი შუამდგომლობის პირობებში, რა დროსაც საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 19 ივნისის სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე გამოუცხადებლობის შემდეგ 2020 წლის 30 სექტემბერს 16:00 საათზე დანიშნული მთავარი სხდომის თაობაზე სასამართლო უწყება გაეგზავნათ მოსარჩელესა და მის წარმომადგენელს და 2020 წლის 25 ივნისს ჩაბარდა მოსარჩელე ქ. ა-ის წარმომადგენლის – თ. კ-ის დედას, 2020 წლის 29 სექტემბერს საქალაქო სასამართლოში წარდგენილ განცხადებაზე თანდართული სატელეფონო აქტის მიხედვით კი 2020 წლის 30 სექტემბერს 16:00 საათზე სხვა საქმეზე დანიშნული სხდომის თაობაზე, სადაც თ. კ-ი მოპასუხებს წარმომადგენდა, თ. კ-ის 2020 წლის 17 აგვისტოს ეცნობა. შესაბამისად, 2020 წლის 17 აგვისტოს განხორციელებული სატელეფონო შეტყობინების დროს მოსარჩელე ქ. ა-ის წარმომადგენლისთვის უკვე ცნობილი იყო მოცემულ საქმეზე სასამართლოს მთავარი სხდომის 30 სექტემბერს, იმავე დროს დანიშვნის თაობაზე; ქ. ა-ის საქმეზე 2020 წლის 30 სექტემბერს დანიშნული სასამართლოს მთავარი სხდომის გადადების თაობაზე შუამდგომლობა კი სასამართლოში წარდგენილია მხოლოდ პროცესის წინა დღეს – 2020 წლის 29 სექტემბერს. ამდენად, მოსარჩელის წარმომადგენელს არ

მიუღია სათანადო ზომები, ერთი მხრივ, 2020 წლის 17 აგვისტოს განხორციელებული სატელეფონო შეტყობინების დროს სხდომის სხვა თარიღში ჩანიშვნისა და, მეორე მხრივ, 2020 წლის 17 აგვისტოდან 29 სექტემბრამდე სასამართლო სხდომის სხვა დროსთვის გადადების უზრუნველსაყოფად. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზეც, რომ მოსარჩელე მხარეს საქალაქო სასამართლოსთვის არ ც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებამდე, რომელიც 2020 წლის 30 სექტემბრის სხდომიდან ჩაინიშნა 2020 წლის 16 ოქტომბერს 17:50 საათზე, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ქ. ა-ის სარჩელზე, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება ნაცვლად 2020 წლის 16 ოქტომბრისა გაიმართა 2020 წლის 28 ოქტომბერს 16:10 საათზე. საკასაციო სასამართლოს მითითებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216.1 მუხლი საქმის განხილვის გადადებას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გონივრული ვადით. სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად შესაფასებლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესის თანახმად, საპატიოდ ჩაითვლება ისეთი გარემოების არსებობის სარწმუნოდ დადასტურება, რომელიც ობიექტურად შეუძლებელს ხდის მხარის მიერ საპროცესო მოქმედების შესრულებას, მოცემულ შემთხვევაში კი – სასამართლო პროცესზე გამოცხადებას. განსახილველ შემთხვევაში, იმ პირობებში, როდესაც კანონით დადგენილი წესით დაბარებული მოსარჩელე მხარე არ გამოცხადებულა არც 2020 წლის 19 ივნისის სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე და არც 2020 წლის 29 სექტემბრამდე სასამართლო სხდომის გადადების უზრუნველსაყოფად განუხორციელებია სათანადო ღონისძიებები, ხოლო მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები, რომლებიც ესწრებოდნენ, როგორც მოსამზადებელ, ასევე მთავარ სხდომას, არ დაეთანხმენ მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობას პროცესის სხვა დროისათვის გადადების თაობაზე, საქალაქო სასამართლო უფლებამოსილი იყო საქმე განეხილა მოსარჩელე მხარის დაუსწრებლად. მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო სხდომის სხვა დროისთვის გადადების მიზანშენონილობის საკითხს წყვეტს სასამართლო, კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ მხარის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში წარმოადგენს მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროცესუალურ

უფლებას, თუმცა სასამართლო სხდომაზე კანონით დადგენილი წე-
სით მოწვეული მხარის არაერთხელ გამოუცხადებლობის დროს,
საქმის განხრას გაჭიანურების თავიდან არიდების მიზნით, სადა-
ვო საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად,
სასამართლო უფლებამოსილია საქმე განხილვის გამოუცხადებე-
ლი მხარის დაუსწრებლად. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექ-
სის **26¹** მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლო (მოსამარ-
თლე) უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხა-
დებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწ-
ყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ამ კო-
დექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით.
განსახილველ შემთხვევაში, საქალაქო სასამართლოს მიერ მოსარ-
ჩელე მხარის დაუსწრებლად საქმის განხილვისა და გადაწყვეტის
მართლზომიერება შეფასდა საქალაქო სასამართლოს მიერ საქმის
განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით განხორციელებული საპრო-
ცესო მოქმედებების გათვალისწინებით.

ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ბ“
პუნქტის მიხედვით, საქმის განხილვა მხარის დაუსწრებლად იმ შემ-
თხვევაში ნარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუ-
ტურ საფუძველს, თუ მას არ მიუღია შეტყობინება კანონით დად-
გენილი წესით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

საყურადღებოა, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე გვაქვს
არა ის შემთხვევა, როდესაც კანონით დადგენილი წესით არ ხდება
მხარის შეტყობინება, რაც ქმნის გადაწყვეტილების გაუქმების აბ-
სოლუტურ საფუძველს და საპრელაციო სასამართლოს მხრიდან
საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნე-
ბის წინაპირობას, არამედ, სახეზეა კანონით დადგენილი წესით ინ-
ფორმირებული პირის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლო-
ბა და ასეთ შემთხვევაში სასამართლოს მიერ სხდომის გადადების
მიზანშეწონილობის შეფასება.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებას
საქმის ხელახლა განსახილველად საქალაქო სასამართლოში დაბ-
რუნების თაობაზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სა-
ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თა-
ნახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს
იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქ-
მეთა განხილვისათვის. სააპელაციო სასამართლოში, საკასაციო სა-
სამართლოსაგან განხსხვავებით, საქმის განხილვა მიმდინარეობს
იმ წესების დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია პირველი ინ-
სტანციის სასამართლოსათვის, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო
უფლებამოსილია, საქმე განიხილოს არსებითად, გამოიკვლიოს და

დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და საქმეს მისცეს სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამონმებს როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ საქმეს განიხილავს, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ისე მათი სამართლებრივი შეფასების კუთხით. საამისოდ კი სააპელაციო სასამართლოს გააჩინია ყველა ის საპროცესო მექანიზმი, რაც აუცილებელია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ყოველმხრივი შემოწმებისა და საქმის სრულყოფილი, კომპლექსური განხილვისათვის. მართალია, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოს, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მას ასევე შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი, ანუ არსებითად განიხილოს საქმე და მიიღოს მასზე გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება, თვითონ, პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის საქმის დაბრუნების გარეშე, გადაწყვიტოს საქმე, ემყარება საპროცესო ეკონომიკის პრინციპს. სააპელაციო სასამართლო იმ შემთხვევაში უფლებამოსილი დაუბრუნოს საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, როდესაც მას თვითონ არ შეუძლია სრულყოფილად გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები ან როგორსაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ სააპელაციო სასამართლო ვერ შეამონებს მას ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ ობიექტურად უნდა არსებობდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან გადააგზავნის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ უნდა დაიკარგოს სააპელაციო სასამართლოს, როგორც ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს, მნიშვნელობა.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის არსებითად გადაწყვეტის შეუძლებლობა და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აუცილებლობა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საქმეზე არ დგინდება საქალაქო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევით საქმის განხილვა და გადაწყვეტა. სააპელაციო სასამართლოს მინიჭებული აქვს სრული საპროცესო შესაძლებლობა საქმე სრულყოფილად არსებითად განიხილოს როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით, დამატებით გამოიკვლიოს საქ-

მისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რის შედეგადაც სამართლებრივი შეფასება მისცეს სადაც საქმეს და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის, 377-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, თავად ჰქონდა შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში განეხორციელებინა რიგი საპროცესო მოქმედებები, რაც ხელს შეუწყობდა საქმის ყოველმხრივი და ობიექტური განხილვის შედეგად კონკრეტული შემთხვევისათვის სათანადო გადაწყვეტილების მიღებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება ეფუძნება იმ გარემოებას, რომ საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებთან დაკავშირებით და შედეგად სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას, საკასაციო სასამართლო მოცემულ ეტაპზე არ აფასებს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არსებითად უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს მოცემული დავა, რის გამოც საკასაციო სასამართლო ამ ეტაპზე არსებითად ვერ იმსჯელებს საქმის ფაქტობრივ თუ სამართლებრივ გარემოებებთან მიმართებით.

რაც შეეხება სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, მართალია, საბოლოო სააპელაციო მოთხოვნა განისაზღვრა იმგვარად, რომ აპელანტმა საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა, თუმცა იგი ასევე მიუთითებდა სადაც აქტების უკანონობაზე, რის გამოც სააპელაციო სასამართლო არ იყო შეზღუდული დავა განხილა და გადაწყვიტა არსებითად.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 თებერვლის განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-
მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-
წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე
მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბი-
ლისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სა-
კასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 თებერვლის განჩინება და
საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამარ-
თლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლო-
ოა და არ საჩივრდება.

სამშენებლო სამართალდარღვევისთვის დაკისრებული ჟარიშისგან გათავისუფლების საფუძველი

გადაცევაფილება საქართველოს სახელი

№ბს-555(კ-20)

12 იანვარი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. გოგიაშვილი

დავის საგანი: სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე მი-
ღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-
ტების კანონიერება

აღნერილობითი ნაწილი:

თ. ლ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის მუ-
ნიციპალიტეტის მერიის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერი-

ის ქონების მართვის სააგენტოს მიმართ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გამოცემული დაჯარიმების შესახებ დადგენილების ბათილად ცნობის და ქონების მართვის სააგენტოსათვის მოსარჩელის მიწის ნაკვეთზე უკანონოდ შექრილი წითელი ხაზების გასწორების დავალების მოთხოვნით. ხარვეზის შეესების მიზნით წარდგენილ სარჩელში თ. ლეგებ მოპასუხებად დაასახელა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ზედამხედველობის სამსახური, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის სააგენტო და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციული დავების განხილვისა და სამართლებრივი აქტების მომზადების განყოფილება. თ. ლეგებ დაამატებით მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციული დავების განხილვისა და სამართლებრივი აქტების მომზადების განყოფილების №17/289497 ბრძანების მე-3 პუნქტის ბათილად ცნობა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2007 წლიდან არის ...ში მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, ნაკვეთის რეგისტრაციისას არასწორად დაფიქსირდა წითელი ხაზები. 2015 წლის ივლისში მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წითელი ხაზების კორექტირების მიზნით, თუმცა შიიღო უარი. 2015 წლის აგვისტოში მოსარჩელის მიმართ გაიცა მითითება არაზუსტი წითელი ხაზების და ფასადზე არსებული დარღვევების გასწორების მიზნით. მითითების შესრულების მიზნით მოსარჩელემ მიმართა ქონების მართვის სააგენტოს წითელი ხაზების კორექტირების მოთხოვნით, თუმცა სააგენტოს 23.09.2015ნ. გადაწყვეტილებით თ. ლეის მოთხოვნა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე იქნა უარყოფილი. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ქონების მართვის სააგენტოს უარმა შეუძლებელი გახადა მის მიერ მითითების შესრულება. რაც შეეხება ფასადზე არსებულ დარღვევებს, მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ფიზიკური და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით მისთვის შეუძლებელი გახდა პროექტთან ფასადის სრულ შესაბამისობაში მოყვანა. ამასთანავე, ფასადის მდგომარეობის მხედველობაში მიღებით კორექტირებული პროექტის შეთანხმება შესაძლებელია, რაც ვერ ხორციელდება წითელი ხაზების არასათანადოდ რეგისტრაციის გამო. ამდენად, მითითების შესრულება შეუძლებელი იყო ადმინისტრაციული ორგანოს – ქონების მართვის სააგენტოს უმოქმედობის გამო, რამაც საბოლოოდ გამოიწვია თ. ლეის დაჯარიმების შესახებ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 27.01.2016წ. დადგენილების გამოცემა. აღნიშნული დადგენილების გამოცემი-

სას არ იქნა გათვალისწინებული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, თ. ლ-ის მიერ მითითების შესრულების შეუძლებლობის საკითხი. 27.01.2016წ. დადგენილებაზე მოსარჩეულები წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი, თუმცა საჩივრის განხილვისას მერიამ არ იმსჯელა წითელი ხაზების პრობლემატიკაზე, წარმოებაში არ ჩართო სსიპ ქონების მართვის სააგენტო და არ ჩაატარო სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოება. ამდენად, თ. ლ-ე მიიჩნევს, რომ დაჯარიმდა იმ მითითების შეუსრულებლობის-თვის, რომლის შესრულების ობიექტური შესაძლებლობა მას არ ჰქონდა.

სასამართლოს 02.03.2017წ. სხდომაზე თ. ლ-ემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნები და აღნიშნა, რომ ითხოვს: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 27.01.2016წ. №000484 დადგენილების, ქ. თბილისის მერიის 31.10.2016წ. №1-1970 ბრძანების ბათილად ცნობას და სსიპ ქონების მართვის სააგენტოსათვის მოსარჩელის მიწის ნაკვეთზე უკანონოდ შემოჭრილი წითელი ხაზების გასწორების დავალებას.

სასამართლოს 27.02.2018წ. სხდომაზე თ. ლ-ემ უარი თქვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის სააგენტოს მიმართ არსებულ, წითელი ხაზების კორექტირების დავალების შესახებ მოთხოვნაზე, რის გამო **ც** თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.02.2018წ. განჩინებით თ. ლ-ის აღნიშნულ მოთხოვნასთან მიმართებით შეწყდა საქმის წარმოება. დავაში მოპასუხებად მიეთითნენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზე-დამხედველობის საქალაქო სამსახური.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.02.2018წ. გადაწყვეტილებით თ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ თ. ლ-ის მიმართ 25.08.2016წ. შედგა №000484 მითითება, რომლის თანახმად, დარღვეული იყო სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 16.08.2010წ. №01/1784 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი, თ. ლ-ეს დარღვევის გამოსწორების მიზნით განესაზღვრა 30-დღიანი ვადა. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 28.09.2016 წ. შედგა №000484 შემოწმების აქტი, რომლითაც დადგინდა თ. ლ-ის მიერ მითითების პირობების შეუსრულებლობა. სასამართლომ მიუთითა „შეწყებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. №57 დადგენილების მე-4 მუხლზე, 36-ე

მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებზე, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 14.2, 22.9, 25-ე, 44-ე მუხლებზე, 45.1 მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ საქმის მასალებით დადასტურდა თ. ლ-ის მიერ სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების უნდართვოდ განხორციელება. „მემნებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. №57 დადგენილების 62-ე მუხლით განსაზღვრულია სამშენებლო დოკუმენტების ისეთი ცვლილებები, რომლებიც წარმოადგენს დასაშვებ ცვლილებას და რომელთა არსებობის შემთხვევაში არ არის საჭირო ახალი მშენებლობის ნებართა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებულ დადგენილებაში მითითებული გარემოებები არ შეესაბამება აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ დასაშვებ ცვლილებებს, რის გამო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსარჩელის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების, სადაც აქტების ბათილად ცნობის საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.02.2018წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა თ. ლ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.01.2019წ. განჩინებით თ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო პალატაში საქმის განხილვისას მონინააღმდეგე მხარედ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ნაცვლად მიეთითა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.01.2019წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა თ. ლ-ის მიერ. კასატორმა აღნიშნა, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლიოებმა სრულყოფილად არ გამოიკვლიეს საქმის გარემოებები, არ გაითვალისწინეს, რომ საქმის მასალებით დასტურდებოდა თ. ლ-ის მიერ მითითების შესრულების შეუძლებლობა. წითელი ხაზების კორექტირებაზე სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უკანონო და დაუსაბუთებელი უარის გამო ვერ განხორციელდა წითელი ხაზების გასწორება, ასევე – პროექტის კორექტირება. მითითების შეუსრულებლობა არ ყოფილა გამოწვეული მოსარჩელის ბრალით. სასამართლოს შეეძლო ზედამხედველობის სამსახურის სადაც აქტის კანონიერების შემოწმების ფარგლებში ემსჯელა წი-

თელი ხაზების კორექტირებაზე უარის თქმის შესახებ ქონების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილების კანონიერებაზეც, რადგან აღნიშნულ გარემოებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ზედამხედველობის სამსახურის სადაც დადგენილების მართლზომიერების შეფასებისას.

სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და თ. ლ-ის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დგინდება, რომ ...ში მდებარე 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს.კ., ნაკვეთის ნინა ნომერი: ...) მესაკუთრე 04.10.2007წ. საზოტარო წესით დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გახდა მოსაჩივლე თ. ლ-ე. სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.06.2010წ. ბრძანებით თ. ლ-ის მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, ამავე ნაკვეთზე 16.08.2010წ. ბრძანებით შეთანხმდა კორექტირებული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რის საფუძველზეც თ. ლ-ემ განახორციელა სამშენებლო სამუშაოები. თ. ლ-ის 06.07.2015წ. განცხადებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსგან მოთხოვნილ იქნა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის საზღვრებისა და ფართის დაზუსტება, თუმცა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 08.07.2015წ. გადაწყვეტილებით წარმოება შეჩერდა რეგისტრირებულ და სარეგისტრაციოდ წარდგენილი უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის ზედდების დაფიქსირების გამო, ხოლო სააგენტოს 10.08.2015წ. გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა. საქმის მასალებით, მათ შორის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 15.12.2017წ. წერილით დგინდება, რომ ზედდება ხდებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან. ამასთანავე, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 23.09.2015წ. გადაწყვეტილების მიხედვით განხილულ იქნა თ. ლ-ის მიმართვა თვითმმართველი ერთეულის ქონების გადაფარვის გამო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საზღვრების კორექტირების შესახებ, რაც არ დაკმაყოფილდა მიზანშეუწოდობის საფუძვლით.

დადგენილია აგრეთვე, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მე-

რის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა 25.08.2015წ. თ. ლ-ის მიმართ გასცა მითითება პროექტის დარღვევით განხორციელებული შენებლობის გამო. მითითების დანართის მიხედვით დაფიქ-სირდა რამდენიმე სახის დარღვევა, კერძოდ, დადგინდა, რომ: რე-ლიეფის დონე და ტერიტორიის კეთილმოწყობა არ შეესაბამებოდა პროექტში მითითებულს, აღნიშნული ღობის ნაწილი და ლითონის ჭიშკარი ცდებოდა საკადასტრო წითელ ხაზებს, შეცვლილი იყო მი-ნის ნაკვეთის საკადასტრო კოდი (...-ის ნაცვლად რეგისტრირებუ-ლი იყო ...), გამოვლინდა აგრეთვე მშენებლობის განხორციელები-სას შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევები, რო-გორებიცა: საფეხურების კონფიგურაციის შეცვლა, დამატებითი ხის დეტალების მოწყობა, ავტოფარებში შესასვლელი კარის გაბა-რიტისა და პანდუსის გაბარიტის ცვლილება, საბუხრე მილის გაუქ-მება, ფანჯრის ნაცვლად მომცრო ღიობის მოწყობა, ფანჯრებზე დამატებითი ლითონის გისლების მოწყობა და სხვ.. თ. ლ-ეს მიეცა 30-დღიანი ვადა დარღვევის გამოსასწორებლად. ზედამხედველო-ბის საქალაქო სამსახურის 28.09.2015წ. შემოწმების აქტით დად-გინდა მითითების პირობების შეუსრულებლობა. სამშენებლო სა-მართალდარღვევის საქმის ნარმობის ფარგლებში გამართული ზე-პირი მოსმენის სხდომაზე თ. ლ-ემ ითხოვა დამატებითი ვადა დარ-ღვევის გამოსასწორებლად. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მე-რიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 27.11.2015წ. ბრძა-ნებით სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის განხილვის ვადა გაგრძელდა 2015 წლის 27 ნოემბრიდან 2016 წლის 27 იანვრამდე. ადმინისტრაციული ნარმობის ფარგლებში 20.01.2016წ. გამართულ სხდომაზე თ. ლ-ემ აღნიშნა, რომ წითელი ხაზები ვერ გასწორდა მისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, სისპ ქონების მართვის სააგენტომ მიზანშეზონლად მიიჩნია წითელი ხაზების კორექტი-რება, შესაბამისად, თ. ლ-ე ვერ ახდენდა კორექტირებული პროექ-ტის შეთანხმებას და დარღვევების გამოსწორებას. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსა-ხურის 27.01.2016წ. №000484 დადგენილებით თ. ლ-ე დაჯარიმდა 2000 ლარით პროექტის დარღვევით მეორე კლასის შენობა-ნაგე-ბობის მშენებლობისთვის და განემარტა, რომ ჯარიმის დაკისრე-ბის სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხსერელობის შემთხვე-ვაში იგი ხელახლა დაჯარიმდებოდა. აღნიშნული დადგენილება ად-მინისტრაციული საჩივრით გასაჩივრდა თ. ლ-ის მიერ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 31.10.2016წ. ბრძანებით თ. ლ-ის ადმი-ნისტრაციული საჩივარი ნაწილობრივ დაქმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 27.01.2016წ. დადგენილება იმ ნაწილში, რომლითაც დარღვევად იქ-

ნა მიჩნეული საკადასტრო კოდის ცვლილება; არქიტექტურული პროექტის დარღვევით მშენებლობის განხორციელების ნაწილში ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სადაცო დადგენილება დარჩა ძალაში. დგინდება აგრეთვე, რომ მითითებისა და შემოწმების აქტის მიღების შემდგომ, თუმცა სადაცო 27.01.2016წ. დადგენილებისა და 31.10.2016წ. ბრძანების გამოცემამდე დამკვეთ თ. ლის სახელზე მშენებლობის ვადის გასვლის გამო სსიპ არქიტექტურის სამსახურის 18.12.2015წ. ბრძანებით გაიცა მშენებლობის ახალი ნებართვა 2015 წლის დეკემბრიდან 2016 წლის ივნისამდე მოქმედების ვადით 16.08.2010წ. შეთანხმებულ პროექტზე, ანუ იმავე პროექტზე, რომლის დარღვევით მშენებლობის განხორციელების გამოც თ. ლეს შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრა.

საქმის მასალებით, ასევე თავად თ. ლის, მათ შორის სარჩელში ასახული, ახსნა-განმარტებით დასტურდება თ. ლის მიერ სამშენებლო სამუშაოების წარმოება არქიტექტურის სამსახურის 16.08.2010წ. ბრძანებით შეთანხმებული პროექტის დარღვევით. მართალია, თ. ლის მიერ სამშენებლო სამუშაოების დაწყება მოხდა უფლებამოსილი ორგანოს – არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, თუმცა შემდგომში დაირღვა სამშენებლო დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობები, რაც სამშენებლო სამართალდარღვევად მიიჩნევა. მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია მშენებლობის ნებართვა, მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სანებართვო პირობების შესრულება („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. №57 დადგენილების სადაცო პერიოდში მოქმედი რედაქციის 20.2 მუხ. „დ“ ქვ.პ., 33.1 მუხ. „ა“ ქვ.პ., 36.1 მუხ., 70.1 მუხ. „გ“ ქვ.პ.). პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის სადაცო პერიოდში მოქმედი რედაქციის თანახმად, სამშენებლო დოკუმენტაციით განსაზღვრული სანებართვო პირობების დარღვევა ქ. თბილისის ტერიტორიაზე მე-2 კლასის შენობა-ნაგებობასთან მიმართებით, იწვევდა პირის დაჯარიმებას 2000 ლარით (45.1 მუხ. „ა.ა“ ქვ.პ.). ამდენად, თ. ლემ ჩაიდინა სამშენებლო სამართალდარღვევა, თუმცა ადმინისტრაციულ ორგანოებს და ქვედა ინსტანციის სასამართლოებს არ უმსჯელიათ თ. ლისთვის სანქციის შეფარდების შესაძლებლობაზე მშენებლობის მოქმედი, ვადაში მყოფი ნებართვის არსებობის პირობებში. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მშენებლობის ნებართვის გაცემა გულისხმობს პირისათვის დამტკიცებული პროექტის შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის მიცემას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი პერიოდის

განმავლობაში. განსახილველ შემთხვევაში 16.08.2010წ. არქიტექტურული პროექტის დარღვევით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების გამო თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა 08.07.2015წ. წერილით (გაფრთხილება) მიმართა თ. ლ-ეს და განუსაზღვრა 45-დღიანი ვადა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის 16.08.2010წ. არქიტექტურული პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად ან კორექტირებული პროექტის შესათანხმებლად, 25.08.2015წ. გაიცა მითითება, ხოლო 28.09.2015წ. შედგა შემონმების აქტი. მითითებისა და შემონმების აქტის გაცემის პერიოდში 16.08.2010წ. არქიტექტურულ პროექტთან დაკავშირებით გაცემული ნებართვის მოქმედების ვადა ამონურული იყო, ნებართვა ძალაში იყო მხოლოდ 2011 წლის აგვისტოს ბოლომდე. ამდენად, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ წერილის (გაფრთხილების), მითითებისა და შემონმების აქტის შედგენისას თ. ლ-ეს აღარ ჰქონდა სამშენებლო სამუშაოების განხორციელების რაიმე საფუძველი და დგინდებოდა გადაცდომის ფორმალურად არსებობა, თუმცა შემონმების აქტის მიღების შემდგომ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე სადაც 27.01.2016წ. დადგენილების გამოცემამდე, თ. ლ-ის სახელზე მშენებლობის ვადის გასვლის გამო სსიპ არქიტექტურის სამსახურის 18.12.2015წ. ბრძანებით გაიცა მშენებლობის ახალი ნებართვა 2015 წლის დეკემბრიდან 2016 წლის ივნისამდე მოქმედების ვადით 16.08.2010წ. შეთანხმებულ პროექტზე. ამდენად, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს – სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ თ. ლ-ეს მიეცა სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა 16.08.2010წ. შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ფარგლებში, ბრძანება არ შეიცავს დათქმას 16.08.2010წ. არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების რაიმე ნიშნით დიფერენცირების ან მხოლოდ კონკრეტული შინაარსის ქმედების განხორციელებაზე ნებართვის გაცემის შესახებ, შესაბამისად არ გამოირიცხება ახალი ნებართვის მოქმედების პრიობებში თ. ლ-ის მიერ სამშენებლო საქმიანობის განხორციელება თავისი ნაგებობის 16.08.2010წ. პროექტთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით, რაც თავის მხრივ, მითითების დანართში ასახული დარღვევების გამოსწორების შესაძლებლობასაც გულისხმობს. აღნიშნული გარემოება სრულად უგულებელყოფილი იქნა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სადაც აქტების გამოცემისას. სსიპ ზედამხედველობის სამსახურის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის გამო თ. ლ-ისთვის სანქციის დაკისრება მოხდა მშენებლობის ახალი ნებართვის მოქმედების პირობებში, როდესაც თ. ლ-ეს ჰქონდა კიდევ რამდენიმე **ეთ**ვიანი ვა-

და 16.08.2010წ. არქიტექტურული პროექტის ფარგლებში ქმედებების განსახორციელებლად.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უნებართვო მშენებლობის გამოვლენისა და სათანადო რეაგირების მიზნით უფლებამოსილი ორგანო ახორციელებს საზედამხედველო წარმოებას. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი (სადაც პერიოდში მოქმედი რედაქციით) პროექტის დარღვევით წარმოებული მშენებლობისთვის ითვალისწინებდა სანქციას (45.1 მუხ.), ამასთანავე, პირისთვის სანქციის დაკისრება არ ხდებოდა სამართალდარღვევის გამოვლენისთანავე (25-ე მუხ.), რადგან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების მთავარი მიზანი არ არის დამრღვევის დასჯა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანომდებლობის ამოცანას შეადგენს საკუთრების, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა. ამ ამოცანის განსახორციელებლად კანონმდებლობა განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს სამართალდარღვევის ჩამდენს (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1-ლი მუხ.). ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთ-ერთი სახეა სამშენებლო სამართალდარღვევა – სამშენებლო სამუშაოების პროექტის დარღვევით განხორციელება. ნორმატიულად კონკრეტული დარღვევისათვის სახდელის დაკისრების შესაძლებლობა კანონსაწინააღმდეგო ქმედების პრევენციის ფუნქციას ასრულებს და მიზნად ისახავს შესაძლო დარღვევების თავიდან აცილებას. სახდელის დაკისრების სწორედ აღნიშნული ფუნქციით იყო განპირობებული პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით სამშენებლო სამართალდარღვევაზე რეაგირების შესაბამისი პროცედურის (მითითებისა და შემოწმების აქტის შედგენა, საქმის წარმოების ვადის გაგრძელება) გათვალისწინება და არა სამართალდარღვევის გამოვლენისთანავე პირის დაჯარიმების წესი. სამართალდარღვევის საქმის წარმოება მიმართულია უკვე არსებულ ფაქტზე, ხდება ისეთ ქმედებაზე რეაგირება, რომელიც უკვე ჩადენილია. აღნიშნულის მიუხედავად არ ხდება დამრღვევისათვის სანქციის დაუყონებლივ შეფარდება, როგორც სადაც პერიოდში, ისე ამჟამად მოქმედი მოწესრიგების მიხედვით თავდაპირველად პირს ეძლევა სამშენებლო გადაცდომის გამოსწორების შესაძლებლობა. ამდენად, ცხადია, რომ კანონ

მდებლის უპირატესი მიზანია არსებული სამართალდარღვევის აღმოფხვრა, მისი გამოსწორება და არა დამრღვევის დასჯა (სუსგ №ძს-468-465(კ-17)). ამდენად, იმ პირობებში, როდესაც თ. ლ-ეს უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიეცა 16.08.2010წ. არქიტექტურული პროექტის ფარგლებში ქმედებების განხორციელების შესაძლებლობა, რაც არ გამორიცხავდა თ. ლ-ის მიერ თავისი ნაგებობის პროექტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას და ამდენად, მითითების დანართში აღნერილი დარღვევების გამოსწორებას, დაუსაბუთებელია ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სადავო 27.01.2016წ. დადგენილებით თ. ლ-ისათვის ჯარიმის დაკისრება და შემდგომ მერიის მიერ აღნიშნული აქტის ძალაში დატოვება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საერთო წესის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, მოწმდება მისი გამოცემის დროისათვის არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მოქმედი სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით. ამასთანავე, მოცემულ შემთხვევაში დავის საგანი უკავშირდება სამართალდარღვევის გამო სახდელის, კერძოდ ჯარიმის დაკისრების საკითხს, რომელიც დღემდე ძალაში არ არის შესული. სანქციის დრო მოიცავს არა მხოლოდ ზედამხედველობის ორგანოს მიერ მისი გამოყენების, არამედ აგრეთვე ზემდგომი ორგანოების და სასამართლოს მიერ სანქციის გამოყენების კანონიერების შემოწმების პერიოდს. სადავო აქტის გასაჩივრების შემთხვევაში პირისათვის საბოლოო შედეგს ინვენს სასამართლო გადაწყვეტილება და არა ადმინისტრაციული ორგანოს სადავო აქტები. აღნიშნულის მიუხედავად ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ სრულად უგულებელყოფილი იქნა მშენებლობის ახალი ზეპართვის მოქმედების პირობებში სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე 27.01.2016წ. №000484 დადგენილების გამოცემის ფაქტი, მშენებლობის ახალი ნებართვის შინაარსი. აღნიშნულ გარემოებაზე მითითებას არ შეიცავს სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) აღნერილობითი ნაწილიც კი. საკასაციო პალატა თვლის, რომ სადავო აქტების კანონიერების დადგენა საჭიროებდა აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების თანამდევი სამართლებრივი შედეგების შეფასებას, რაც არ მომხდარა როგორც ადმინისტრაციული ასევე სასამართლო წარმოების ფარგლებში, ამდენად, მართებულია კასატორის მოსაზრება სადავო საკითხის საქმის გარემობათა სრულად გამოკვლევის გარეშე გადაწყვეტილი შესახებ.

სადავო აქტების საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და სათანადო დასაბუთების გარეშე გამოცე-

მას ადასტურებს აგრეთვე იმ ფაქტის უგულებელყოფა, რომ თ. ლი-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფაქტობრივი საზღვრებს, ხოლო მოსარჩევე არ ემთხვეოდა რეგისტრირებულ საკადასტრო საზღვრებს, ხოლო მოსარჩევე როგორც ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, ასევე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას არაერთგზის აღნიშნავდა მის მიერ მითითების შეუსრულებლობის ობიექტური შეუძლებლობის შესახებ და უთითებდა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 23.09.2015წ. გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვით თ. ლი-ის მოთხოვნა თვითმმართველი ერთეულის ქონების გადაფარვის გამო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საზღვრების კორექტირების შესახებ არ დაკმაყოფილდა მიზანშეუწოდობის საფუძვლით. გასათვალისწინებელია, რომ სააგენტოს 23.09.2015წ. გადაწყვეტილება, ისევე როგორც მისი საფუძველი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების რეგისტრაციის გაუქმებისა და უძრავი ქონების საზღვრების ცვლილება-კორექტირების საკითხების განმხილვის კომისიის 13.08.2015 წ. ოქმი, არ შეიცავს რაიმე სახის დასაბუთებას. ამასთანავე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ 01.02.2018წ. მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება ქ. თბილისის საკუთრებად რეგისტრირებული მინის ნაკვეთის საზღვრების კორექტირების შესახებ, რაც აისახა საჯარო რეესტრის მონაცემებში. აღნიშნულის შემდგომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 05.02.2018წ. გადაწყვეტილებით განხორციელდა თ. ლი-ის საკუთრებაში რიცხული მინის ნაკვეთის რეგისტრაციის დაზუსტება ახალი საკადასტრო ნახაზის შესაბამისად, შედეგად ერთმანეთს დაემთხვა თ. ლი-ის მინის ნაკვეთის ფაქტობრივი და საკადასტრო საზღვრები. გასათვალისწინებელია, რომ რაიმე სახის დასაბუთებას არ შეიცავს აგრეთვე საზღვრის კორექტირების მიზანშეწონილობის შესახებ მიღებული 01.12.2018წ. გადაწყვეტილება, რის გამო ვერ დგინდება რაიმე არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების ცვლილება, რაც საზღვრების კორექტირებაზე უარის თქმის შემდგომ ნარმოიშვა და დადებითი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა. მსგავსი გარემოებების არსებობაზე არ უთითებს სსიპ ქონების მართვის სააგენტო თავის 01.12.2018წ. გადაწყვეტილებაში, რის გამო ~~ც~~ ნარმოიშობა დასაბუთებული ვარაუდი იმის შესახებ, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება თავიდანვე (2015წ.) შესაძლებელი იყო, მით უფრო ზედღების მცირე ფართობის, გადაფარულ მონაკვეთზე თ. ლი-ის მინის ნაკვეთის კაპიტალური ღობის ნაწილის არსებობის გათვალისწინებით. საქმეზე არ დადგენილა მუ-

ნიციპალიტეტის დაცვის ღირსი ინტერესი, რაც 2015 წელს საზღვრის კორექტირების მიზანშეუწონლობას დაასაბუთებდა. თ. ო-ე მიიჩნევდა, რომ მითითების შესრულების დამაბრკოლებელ გარემოებას ქმნიდა სწორედ მუნიციპალიტეტის საკუთრების საზღვრის დაუზუსტებლობა, რაც თავის მხრივ კორექტირებული პროექტის დამტკიცებას უშლიდა ხელს. თ. ო-ის მიერ გარკვეული სამშენებლო სამუშაოების პროექტის დარღვევით განხორციელება, იმთავითვე არ ქმნიდა მისი დაჯარიმების საფუძველს, სავარაუდო სამართალდამრღვევა პირს უნდა მიეცეს დარღვევის გამოსწორების რეალური შესაძლებლობა, მითითების გაცემას არ აქვს მხოლოდ ფორმალური დანიშნულება. განსახილველ შემთხვევაში თ. ო-ე თვლიდა, რომ მითითების შესრულება შეუძლებელი იყო მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ეს მოსაზრება არ გაიზიარეს, თუმცა აღნიშნული არგუმენტის უსწორობის სათანადო დასაბუთებას სადაც აქტები არ შეიცავს. ადმინისტრაციულ ორგანოებს არ დაუსაბუთებიათ დადგენილ ვადაში თ. ო-ის მიერ მითითების შესრულების ობიექტური შესაძლებლობის არსებობა, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ თ. ო-ემ რამდენჯერმე ითხოვა სისიპ არქიტექტურის სამსახურისაგან განმარტება წითელი ხაზების კორექტორებამდე პროექტის კორექტირების შესაძლებლობის შესახებ, თუმცა არქიტექტურის სამსახურის პასუხები არ შეიცავდა კონკრეტულ ინფორმაციას. სადაც აქტები არ შეიცავს მოსარჩევის არგუმენტაციის გაზიარებაზე უარის თქმის სათანადო დასაბუთებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია საქმის გარემოებათა დამატებითი გამოკვლევის საჭიროება როგორც წესი სასკის 32.4 მუხლის გამოყენების ან საქმის საპელაციო პალატისთვის დაბრუნების საფუძველს ქნის, თუმცა განსახილველ შემთხვევაში დავის განხილვის პროცესში მიღებული ახალი ნორმატიული მოწესრიგება გამორიცხავს სადაც აქტების სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად ცნობის ან სსსკ-ის 412.1 მუხლის საფუძველზე საქმის საპელაციო პალატისათვის დაბრუნების საჭიროებას, რადგან საქმის გარემოებათა ხელახლა გამოკვლევის შედეგად სადაც აქტებით დამდგარი შედეგის მართებულობის დადასტურების შემთხვევაშიც კი არსებობს თ. ო-ის დაკისრებული სანქციისგან გათავისუფლების საფუძველი, ხოლო მოსარჩელის ინტერესს სწორედ დაკისრებული სანქციისგან გათავისუფლება შეადგენს. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ 18.09.2019წ. კანონზე, რომლითაც დადგინდა ერთჯერადი ხასიათის დროებითი და განსაკუთრებული ონისძების სახით ამავე კანონით განსაზღვრული

იმ ფიზიკური პირების ადმინისტრაციული სახდელისგან - ჯარი-მისგან და საურავისგან გათავისუფლება, რომლებმაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა 2019 წლის 15 იანვრამდე ჩაიდინეს და რომელთა მიმართაც ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება ამ კანონის ამოქმედებამდე არ აღსრულებულა (1-ლი მუხ.). საკასაციო პალატა თვლის, რომ სამშენებლო სამართალდარღვევაზე, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ერთ-ერთ სახეზე, უნდა გავრცელდეს აღნიშნული კანონით გათვალისწინებული შეღავათი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ თ. ლ-ისთვის მითითების გაცემა, შემოწმების აქტის შედგენა და ჯარიმის დაკისრების შესახებ დადგენილების გამოცემა მოხდა 2019 წლის 15 იანვრამდე, ამასთანავე, თ. ლ-ის მიერ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება გასაჩივრებულია, სუსპენზიური ეფექტიდან გამომდინარე (სასკის 29.1 მუხ.) მისი მოქმედება შეჩერებულია და ჯერ არ არის აღსრულებული. ამასთანავე, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 29.11.2016წ. ცნობის მიხედვით, თ. ლ-ე იმყოფება აღრიცხვაზე, როგორც შემ მკვეთრად გამოხატული სოციალური პაკეტის მიმღები პირი, უვადოდ. „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ 18.09.2019წ. კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული სახდელისაგან - ჯარიმისა და საურავისაგან, თავისუფლდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი („დ“ ქვ.პ.). ამდენად, დგინდება, რომ არსებობს თ. ლ-ესთან მიმართებით კანონით გათვალისწინებული შეღავათის გავრცელების საჭიროება, მასზე დაკისრებული ჯარიმის გაუქმების საფუძველი.

რაც შეეხება სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების საკთხს, თ. ლ-ე, ისევე როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია, გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. სსკის 55.3 მუხლის თანახმად, თუ ორივე მხარე განთავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, მაშინ სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწი-

ლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ლ დ ე ბ ა:

1. თ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.01.2019 წ. განჩინების გაუქმებით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს
4. ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 27.01.2016 წ. №000484 დადგენილება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 31.10.2016 წ. №1-1970 ბრძანება თ. ლ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში;
5. მხარეები გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან.
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამშენებლო სამართალდამრღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი

განჩინება
საქართველოს სახელით

№ბს-38(2კ-22)

27 იანვარი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე),
თ. ოქროპირიძე,
ქ. ცინცაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

1. 2019 წლის 16 ოქტომბერს შპს „ვ...მა“ სასარჩელო განცხადე-

ბით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა: ა) ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 16 სექტემბრის № 1388 ბრძანება; ბ) ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის (4-11დ 1140-18) № 000120 დადგენილება სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე, რომლის საფუძველზეც, შპს „ვ...“ (ს/ხ ...) (დირექტორი – კ. ნ-ი, პ/ხ ...) დაჯარიმდა 30 000 ლარით; გ) დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციის გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც, შპს „ვ...ის“ მოთხოვნა დაკმაყოფილდება სრულად, კერძოდ, ქ. თბილისში, ...ში, მიკრო/რაიონ III-ში, კვარტ. I-ში, ...ის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ. № 11/16), ქ. თბილისში, ...ში, მიკრო/რაიონი III-ში, ...ის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ. № 11/17), ქ. თბილისში, ...ში, მიკრო/რაიონი III-ში, ...ის ქუჩის მიმდებარედ, ქ. თბილისში, ქუჩა ..., ...ის პირდაპირ (ნაკვეთი № 11/039) – ს/კ ..., დაზუსტებული ფართობი: 988.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები ჩატვლება კანონიერად და მოეხსნება ჯარიმა 30 000 ლარის ოდენობით.

სარჩელის თანახმად, შპს „ვ...“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ანარმოებს მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობას. 2018 წლის 14 ივნისის № 000120 შემონმების აქტით დადგინდა, რომ მოსარჩელის მიერ დარღვეულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის № 361 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“ და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის № 477 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოხსოვნების შესახებ“. ზედამხედველობის სამსახურის განმარტებით, ფასადზე არსებული ღია სივრცეები არ იყო შემოლობილი დამცავი მოავირებით, შენობის შიდა სივრცეში კიბის უჯრედები და სხვა ლიობები არ იყო სრულად დახურული მთლიანი ფენილით ან შემოლობვით, ლიფტის შახტა არ იყო დახურული მთლიანი ფენილით, ასევე მშენებლობის უსაფრთხოების ღობე სრულად არ აკმაყოფილებდა კანონით გათვალისწინებულ უსაფრთხოების ნორმებს, შესაბამისად, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლის 23-ე პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, სამსახურის სპე-

ციალისტის მიერ შედგა №000120 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისნარმოების დაწყების შესახებ“ შემოწმების აქტი, ხოლო ზედამხედველობის სამსახურის 19.06.2018 წლის (4-11დ1140-18) №000120 დადგენილებით მოსარჩელე დაჯარიმდა 30 000 ლარით.

2019 წლის 23 სექტემბერს მოსარჩელეს ჩაჰარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 16 სექტემბრის ბრძნება №1388, რომლის საფუძველზეც, ძალაში დარჩა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის №000120 დადგენილება, რომლითაც მოსარჩელე დაჯარიმდა 30 000 ლარით.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ვ...ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიუთითა საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 იანვრის №3059582 ბრძანებით, ქ. თბილისი, ..., მიკრო რაიონი III, კვარტალი I, ...ის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ. 11/16), ..., მიკრო რაიონი III, კვარტალი I, ...ის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ. 11/17), ..., მიკრო რაიონი III, კვარტალი I, ...ის ქუჩის მიმდებარედ, თბილისი, ქ ..., ..., პირდაპირ (ნაკვ. 11/039) – №... საკადასტრო კოდზე დამტკიცდა თანდართული მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები; ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 29 სექტემბრის №3573222 ბრძანების თანახმად, ქ. თბილისში, ..., მიკრო/რაიონი III, კვარტალი I, ...ის ქუჩის მიმდებარედ, (ნაკვ. 11/16)/(ნაკვ. 11/17), ...ის ქუჩის მიმდებარედ, ქუჩა ..., ..., ის პირდაპირ (ნაკვეთი 11/039), თანასაკუთრებაში არსებულ №... საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ მინის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის საწყისში მოწმობა. ამავე ბრძანებით, მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 30 სექტემბრიდან 2020 წლის 30 მარტის ჩათვლით; გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2018 წლის 16 ივნისს შედგენილ იქნა №000120 შემოწმების აქტი, რომლითაც დადგინდა, რომ შპს „ვ...ის“ მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს მთავრობის №361-477 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ: ფასადებზე არსებული ლია სივრცეები არ არის შემოღობილი დამცავი მოაჯირებით; შენობის შიდა სივრცეში, კიბის უჯრედები და სხვა ლიობები არ არის სრულად დახურული მთლიანი ფენილი ან შემო-

ლობგით; ლიფტის შახტა არ არის დახურული მთლიანი ფენილით; მშენებლობის უსაფრთხოების ლობე სრულად არ აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმებს; დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2018 წლის 19 ივნისს მიღებულ იქნა დადგენილება №000120 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე, რომლის თანახმადაც, შპს „ვ...“ დაჯარიმდა 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, ..., მიკრო რაიონი III, კვარტალი I, ...ის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ. 11/16), ..., მიკრო რაიონი III, კვარტალი I, ...ის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ. 11/17), ..., მიკრო რაიონი III, კვარტალი I, ...ის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ. 11/17), ..., მიკრო რაიონი III, კვარტალი I, ...ის პირდაპირ (ნაკვ. 11/039) – საკადასტრო კოდი №... საკადასტრო კოდზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობაზე უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის. ამავე დადგენილებით შპს „ვ...ს“ დაევალა ქ. თბილისში, ..., მიკრო რაიონი III, კვარტალი I, ...ის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ. 11/16), ..., მიკრო რაიონი III, კვარტალი I, ...ის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ. 11/17), ..., მიკრო რაიონი III, კვარტალი I, ...ის ქუჩის მიმდებარედ, თბილისი ქ. ..., ...ის პირდაპირ (ნაკვ. 11/039) – საკადასტრო კოდით ... რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობაზე უსაფრთხოების წესების დაცვა; ე) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის №000120 დადგენილება და 2018 წლის 16 ივნისის №000120 შემონმების აქტი შპს „ვ...ის“ დირექტორის – ქ. ნ-ის ნარმომადგენლის – თ.ა-ის მიერ ადმინისტრაციული საჩივრით გასაჩივრებულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში; ვ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 16 სექტემბრის №1388 ბრძანებით შპს „ვ...ის“ დირექტორის – ქ. ნ-ის ნარმომადგენლის – თ. ა-ის ადმინისტრაციული საჩივრი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის №000120 დადგენილება.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბერის №477 დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, აღნიშნული დადგენილება, გარდა ამ დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-16 მუხლისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და იგი არ ითვალისწინებს რაიმე სხვა დათქმას ან წესს იმის თაობაზე, რომ დადგენილების დამტკიცების დროისათვის უკვე გაცემული სამშენებლო ნებართვებისათვის არ იქნებოდა სავალდებულო შესასრულებლად. შესაბამისად, იგი უნდა გავრცე-

ლებულიყო მოსარჩელის მიერ განხორციელებულ სამშენებლო სამუშაოებზე, ხოლო კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ან/და ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

„მშენებლობის ნებართვების გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და ამავე დადგენილების 94¹ მუხლის მე-4 პუნქტზე, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის პირველი მუხლის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტებზე, მე-15 მუხლის „ი“ ქვეპუნქტზე, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, ამავე მუხლის 23-ე ნაწილის „ი“ ქვეპუნქტზე, „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილების პირველ მუხლზე, მე-2 მუხლის 1-ლ და მე-3 პუნქტებზე, მე-18 მუხლზე, „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილების მე-5 მუხლზე, მე-15 და მე-17 მუხლებზე მითითებით სასამართლომ განმარტა, რომ, როგორც უძრავი ნივთის მესაკუთრე, შპს „ვ...“ წარმოადგენს სამართალდარღვევის სუბიექტს. მშენებლობის განმახორციელებელი პირი ვალდებულია, მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებული სამშენებლო ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების, სიმაღლეზე შესასრულებელი სამუშაოების განხორციელებისას, სამშენებლო მოედანზე უზრუნველყოს სამშენებლო უსაფრთხოების ნორმების სათანადოდ დაცვა, სამუშაოები განხორციელოს ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, რათა საფრთხე არ დაემუქროს ადამიანის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, საკუთრებას და გარემოს.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოადგენილი ფოტოსურათებით დგინდება, რომ შპს „ვ...ს“ მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს მთავრობის №361 და №477 დადგენილებებით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ: ფასადებზე არსებული ღია სივრცეები არ იყო შემოლობილი დამცავი მოაჯირებით, შენობის შიდა სივრცეში კიბის უჯრედები და სხვა ღიობები არ იყო სრულად დახურული მთლიანი ფენილი ან შემოლობვით, ლიფტის შახტა არ იყო დახურული მთლიანი ფენილით, მშენებლობის უსაფრთხოების ღია სრულად არ აქმაყოფილებდა კანონით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმებს. შესაბამისად, ცალსახაა, რომ მოსარჩელის მიერ სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას დარღვეული

იყო, როგორც №361, ისე №477 დადგენილებებით დამტკიცებული რეგლამენტების მოთხოვნები, რის გამოც მოპასუხე მხარის მიერ დადგენილების გამოცემა მოხდა კანონით დადგენილი წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2020 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასასაჩივრა შპს „ვ...მა“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ვ...ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს „ვ...ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გადაწყვეტილების გამოტანიდან ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის (4-11დ1140-18) №000120 დადგენილება, შპს „ვ...ის“ 30 000 ლარით დაჯარიმების ნაწილში; ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის (4-11დ1140-18) №000120 დადგენილების მე-2 პუნქტი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან; გადაწყვეტილების გამოტანიდან ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 16 სექტემბრის №1388 ბრძანება; საქართველოს ადმინისტრაციული სამართლდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე, შპს „ვ...“ გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა.

სასამართლომ მიუთითა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლზე, „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილების პირველ მუხლზე, მე-2 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტებზე, მე-18 მუხლზე, „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილების მე-5 მუხლზე, მე-15 და მე-17 მუხლებზე და განმარტა, რომ მშენებლობის განმახორციელებელი პირი ვალდებულია, მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებული სამშენებლო ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების, სიმაღლეზე შესასრულებელი სამუშაოების განხორციელებისას, სამ-

შენებლო მოედანზე უზრუნველყოს სამშენებლო უსაფრთხოების ნორმების სათანადოდ დაცვა, სამუშაოები განახორციელოს ტექ-ნიკური რეგლამენტით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, რათა საფრთხე არ დაემუქროს ადამიანის ჯანმრთელობას, სიცოც-ხლეს, საკუთრებას და გარემოს.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამარ-თლოს დასკვნა, რომ წინამდებარე შემთხვევაში, შპს „ვ...ის“ მიერ დარღვეული იყო საქართველოს მთავრობის №361 და №477 დად-გენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, თუმცა, ამავდროუ-ლად სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დარღვევა არ იყო იმ მო-ცულობის, როგორც ამას პირველი ინსტანციის სასამართლო და მო-პასუხე მხარე მიუთითებდა, კერძოდ, სააპელაციო პალატის გან-მარტებით, საქმის განხილვისას, როგორც აპელანტმა, ისე მოწინა-აღმდეგე მხარების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ შპს „ვ...ის“ მიერ, უმოკლეს ვადაში გამოსწორებულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსა-ხურის 2018 წლის 16 ივნისის №000120 შემოწმების აქტში მითითე-ბული შეუსაბამობები და ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილ იქნა დარღვევათა აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულე-ბები (ფოტოსურათები). საგულისხმოა, რომ 2018 წლის 19 ივნისის შემდგომ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედვე-ლობის საქალაქო სამსახურმა, ადგილზე არსებული სიტუაციის გათვალისწინებით (იმ დროისათვის სამუშაოები იყო შეჩერებული) არ ჩათვალა მიზანშემონილად კანონით დადგენილი პრევენციუ-ლი დაცვის მქანიზმების ამოქმედება და აღარ მიიღო გადაწყვე-ტილება მშენებლობის შეჩერების შესახებ უსაფრთხოების წესე-ბის დარღვევის საფუძვლით, რაც უდავოდ ადასტურებს შპს „ვ...ის“ მიერ მშენებლობაზე უსაფრთხოების წესების დაცვაზე ადეგავატურ რეაგირებასა და აღმოჩენილი დარღვევების უმოკლეს დროში აღ-მოფხვრას.

სააპელაციო პალატის განმარტებით, მართალია, შპს „ვ...ის“ და-ჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების მიღება მოხდა კანონით დადგენილი წესით, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც კონკრეტული სამართალდარღვევისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებუ-ლია სახდელის მხოლოდ ერთი სახე და ზომა, არ შეიძლება მხედვე-ლობაში არ იქნეს მიღებული და სრულად გამოირიცხოს პასუხის-მგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებზე მსჯელობის აუცი-ლებლობა. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქ-ცევის კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებუ-ლია მხოლოდ ერთი კონკრეტული სახდელი – ჯარიმა 30 000 ლარის ოდენობით, რაც არ იძლევა შესაძლებლობას ადმინისტრაციულმა

ორგანომ, მთელი რიგი შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობის პირობებით კი, გამოიყენოს უფრო დაბალი მოცულობის ჯარიმა, მაგალითად, 1000 ან 5000 ლარის ოდენობით ან სხვა უფრო მსუბუქი სახდელი. მიუხედავად იმისა რომ, სამშენებლო სამართლდარღვევათა კოდექსის ზოგადი ნაწილის 22-ე მუხლი ზოგადია ყველა სამართლდარღვევისათვის. ამ მუხლით მოწესრიგებული ურთიერთობები არ არის სხვაგვარად დარეგულირებული სპეციალურ, კერძოდ, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში, რომლის 25-ე მუხლის ბოლო პუნქტის თანახმად, სამშენებლო სამართლდარღვევის საქმის წარმოებისას სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ხელმძღვანელობს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

სააპელაციო პალატის განმარტებით, განსახილველი შემთხვევის მოწესრიგებული სამართლებრივი აქტები არ შეიცავენ ადმინისტრაციული სამართლდარღვევის კოდექსით გათვალისწინებული შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინების დაუშვებლობაზე მითითებას, არ შეიცავენ აღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღების გამომრიცხავ რაიმე დებულებას. შესაბამისად, მსჯელობა უნდა მოხდეს მოსარჩელისათვის სანქციის შეფარდების საკითხზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის 22-ე და 34-ე მუხლების დანაწესის გათვალისწინებით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის 34-ე მუხლზე მითითებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლება ბრალეულის მიერ სამართლდარღვევის მავნე შედეგების აცილება, ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება. ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც ადმინისტრაციული სამართლდარღვევის საქმეს წყვეტს, შეუძლია შემამსუბუქებლად მიიჩნიოს ისეთი გარემოებანი, რომელიც არ არის აღნიშნული კანონმდებლობაში. ზოგადად სანქციის და მათ შორის, ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს არა სუბიექტის დასჯა, არამედ პრევენციული და აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარება, რათა შემდგომში მინიჭუმამდე იქნეს დაყვანილი მსგავს კანონშეუსაბამო ქმედებათა ჩადენა, როგორც იმავე სუბიექტისაგან, ასევე გასათვალისწინებელი იყო მსგავს სამართალურთიერთობაში მონაწილე სხვა სუბიექტებისთვისაც. ყოველი კონკრეტული საქმის განხილვის პროცესში, სასამართლო ვალდებულია, გაითვალის-

წინოს საქმეზე არსებული მთელი რიგი ისეთი ფაქტორები, რაც ხელს შეუწყობს მაქსიმალურად სამართლიანად და სწორად შეფასდეს კონკრეტული სუბიექტის მიმართ გამოსაყენებელი სანქციის პროპორციულობის საკითხი. მსჯელობის გარეშე არ უნდა დარჩეს და უნდა შეფასდეს ისეთი შემამსუბუქებელი გარემოებანი, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქნიოს თანაზომიერი და სამართლიანი პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებაზე. მათ შორის, უცილობლად გასათვალისწინებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათი, მისი მასშტაბი, სიმძიმე, უკვე დამდგარი ან/და პოტენციური მძიმე შედეგის დადგომის საფრთხე, სამართალდამრღვევი სუბიექტის მიერ წარსულში მართლსანინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტი; სამართალდამრღვევი სუბიექტის კანონსაწინააღმდეგო ქმედების შემდგომი ქცევა, სამართალდარღვევის დროული გამოსწორებისაკენ მიმართული ქმედებები და კიდევ სხვა ფაქტორებიც. ხოლო, დასახელებულ გარემოებათა მხედველობაში მიღება უზრუნველყოფს მას, რომ სახდელშემთარდებელმა სუბიექტმა სახდელის შეფარდების პროცესში იხელმძღვანელოს თანაზომიერებისა და სამართლიანობის პრინციპით, რაც გამოიხატება კანონით დაცულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დადგენაში, რამეთუ სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს კანონიერი და ამასთანავე სამართლიანიც.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლზე მითითებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ყველა სამართალდარღვევა თანაბრად მნიშვნელოვანია და ის სწორედ ამიტომაც არის ასახული მთელ რიგ კანონებში. ამ კონტექსტში მსჯელობისას უნდა აღინიშნოს, რომ სამართალდარღვევის მნიშვნელობის სიმცირის განმსაზღვრელ საზომად ვერ გამოდგება კონკრეტული სამართალდარღვევისათვის ჩადენისთვის გათვალისწინებული სანქციის ზომა, ანუ ვერ ვიტყვით, რომ სამართალდარღვევას, რომელსაც გააჩნია მცირე ზომის სანქცია, ის მცირე მნიშვნელობისაა და პირიქით, იქ, სადაც სანქცია მაღალია, ის არ უნდა ჩაითვალოს მცირე მნიშვნელობის მქონედ. ეს მიდგომა რომ ასე განიმარტოს, რაც ერთმნიშვნელოვნად არამართებულია, კანონით უნდა იყოს დადგენილი სანქციის ისეთი ზღვარი, რის ქვემოთაც ის ჩაითვალებოდა მცირე მნიშვნელობის მქონე სამართალდარღვევად. მცირე მნიშვნელობის დეფინიცია მოიცავს არა ერთ მდგენელს – სანქციის ზომას, არამედ მთელ რიგ კუმულაციურად შესაფასებელი ფაქტების ერთობლიობას. მათ შორის, ზემოთ ხსენებულ შემამსუბუქებელ გარემოებებს, რაც უკავშირდება სამართალდარღვევის საქმეს და ახასიათებს კონკრეტულ სამართალდამრღვევ სუბიექტს. განსახილველ შემთხვევაში, იმ გარემოების

გათვალისწინებით, რომ ჩადენილ სამართალდარღვევის შედეგად არ დამდგარა მავნე შედეგი, ასევე, ამჟამინდელი მდგომარეობით მოსარჩელის მიერ სამართალდარღვევიდან მომდინარე მავნე შედეგების დადგომის საფრთხეც თავიდან აცილებულია, კერძოდ, დარღვევის ფაქტის აღმოჩენიდან შპს „ვ...ის“ მიერ უმოკლეს ვა-დაში სრულად იქნა აღმოფხვრილი მრავალფუნქციური კომპლექ-სის მშენებლობისას უსაფრთხოების კუთხით არსებული შეუსაბა-მობები, ეს სუბიექტი არ არის შემჩინეული მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენაში, შპს „ვ...ის“ მიმართ გამოყენებულ უნდა იქ-ნეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კო-დექსის 22-ე მუხლი და უნდა გამოეცხადოს სიტყვიერი შენიშვნა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ, რომლებმაც გაასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქ-მება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაქმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვეს.

4.1. კასატორის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებულ სამ-შენებლო ობიექტზე სამუშაოების, მათ შორის, სიმაღლეზე შესას-რულებელი სამუშაოების განხორციელებისას პასუხისმგებელი პი-რი ვალდებულია სამშენებლო მოედანზე უზრუნველყოს სამშენებ-ლო უსაფრთხოების ნორმების სათანადოდ დაცვა და სამუშაოები განახორციელოს ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი სტანდარ-ტის შესაბამისად, რათა საფრთხე არ დაემუქროს ადამიანის ჯან-მრთელობას, სიცოცხლეს, საკუთრებასა და გარემოს, ამასთან, ხე-ლი შეეწყოს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას. სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას ზემოხსენებული დადგენილებებით განსაზღვრული უსაფრთხოების ნორმების დარ-ღვევის შემთხვევაში ადგილი ექნება სამართალდარღვევას, რომ-ლისთვისაც პასუხისმგებლობა, თავის მხრივ, პროდუქტის უსაფ-რთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად განისაზღვრება.

საქმის მასალებში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგე-ნილია, რომ მოსარჩელის მიერ წარმოებული მშენებლობისას დარ-ღვეულ იქნა მშენებლობის უსაფრთხოების წესები, კერძოდ, დად-გინდა, რომ ფასადზე არსებული ღია სივრცეები არ იყო შემოღობი-ლი დამცავი მოაჯირებით, შენობის შიდა სივრცეში კიბის უჯრე-დები და სხვა ღიობები არ იყო სრულად დახურული მთლიანი ფენი-ლით ან შემოღობვით. ამასთან, ლიფტის შახტა არ იყო დახურული

მთლიანი ფენილით, მშენებლობის უსაფრთხოების ღობე სრულად არ აქმაყოფილებდა კანონით გათვალისწინებულ უსაფრთხოების ნორმებს. ამდენად, დასტურდება, რომ ჩადენილ იქნა სამშენებლო სამართალდარღვევა, რაც, კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წარმოადგენს სამართალდამრღვევ პირზე შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიზანი არის, რომ მოახდინოს მოცემული სამართალდარღვევის პრევენცია და არ დადგეს ის მავნე შედეგი, რაც, შესაძლოა, სახეზე იყოს სამშენებლო უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევაში. შესაბამისად, დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა, რომ სამშენებლო უსაფრთხოების წესების დარღვევა, თუ მას არ მოჰყოლია მავნე შედეგი, ჩაითვალოს მცირე მნიშვნელობის დარღვევად და მხარეს გამოეცხადოს მხოლოდ და მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნა.

4. კასატორის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის განმარტებით, გასათვალისწინებელია, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმად განისაზღვრა ვალდებულება დამრღვევის დაუყოვნებლივ დაჯარიმებისა და ადმინისტრაციული წარმოების შემოწმების აქტით დაწყების თაობაზე, რაც ამ ტიპის დარღვევის სერიოზულობითაა გამოწვეული. შესაბამისად, დარღვევის მცირე მნიშვნელოვნის მქონედ მიჩნევა არასაკმარისად დასაბუთებულია და არ არსებობდა ზედამხედველობის სამსახურის დადგენილების გაბათილებისა და სამართალდამრღვევისთვის შენიშვნის გამოცხადების საფუძველი.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 იანვრის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საკასაციო საჩივრები დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 23 თებერვლის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასა-

ციონ საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გა-დაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შე-დეგად მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიი-სა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმი-ნისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვე-ტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ შემ-დეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალი-ტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 იანვრის №3059582 ბრძანებით, №... სა-კადასტრო კოდის მქონე მინის ნაკვეთზე დამტკიცდა მინის ნაკ-ვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ქალაქ თბილისის მუ-ნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქი-ტექტურის სამსახურის 2017 წლის 29 სექტემბრის №3573222 ბრძა-ნებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებარ-თვო მოწმობა. ამავე ბრძანებით, მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 30 სექტემბრიდან 2020 წლის 30 მარტის ჩათვლით; ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ, 2018 წლის 14 ივნისს შედგენილ იქნა №000120 შემოწმების აქტი, რომლითაც დადგინდა, რომ შპს „ვ...ის“ მიერ დარღვეულია საქართველოს მთავრობის №361-477 დადგე-ნილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ, ფასადებზე არსებული ლია სივრცეები არ არის შემოლობილი დამცავი მოაჯი-რებით; შენობის შიდა სივრცეში, კიბის უჯრედები და სხვა ღიობე-ბი არ არის სრულად დახურული მთლიანი ფენილი ან შემოლობებით; ლიფტის შახტა არ არის დახურული მთლიანი ფენილით; მშენებ-ლობის უსაფრთხოების ლობე სრულად არ აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმებს; გ) „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ (სადა-ვო პერიოდში მოქმედი რედაქცია) 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამ-ხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2018 წლის 19 ივნისს მი-ლებულ იქნა №000120 დადგენილება სამშენებლო სამართალდარ-ღვევის საქმეზე, რომლის თანახმად, შპს „ვ...“ დაჯარიმდა 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარით; დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 16 სექტემბრის №1388 ბრძანებით შპს „ვ...ის“ დირექტორის – კ. ნ-ის წარმომადგენლის – თ. ა-ის ადმინისტრაცი-ული საჩივრი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა ქალაქ თბილი-სის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამ-

სახურის 2018 წლის 19 ივნისის №000120 დადგენილება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილების პირველი მუხლის თანახმად, ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) ვრცელდება მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებულ სამშენებლო ობიექტზე შესასრულებელ სამუშაოებზე და განსაზღვრავს უსაფრთხოების მოთხოვნებს სამშენებლო მოედნზე, კერძოდ, ორგანიზების, სამშენებლო მანქანა-მექანიზმების, ტექნიკური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის ექსპლუატაციის, ელექტრო და აირსაშემდუღებლო, დატვირთვა-დაცლის, საიზოლაციო, მინის, ბეტონისა და რკინა-ბეტონის, სამონტაჟო, სადემონტაჟო და სხვა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების დროს. ამავე დადგენილების მე-2 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმად, სამშენებლო მოედანზე სამუშაოები უნდა იყოს ორგანიზებული იმგარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მშენებლობის უსაფრთხოება. ჭები, შურფები, ნათხარ გრუნტებში ხალხის შესაძლო მოხვედრის ადგილები დახურული უნდა იყოს ხუფებით, ფარებით ან უნდა იყოს შემოლობილი. ლიფტების შახტები, კაბეების უჯრედები და სხვა ლილები, სადაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ადამიანთა მოხვედრას, დახურული უნდა იყოს მთლიანი ფენილით ან უნდა იყოს შემოლობილი. სიბნელის დროს გარე (პერიმეტრული) შემოლობვა უნდა იყოს აღჭურვილი სასიგნალო ნათურებით ან გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი მასალა ან შეფერილობა, რომელიც აღიქმება სიბნელეში. დადგენილების მე-18 მუხლი კი ადგენს, რომ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება პროფესიონალური უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ“ განსაზღვრავს სიმაღლეზე სამუშაოების შესრულებისას ძირითად მოთხოვნებსა და პრევენციული ღონისძიებების ზოგად პრინციპებს იმ სამუშაოებზე, სადაც არსებობს 2 მეტრის და მეტი სიმაღლიდან ვარდნის საფრთხე (მათ შორის, ჭები, ლილები, ნათხარი გრუნტები და ა.შ.) (მუხ. 1.1). ამავე რეგლამენტის მე-5 მუხლის თანახმად, დამცავი მოაჯირების სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნას – (ა) დამცავი მოაჯირი/მოაჯირები/სახელურები უნდა დამონტაჟდეს ყველგან, სადაც არსებობს სიმაღლიდან ვარდნის პოტენციური საფრთხე; (ბ) მოაჯირი უნდა შედგებოდეს ვერტიკა-

ლური, საყრდენი, ზედა და შუა ჰორიზონტალური ძელებისგან. მოაჯირის ძირზე (სამუშაო პლატფორმაზე) უნდა იყოს დამონტაჟებული მინიმუმ 10 სმ-ის სიმაღლის ქვედა ჰორიზონტალური ძელი სხვადასხვა საგნის ან ხელსაწყოს ვარდნის თავიდან ასაცილებლად. შუა ჰორიზონტალური ძელი უნდა განთავსდეს სამუშაო პლატფორმიდან 50-60 სმ-ის სიმაღლეზე. მყარი მოაჯირის სიმაღლე უნდა იყოს სამუშაო ზედაპირიდან 90-120 სმ ... და ა.შ. ღიობები (ჭები, შურფები, ლიფტის შახტები, კიბის უჯრედები, ნებისმიერი ადგილი, სადაც შესაძლოა ადამიანების ვარდნა) დაფარული უნდა იყოს სპეციალური ხუფებით ან/და ფენილებით (შუა. 15). ამავე დადგენილების მე-17 მუხლის თანახმად, ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

დასახელებული საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა დასკვნას, რომ მშენებლობის განმახორციელებელი პირი ვალდებულია, მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებული სამშენებლო ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების, მათ შორის, სიმაღლეზე შესასრულებელი სამუშაოების განხორციელებისას, სამშენებლო მოედანზე უზრუნველყოს სამშენებლო უსაფრთხოების ნორმების სათანადოდ დაცვა, სამუშაოები განმახორციელოს ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, რათა საფრთხე არ დამუქროს ადამიანის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, საკუთრებას და გარემოს.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის (სადაც პერიოდში მოქმედი რედაქცია) 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა – მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, გამოიწვევს დაჯარიმებას 30 000 ლარით.

განსახილვები შემთხვევაში დადგენილია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2018 წლის 14 ივნისს შედგენილი №000120 შემონმების აქტის თანახმად, შპს „ვ...ის“ მიერ წარმოებული სამშენებლო სამუშაოების დროს, ფასადებზე არსებული ღია სიერცეები არ იყო შემოლობილი დამცავი მოაჯირებით; შენობის შიდა სივრცეში, კიბის უჯრედები და სხვა ღიობები არ იყო სრულად დახურული მთლი-

ანი ფენილით ან შემოღობვით, ასევე, არ იყო დახურული ლიფტის შახტა დახურული მთლიანი ფენილით და მშენებლობის უსაფრთხოების ღობის ღობე სრულად არ აკმაყოფილებდა კანონით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმებს.

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ საქართველოს კანონის 25.1 მუხლის შესაბამისად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ნარმოებისას სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ხელმძღვანელობს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით. ამავე კანონის 25.2 მუხლის თანახმად, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო სამართალდარღვევის საქმის ნარმოებას იწყებს დამრღვევის მიმართ მითითების გაცემით, გარდა ამ მუხლის 23-ე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე მუხლის 23-ე ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ნარმოება შემონაბეჭის აქტის შედგენით იწყება ამ კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას. ამავე კანონის 25.13 მუხლის შესაბამისად, შემონაბეჭის აქტის შედგენიდან 2 თვის ვადაში სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე მიიღოს დადგენილება. საქმის განმხილველი თანამდებობის პირი უფლებამოსილია მოტივირებული საფუძვლით გააგრძელოს მისი განხილვის ვადა. საქმის განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 2 თვით. დამრღვევს უწყებით უნდა ეცნობოს საქმის განხილვის ადგილი, თარიღი, დრო და საქმის განმხილველი თანამდებობის პირის ვინაობა, გარდა ამ კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისა. ამ კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია, შემონმების აქტის შედგენისთანავე, დაუყოვნებლივ მიიღოს დადგენილება დაჯარიმების შესახებ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს დარმაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად

გამოყენება ან/და განმარტება.

მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 29 აპრილის გა-დაწყვეტილებით დადასტურებულად იქნა მიჩნეული შპს „ვ...ის“ მი-ერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, რაც ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩიგრით არ გასაჩიგრებულა. შესაბამისად, საკა-საციო სასამართლოს მსჯელობის საგანია „პროდუქტის უსაფ-რთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშე-ნებლო სამართალდარღვევის ჩადენისას, რამდენად არის შესაძ-ლებელი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე დაკისრებული სანქციისაგან გათავისუფლება და სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადება, ხოლო ასეთის არსებობის პირობებში, რამდენად იძლეოდა წინამდებარე დავაზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შპს „ვ...ის“ მიერ ჩადენილი სამშენებლო სამართალდარღვევა მიჩნეული ყოფილი-ყო მცირე მნიშვნელობის მქონედ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატამ №პს-320(2კ-21) საქმეზე განმარტა შემდეგი (2022 წლის 10 ნოემბრის განჩინება): საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმი-ნისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კა-ნონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევა-თა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი მუხლები ადგენენ ადმინისტრაციული გადაცდომისათვის კანონით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების საერთო წესს, რომელიც ზოგადია ყველა სამართალდარღვევისათვის, თუ ისინი სპეციალური კანონით სხვაგვარად არ არის მოწესრიგებული. ად-მინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთ-ერთი სახეა სამშენებ-ლო სამართალდარღვევა. თავის მხრივ, პროდუქტის უსაფრთხოე-ბისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად, სამშე-ნებლო სამართალდარღვევებთან დაკავშირებული საქმის წარმო-ებისა და ცალკეული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებ-ლობის ზომის განსაზღვრა, საქართველოს ადმინისტრაციულ სა-მართალდარღვევათა კოდექსით დადგენილ ზოგად პრინციპებს ემ-ყარება. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცე-ვის კოდექსის 25-ე მუხლის პირველი წანილის თანახმად, სამშე-ნებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ხელ-მძღვანელობს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებ-

ლო აქტებით. განსახილველი შემთხვევის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტები არ შეიცავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული შემამსუბუქებელი გარემოების გათვალისწინების დაუშვებლობაზე მითითებას, არ შეიცავენ აღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღების გამომრიცხავ რაიმე დებულებას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლით მოწესრიგებული ურთიერთობები არ არის სხვაგვარად დარეგულირებული სპეციალურ, კერძოდ, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო მოსარჩელისათვის სანქციის შეფარდების საკითხზე ემსჯელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის დანაწესის გათვალისწინებით (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 20 დეკემბრის №ბს-638-634(2კ-17) განჩინება; 2019 წლის 20 დეკემბრის №ბს-926-922(2კ-17) განჩინება). ამდენად, საკასაციო სასამართლო ადასტურებს სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმეზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობას, რომლის თანახმად, თუ ჩადენილია მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, მაშინ საქმის გადასაწყვეტად უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია გაათვავისუფლოს დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და დასჯერდეს სიტყვიერ შენიშვნას.

ამდენად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო მოსარჩელისათვის სანქციის შეფარდების საკითხზე ემსჯელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის დანაწესის გათვალისწინებით (სუსგ 20.12.2019წ. №ბს-638-634(2კ-17); სუსგ 20.12.2019წ. №ბს-926-922(2კ-17)).

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების მთავარ მიზანს წარმოადგენს არა სუბიექტის დასჯა, არამედ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით გამოწვეული უარყოფითი შედეგების აღმოფხვრა/გამოსწორება, პრევენციული და აღმზრდებლობითი ღონისძიებების განხორციელება, რათა შემდგომში თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი გადაცდომა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამოცანას შეადგენს საკუთრების, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველ-

ყოფა. ამ ამოცანის განსახორციელებლად კანონმდებლობა განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს სამართალდარღვევის ჩამდენს (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირველი მუხ.). ამასთან, ყოველი კონკრეტული საქმის განხილვის პროცესში, საქმის განმხილველმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს დავის გადაწყვეტის დროს არსებული ვითარება, გადაცდომის ჩამდენი სუბიექტის პიროვნება, მის მიერ წარსულში მსგავს გადაცდომათა ჩადენის ფაქტი, გადაცდომის ჩადენის ნინარე ქმედებები, გადაცდომის ხასიათი და სახდელის შეფარდების პროცესში იხელმძღვანელოს თანაზომიერების პრინციპით, რაც გამოიხატება კანონით დაცულ ინტერესებს შორის ბალანსის დადგენაში.

საკასაციო პალატა იზიარებს სასამართლოს მსჯელობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული პრინციპების ყველა სახის სამართალდარღვევაზე გავრცელების შესახებ (თუ სპეციალური კანონით არ არის სხვაგვარად მონესრიგებული) და დამატებით განმარტვეს, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, იურიდიული პასუხისმგებლობის სხვა სახეების მსგავსად, კანონიერების, სამართლიანობის, პასუხისმგებლობის გარდაუვალობის და ა.შ. პრინციპებს ეფუძნება. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის პრინციპები ასახავენ მის ობიექტურ არსს, მიზნებს, ბუნებას და დანიშნულებას. პასუხისმგებლობის ზომების განსაზღვრის დროს კანონმდებელი შეზღუდულია სამართლიანობის, პროპორციულობის და სამართლის სხვა კონსტიტუციური და ზოგადი პრინციპების მოთხოვნებით.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებისას კანონმდებლის უპირატესი მიზანია არსებული სამართალდარღვევის აღმოფხვრა, მისი გამოსწორება და არა დამრღვევის დასჯა (სუსგ №ბს-468-465 (ქ-17), 21.10.2020 წ.), მათ შორის, საჯარო ინტერესების აღდევნა და წარმოშობილი ზიანის კომპენსაცია. ამასთან, სამართალდარღვევისათვის დაწესებული პასუხისმგებლობის ზომა უნდა ითვალისწინებდეს მართლსაწინააღმდეგო მოქმედების (უმოქმედობის) შედეგს და პროპორციული უნდა იყოს ამ სამართალდარღვევის შედეგად საჯარო წესრიგის დარღვევის ხარისხთან. ამდენად, ცალსახაა, რომ მარტოოდენ სამართალდამრღვევის დასჯა არ უნდა ატარებდეს მხოლოდ რეპრესიულ ხასიათს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვ-

ნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამდიმებელი გარემოებანი. წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა ადმინისტრაციული სამართლის ისეთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი, როგორიცაა კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი. აღსანიშნავია ისიც, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფლადი მომექცევის კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიზანი მემკვიდრეობლობის წესების დაცვაა და ადგენს სანქციის კონკრეტულ ზომას, შესაბამისად, დასახელებული ნირმა დავის თავისებურებების გათვალისწინებით არ იძლევა ჯარიმის მინიმუმის ან მაქსიმუმის განსაზღვრის შესაძლებლობას. თუმცა ამა თუ იმ სამართალდარღვევაზე კანონმდებლობით სანქციის მხოლოდ კონკრეტული ზომის გათვალისწინება არ გამორიცხავს საქმეზე შემამსუბუქებელი და დამამდიმებელი გარემოებების გამოყენებას.

პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 264-ე მუხლის მიხედვით, ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმების განხილვისას მოვალეა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამდიმებელი გარემოებები, მიყენებულია თუ არა ქონებრივი ზარალი.... აგრეთვე გამოარკვიოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 34-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლება: 1) ბრალეულის გულწრფელი მონანიება; 2) ბრალეულის მიერ სამართალდარღვევის მავნე შედეგების აცილება, ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება; 3) სამართალდარღვევის ჩადენა ძლიერი სულიერი აღელვების გავლენით, ან მძიმე პირად თუ ოჯახურ გარემოებათა დამთხვევის გამო; 4) სამართალდარღვევის ჩადენა არასრულწლოვნის მიერ; 5) სამართალდარღვევის ჩადენა ორსული ქალის ან იმ ქალის მიერ, რომელსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავს. საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი სხვა გარემოებანიც. ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს წყვეტს, შეუძლია შემამსუბუქებლად მიიჩნიოს ისეთი გარემოებანიც, რომლებიც არ არის აღნიშნული კანონმდებლობაში.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ის გარემონტინი, რომ, მართალია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქტომბრის შედგენის მომენტისთვის პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალიწინებული სამართალდარღვევა სახეზე იყო, თუმცა დარღვევის ფაქტის აღმოჩენიდან შეს „ვ...ის“ მიერ უმოკლეს ვადაში სრულად იქნა აღმოფხვრილი მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისას უსაფრთხოების კუთხით არსებული შეუსაბამობები და მშენებლობის შეჩერების საჭიროება დღის ნესრიგში აღარ დადგა, კერძოდ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა, ადგილზე არსებული სიტუაციის გათვალისწინებით არ ჩათვალა მიზანშენონილად კანონით დადგენილი პრევენციული დაცვის მექანიზმების ამოქმედება და აღარ მიიღო გადაწყვეტილება მშენებლობის შეჩერების შესახებ უსაფრთხოების ნესების დარღვევის საფუძვლით (იხ. სააპელაციო სასამართლოს 21.04.2021 წ. სხდომის ოქმი). შეს „ვ...ის“ მიერ ჩადენილი სამშენებლო სამართალდარღვევის მცირებიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტობრივი გარემოებებიც, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ, 2018 წლის 14 ივნისს შედგენილი №000120 შემოწმების აქტის თანახმად, კომპანიის მიერ არ მომხდარა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 და 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილებებით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულად უგულებელყოფა, კერძოდ, შემოწმების აქტშიც აღნიშნულია და პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა გამოკვლევის დროსაც დადასტურდა, რომ შენობის შიდა სივრცეში, კიბის უჯრედები და სხვა ლიობები იყო დახურული, მაგრამ არა სრულად, მთლიანი ფენილით ან შემოლობებით. ასევე, დახურული იყო ლიფტის შახტა (ფიცრებით), მაგრამ არა მთლიანი ფენილით. მოწყობილი იყო მშენებლობის უსაფრთხოების ღობე, თუმცა იგი სრულად არ აკმაყოფილებდა კანონით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმებს.

შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ შესაძლებელია ჩადენილი სამშენებლო სამართალდარღვევა შეფასებულიყო მცირე მნიშვნელობის დარღვევად და გამოყენებულიყო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული საშეღავათო დანაწესი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „სანქციის შეფარდების დრო მოიცავს არა მხოლოდ ორგანოს მიერ მისი გამოყენების მომენტს, არამედ აგრეთვე ზემდგომი ორგანოების ან სასამართლოს მიერ სანქციის გამოყენების კანონიერების შემოწმების

პერიოდს... ვითარების შეცვლა, საზოგადოებრივი საშიშროების განმსაზღვრელი პირობების გაუქმება, როგორც პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი უნდა შეფასდეს დავის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე“ (სუსგ 13.07.2022წ. №ბს-504-504(3კ-18)).

ამდენად, მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგად მოსარჩელის მიერ მისი გამოსწორების პირობებში, გასათვალისწინებელია სადაცო სამართალდარღვევის მიმართ არსებული შემამსუბუქებელი გარემოებები. ასეთ ვითარებაში საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საპელაციო სასამართლომ სადაცო სამართალურთიერთობის მიმართ მართებულად გამოიყენა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლი, რომელიც მცირე მნიშვნელობის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში ითვალისწინებს უფლებამოსილი ორგანოს შესაძლებლობას, გაათავისუფლოს დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოდა და არ საჩივრდება.

**უსაფრთხოების ცენტრის დაუცველად მშენებლობის
ნარმოებისას საშეღავათო დანაცვის გამოყენების
კანონიერება**

**განჩინება
საძარღვისა და სახელით**

№ბს-42(2კ-22)

22 თებერვალი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობით: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. მაკარიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2020 წლის 21 თებერვალს, შპს „ლ-მა“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხების – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 12 აგვისტოს №000560 დადგენილებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 31 დეკემბრის №2082 ბრძანების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „ლ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ლ-მა“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით შპს „ლ-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს „ლ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გადაწყვეტილების გამოტანიდან ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 12 აგვისტოს №000560 დადგენილება შპს „ლ-ის“ 30 000 ლარით დაჯარიმების ნაწილში; ძალადაკარგულად იქნა ცნობილი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალუ-

რი ინსპექციის 2019 წლის 12 აგვისტოს №000560 დადგენილების მე-2 პუნქტი (რომლითაც შპს „ლ-ს“ დაევალა უსაფრთხოების ნე-სების დაცვა) გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღი-დან; გადაწყვეტილების გამოტანიდან ბათილად იქნა ცნობილი ქა-ლაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 31 დეკემ-ბრის №2082 ბრძანება; საქართველოს ადმინისტრაციული სამარ-თალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე, შპს „ლ-ი“ (ს/წ ...) გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისა-გან და გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მი-იჩნია, რომ 2019 წლის 12 აგვისტოს ქალაქ თბილისის მუნიციპალი-ტეტის მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ შპს „ლ-ის“ მიმართ შე-ადგინა №000560 შემონებების აქტი, რომლის თანახმად, ქ. თბილის-ში, ...-ის მიმდებარედ/... კორპუსის მიმდებარედ (ს/კ ...) მრავალპი-ნიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიმდინარეობისას, ობი-ექტზე დარღვეულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქ-ტომბრის №477 დადგენილებით დამტკიცებული „სიმაღლეზე მუ-შაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლა-მენტის“ მე-5 და მე-15 მუხლით გათვალისწინებული პირობები, ასე-ვე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენი-ლებით დამტკიცებული „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მეორე მუხლი, კერძოდ: სამშენებლო მოედანი სრულად არ არის შემოღობილი სამშენებლო ღობით; კი-ბის მარშებზე სრულად არ არის მოწყობილი დროებითი მოაჯირები და ფასადის ღიობებზე არ არის მოწყობილი დროებითი დამცავი მოაჯირები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინ-სპექციის 2019 წლის 12 აგვისტოს №შ-241/19 დადგენილებით შე-ჩერდა შპს „ლ-ის“ მიერ, ქ. თბილისში, ...-ის მიმდებარედ/... კორპუ-სის მიმდებარედ (ს/კ ...) მშენებლობის უსაფრთხოების ნესების დარ-ღვევით მიმდინარე მრავალბინანი საცხოვრებელი სახლის მშენებ-ლობა, მშენებარე ობიექტზე (მრავალბინანი საცხოვრებელი სახ-ლი) მშენებლობის უსაფრთხოების ნესების უზრუნველყოფამდე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინ-სპექციის 2019 წლის 12 აგვისტოს №000560 დადგენილებით შპს „ლ-ი“ დაჯარიმდა 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, ...-ის მიმდებარედ/... კორპუსის მიმდებარედ (ს/კ ...) მრავალბინანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე, მშენებლობის უსაფრთხოების ნესების დარღვევისათვის. ამავე დადგენილებით შპს „ლ-ს“ დაევალა ქ. თბილისში, ...-ის მიმდებარედ/... კორპუსის მიმდება-რედ (ს/კ ...) მრავალბინანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა-

ზე მშენებლობის უსაფრთხოების წესების დაცვა.

2019 წლის 27 აგვისტოს შპს „ლ-ის“ დირექტორმა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 12 აგვისტოს №შ-241/19 და 2019 წლის 12 აგვისტოს №000560 დადგენილებების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 31 დეკემბრის №2082 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა შპს „ლ-ის“ 2019 წლის 27 აგვისტოს ადმინისტრაციული საჩივარი, ძალაში დარჩა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 12 აგვისტოს №შ-241/19 და 2019 წლის 12 აგვისტოს №000560 დადგენილებები.

საქმეზე წარმოდგენილი, 2019 წლის 12 აგვისტოთი დათარიღებული ფოტოსურათებით სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ სადავო მშენებარე ნაგებობის გარე ფასადზე დროებითი მოაჯირი აელდა ნაგებობის მხოლოდ ერთ სართულს, კიბის მარშებზე მხოლოდ ერთ მცირე მონაკვეთზე იყო გარკვეული სახის დარღვევა, ხოლო სამშენებლო ღობის მთლიანობა დარღვეული იყო ისეთ ადგილებში, სადაც ადამიანის უნებლიერ მოხვედრა შეუძლებელი იყო.

გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებაში სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას იწყებს დამრღვევის მიმართ მითითების გაცემით, გარდა ამ მუხლის 23-ე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა (სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შემოწმების აქტის შედგენით დაწყების შემთხვევები). ამავე მუხლის 23-ე ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება შემოწმების აქტის შედგენით იწყება ამ კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას, ხოლო ამავე მუხლის მე-13 ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად, ამ კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია შემოწმების აქტის შედგენისთანავე დაუყოვნებლივ მიიღოს დადგენილება დაჯარიმების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილებით დამტკიცებული „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შე-

სახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მე-5 მუხლზე, რომლითაც დადგენილია მოთხოვნები დამცავი მოაჯირების მოწყობისა და ექსპლუატაციის მიმართ, ასევე მე-15 მუხლზე, რომელიც აწესებს მოთხოვნებს ლიობების მიმართ და მე-17 მუხლზე, რომლის თანახმად, ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მშენებლობის განმახორციელებელი პირი ვალდებულია, მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებულ სამშენებლო ობიექტზე, სიმაღლეზე შესასრულებელი სამუშაოების განხორციელებისას, სამშენებლო მოედანზე უზრუნველყოს სამშენებლო უსაფრთხოების ნორმების სათანადოდ დაცვა, სამუშაოები განხორციელოს ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, რათა საფრთხე არ დაემუქროს ადამიანის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, საკუთრებას და გარემოს.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილებით დამტკიცებულ „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკურ რეგლამენტზე“, რომელიც ვრცელდება მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებულ სამშენებლო ობიექტზე შესასრულებელ სამუშაოებზე და განსაზღვრავს უსაფრთხოების მოთხოვნებს სამშენებლო მოედანზე: ორგანიზების, სამშენებლო მანქანა-მექანიზმების, ტექნიკური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტების ექსპლუატაციის, ელექტრო და აირსაშემდუღებლო, დატვირთვა-დაცლის, საიზოლაციო, მიწის, ბეტონისა და რკინა-ბეტონის, სამონტაჟო, სადემონტაჟო და სხვა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების დროს. აღნიშნული „რეგლამენტის“ მეორე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, სამშენებლო მოედანი დასახლებულ ადგილებში და საზოგადოებრივი სივრცის მომიჯნავედ ან მოქმედი სანარმოს ტერიტორიაზე უნდა იქნეს შემოლობილი, რათა სამშენებლო მოედანზე შესვლა იყოს კონტროლირებადი და გამორიცხული იყოს იქ უნდღიერ მოხვედრის შესაძლებელობა. შემოლობა ხალხის მოძრაობის ადგილებში გადახურული უნდა იყოს დამცავი საფარით, რომელიც უზრუნველყოფს ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებას. სიბნელის დროს შემოლობა უნდა იყოს აღჭურვილი სასიგნალო ნათურებით ან/და გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი მასალა ან შეფერილობა, რომელიც აღიქმება სიბნელეში. იმავე წესით უნდა შემოილობოს სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის ტერიტორია. ამავე „რეგლამენტის“ მე-18 მუხლის შესაბამისად, ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება პროდუქტის უსაფრთოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექ-

სის შესაბამისად.

საქმეზე წარმოდგენილი, 2019 წლის 12 აგვისტოთი დათარიღებული ფოტომასალით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სამშენებლო მოედანი სრულად არ არის შემოლობილი სამშენებლო ღობით, კიბის მარშებზე სრულად არ არის მოწყობილი დროებითი მოაჯირები და ფასადის ღიობებზე, კონკრეტულ სართულზე არსებულ ერთ მონაკვეთში არ არის მოწყობილი დროებითი დამცავი მოაჯირები, რაც წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილებით დამტკიცებული „სიმაღლეზე მუხაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მე-5 მუხლის „ა“ პუნქტით და მე-15 მუხლის პირველი ნინადადებით, ასევე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მეორე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევას.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, შპს „ლ-მა“ სრულყოფილად არ შეასრულა საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული №361 და №477 დადგენილებებით გათვალისწინებული მოთხოვნები, თუმცა უმოკლეს ვადაში უზრუნველყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 12 აგვისტოს №0000560 შემოწმების აქტში მითითებული შეუსაბამობების გამოსწორება და ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგინა დარღვევათა აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები (ფოტოსურათები). სააპელაციო სასამართლომ საგულისხმოდ მიიჩნია, რომ 2019 წლის 12 აგვისტოს შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას აღარ შეუჩერებია შპს „ლ-ის“ მიერ განხორციელებული მშენებლობა, უსაფრთხოების წესების დარღვევის საფუძვლით, რაც მიუთითებს კომპანიის მხრიდან მშენებლობის უსაფრთხოების წესების დაცვაზე, ადექვატურ რეაგირებასა და პასუხისმგებლიან დამოკიდებულებაზე.

სამართალდამრღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკავშირების საკითხთან მიმართებაში, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი სახის სახდელი – ჯარიმა 30 000 ლარის ოდენობით, რაც არ ქმნის შესაძლებლობას, მთელი რიგი შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობის პირობებშიც კი, ადმინისტრაციულმა ორგანომ დამრღვევს შეუფარდოს უფრო მცირე ოდენობის ჯარიმა ან სხვა უფრო მსუბუქი სახდელი. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სრულად არ უნდა გამოირიცხოს პასუხისმგებლობის

შემამსუბუქებელ გარემოებებზე მსჯელობის შესაძლებლობა. მსგავსი კატეგორიის დავებზე არსებული პრაქტიკის თანახმად (საქმე №ბს-926-922(კ-17), 20 დეკემბერი, 2019 წ.), ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგად ნაწილში მოცემული მოწესრიგება ზოგადია ყველა სამართალდარღვევისათვის. სააპელაციო პალატამ უნდა შეაფასოს გამოყენებული სანქციის პროპორციულობა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შეფარდებული სანქციის არაპროპორციულობის შეთხვევაში, თავად გამოიყენოს სადაც სამართალურთიერთობის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლი, რომელიც მცირებინიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში, ითვალისწინებს უფლებამოსილი ორგანოს დისკრეციულ კომპეტენციას, გაათავისუფლოს დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მეორე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირს სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების შესაბამისობით. ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი მუხლები ადგენენ ადმინისტრაციული გადაცდომისათვის კანონით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების საერთო წესს (სუს 01.07.09წ. გადაწყვეტილება, საქმე №ბს-1442-1400(კ-კს-08); სუსგ 20.12.2019წ., №ბს-638-634(კ-17)). სამშენებლო სამართალდარღვევებზე ცალკე კანონმდებლობა ვრცელდება, თუმცა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლი ზოგადია ყველა სამართალდარღვევისათვის. ამ მუხლით გათვალისწინებული მოწესრიგება არ არის სხვაგვარად ასახული სპეციალურ კანონში, კერძოდ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში, რომლის 25-ე მუხლის ბოლო პუნქტის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ნარმოებისას სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ხელმძღვანელობს ამ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით. შესაბამისად, სააპელაციო პალატა ვალდებულია, იმსჯელოს სადაც სამართალურთიერთობასთან მიმართებაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობაზე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, განსახილველი შემთხვევის მომწერიგებელი სამართლებრივი აქტები არ შეიცავს აკრძალვას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინების თაობაზე. ამდენად, მოსარჩევლისათვის სანქციის შეფარდების საკითხზე სააპელაციო სასამართლო იმსჯელებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე და 34-ე მუხლების გათვალისწინებით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლება ბრალეულის მიერ სამართალდარღვევის მავნე შედეგების აცილება, ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს წყვეტს, შეუძლია შემამსუბუქებლად მიიჩნიოს ისეთი გარემოებანი, რომლებიც არ არის აღნიშნული კანონმდებლობაში.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ზოგადად, სანქციისა და მათ შორის – ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების უმთავრეს მიზანს ნარმოადგენს არა სუბიექტის დასჯა, არამედ პრევენციული და აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარება, რათა შემდგომში მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი მსგავს კანონშეუსაბამო ქმედებათა ჩადენა, როგორც იმავე სუბიექტისაგან, ისე მსგავს სამართალურთიერთობაში მონაწილე სხვა სუბიექტებისთვისაც. ყოველი კონკრეტული საქმის განხილვის პროცესში, სასამართლო ვალდებულია, გაითვალისწინოს საქმეზე არსებული მთელი რიგი ისეთი ფაქტორები, რაც ხელს შეუწყობს მაქსიმალურად სამართლიანად და სწორად შეფასდეს კონკრეტული სუბიექტის მიმართ გამოსაყენებელი სანქციის პროცესობის საკითხი. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მსჯელობის გარეშე არ უნდა დარჩეს და უნდა შეფასდეს ისეთი შემამსუბუქებელი გარემოებანი, რამაც შესაძლოა არსებოთი გავლენა იქონიოს თანაზომიერი და სამართლიანი პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებაზე. მათ შორის, გასათვალინებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათი, მისი მასშტაბი, სიმძიმე, უკვე დამდგარი ან/და პოტენციური მძიმე შედეგის დადგომის საფრთხე, სამართალდამრღვევი სუბიექტის მიერ წარსულში მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტი, სამართალდამრღვევი სუბიექტის კანონსაწინააღმდეგო ქმედების შემდგომი ქცევა, სამართალდარღვევის დროული გამოსწორებისავენ მიმართული ქმედებები და სხვა ფაქტორებიც. ამასთანავე, დასახელებულ გარემოებათა მხედველობაში მიღება უზრუნველყოფს სახ-

დელშემფარდებელი სუბიექტის მხრიდან სახდელის შეფარდების პროცესში თანაზომიერებისა და სამართლიანობის პრინციპების გამოყენებას, რაც გამოიხატება კანონით დაცულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დადგენაში. სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს კანონიერიც და სამართლიანიც.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, თუ ჩადენილია მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, მაშინ საქმის გადასაწყვეტად უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია გაათავისუფლოს დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და დასჯერდეს სიტყვიერ შენიშვნას. პალატის შეფასებით, ყველა სამართალდარღვევა თანაბრად მნიშვნელოვანია და სწორედ ამიტომ არის ასახული მთელ რიგ კანონებში. სამართალდარღვევის მცირემნიშვნელობის საზომადვერ გამოდგება კონკრეტული სამართალდარღვევის ჩადენისთვის გათვალისწინებული სანქციის ზომა, ანუ ვერ ვიტყვით, რომ სამართალდარღვევა, რომლისთვისაც დაწესებულია მცირე ზომის სანქცია, მცირე მნიშვნელობისაა და პირიქით – სადაც სანქცია მაღალია, სამართალდარღვევა არ უნდა ჩაითვალოს მცირემნიშვნელობის მქონედ. საკითხის ამგვარად განმარტება მართებულად რომ ჩაითვალოს, კანონით დადგენილი უნდა იყოს სანქციის ისეთი ზღვარი, რომლის ქვემოთ არსებობის შემთხვევაც, სამართალდარღვევას აქცევდა მცირე მნიშვნელობის მქონედ. „მცირე მნიშვნელობის“ დეფინიცია მოიცავს არა ერთ კომპონენტს – სანქციის ზომას, არამედ მთელ რიგ კუმულატიურად შესაფასებელი ფაქტების ერთობლიობას. მათ შორის, შემამსუბუქებელ გარემოებებს, რაც უკავშირდება სამართალდარღვევის საქმეს და ახასიათებს კონკრეტულ სამართალდამრღვევ სუბიექტს. სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ჩადენილი სამართალდარღვევის შედეგად არ დამდგარა მავნე შედეგი, ამასთანავე, დღეის მდგომარეობით თავიდან არის აცილებული სამართალდარღვევიდან მომდინარე მავნე შედეგების დადგომის საფრთხეც, კერძოდ, დარღვევის ფაქტის აღმოჩენიდან, მოსარჩელემ უმოკლეს ვადაში სრულად აღმოფხვრა მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისას უსაფრთხოების კუთხით არსებული შეუსაბამობები. სუბიექტი არ არის გამოვლენილი სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენაში, რის გამოც, მაგ „ლ-ის“ მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლი – გამოეცხადოს სიტყვიერი შენიშვნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ გადაწყვეტილების გამოტანიდან ბათილად უნდა იქნეს

ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 12 აგვისტოს №000560 დადგენილება, შპს „ლ-ის“ 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარით დაჯარიმების ნაწილში; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე, შპს „ლ-ი“ უნდა გათავისუფლდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და გამოეცხადოს სიტყვიერი შეინშვნა. ამასთანავე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 31 დეკემბრის №2082 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, წინა სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების თანმდევ შედეგს წარმოადგენს. ამდენად, გადაწყვეტილების გამოტანიდან ასევე ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 31 დეკემბრის №2082 ბრძანება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო ნესით გასაჩივრეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ. კასატორებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლზე და თულის, რომ მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და არასწორად განმარტა კანონი. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

კასატორის განმარტებით, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოქმედი რედაქციით, სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებულია აბსოლუტური სანქცია – ჯარიბა 30 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული ჯარიმის ოდენობა გაიზარდა (3000 ლარიდან) დარღვევის სერიოზული ხასიათიდან გამომდინარე. მხედველობაშია მისალები ის გარემოება, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მითითების გაცემის გზით წარმოების დაწყების ნაცვლად, დადგინდა წარმოების შემოწმების აქტით დაწყებისა და დაუყოვნებლივ დაჯარიმების ვალდებულება. აღნიშნული განაპირობა დარღვევის ტიპის სერიოზულობამ. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში,

დარღვევის მცირემნიშვნელოვნად მიჩნევა სააპელაციო სასამართლოს მხრიდან, არასაკმარისად დასაბუთებულია, არ არსებობდა მუნიციპალური ინსპექციის დადგენილების ბათილად ცნობისა და სამართალდამრღვევისთვის შენიშვნის გამოცხადების საფუძველი.

კასატორი მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ საკასაციო საჩივრის საფუძვლებზე და თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასებები გააკეთა, რაც გახდა უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითა ამოტანილი. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: а) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. კასატორის მოსაზრებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. კასატორი მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლებზე და თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრარი აკმაყოფილებს დასაშვებობის ნინაპირობებს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმე განხილული აქვს მატერიალური და საპროცესო ნორმების დარღვევით, რამაც გავლენა იქონია უკანონობა და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღებაზე.

კასატორი მიუთითებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის პირველი მუხლის „ა“, „თ“ ქვეპუნქტებზე, ამავე კოდექსის 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის „ი“ ქვეპუნქტზე, ასევე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის უსაფრთხოების შე-

სახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მეორე მუხლის მეორე, მე-3 პუნქტებზე, მე-18 მუხლზე და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილებით დამტკიცებული „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, მე-15 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-17 მუხლზე. აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, კასატორი განმარტვას, რომ მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებულ სამშენებლო ობიექტზე სამუშაოების, მათ შორის, სიმაღლეზე შესასრულებელი სამუშაოების განხორციელებისას, პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, სამშენებლო მოედანზე უზრუნველყოს სამშენებლო უსაფრთხოების ნორმების სათანადოდ დაცვა და სამუშაოები განახორციელოს ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, რათა საფრთხე არ დაემუქროს ადამიანის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, საკუთრებასა და გარემოს, ამასთან, ხელი შეეწყოს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას. სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მითითებული დადგენილებებით განსაზღვრული უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შემთხვევაში, ადგილი ექნება სამართალ-დარღვევას, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით.

კასატორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე წარმოდგენილი დოკუმენტებით დადგენილად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ თბილისში, ...-ის მიმდებარედ/... მიმდებარედ, ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მინის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისას დარღვეულ იქნა მშენებლობის უსაფრთხოების წესები, კერძოდ, კიბის მარშებზე სრულად არ არის მოწყობილი დროებითი მოაჯირები; ფასადის ლიობებზე სრულად არ არის მოწყობილი დროებითი დამცავი მოაჯირები; სამშენებლო მოედანი სრულად არ არის შემოღობილი სამშენებლო ღობით. ამდენად, სახეზეა სამშენებლო სამართალდარღვევა, რაც, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამართალდამრღვევი პირისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მიუთითებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-14 მუხლის მეორე ნაწილზე, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე, ამავე დადგენილების 94¹ მუხლის მე-4 პუნქტზე, მე-20 მუხლის პირველ პუნქტზე და განმარტავს, რომ სამშენებლო სამართალდარღვევისათვის (მშენებლობის უსაფ-

რთხოების წესების დარღვევისათვის) პასუხისმგებლობა შეიძლება და დაეკისროს დამკვეთს, ვინაიდან მის ვალდებულებას წარმოადგენს, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას უზრუნველყოს სანებართვო პირობების დაცვა, მათ შორის, სამშენებლო მოედანზე დაიცვას სამშენებლო რეგლამენტით განსაზღვრული უსაფრთხოების მოთხოვნები. მშენებლობის ნებართვის გაცემის მესამე სტადიაზე და სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას კი, დამკვეთს წარმოადგენს იმ მინის ნაკვეთის მესაკუთრე, რომელზე გაცემული მშენებლობის ნებართვის საფუძველზეც მიმდინარეობს აღნიშნული სამუშაოები. მოცემულ შემთხვევაში, სადაც დადგენილებით შპს „ლ-ს“ პასუხისმგებლობა დაეკისრა, როგორც დამკვეთს. დადგენილია, რომ ქ. თბილისში, ...-ის მიმდებარედ / ... მიმდებარედ, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მინის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ლ-ი“. ამდენად, აღნიშნულ პირს გააჩნდა ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი და მინის ნაკვეთზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან მიმართებით, იგი წარმოადგენს დამკვეთს, რომლის ვალდებულებაც იყო ობიექტზე სამშენებლო რეგლამენტით დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფა. შპს „ლ-ი“, როგორც დამკვეთი, კანონშესაბამისად იქნა მიჩნეული სამართალდარღვევის სუბიექტად.

კასატორი მიუთითებს, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა – მშენებლობის განხორციელება სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, გამოიწვევს დაჯარიმებას 30 000 ლარით. მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემადგენლობა. შესაბამისად, არსებობდა სადაც დადგენილების გამოცემისა და შპს „ლ-ის“ 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარით დაჯარიმების სამართლებრივი საფუძველი.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ შპს „ლ-თან“ მიმართებაში სრულყოფილად არ შესრულდა საქართველოს მთავრობის №361-477 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, თუმცა სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ისეთ უმნიშვნელობა.

ლოგანესი და ფუნდამენტური ღირებულებები, როგორიც არის ადა-
მიანის ჯანმრთელობა, სიცოცხლე, საკუთრებისა და უსაფრთხო
სამუშაო პირობების უზრუნველყოფა. ამ ღირებულებათა პრევენ-
ციას უზრუნველყოფს სწორედ პროდუქტის უსაფრთხოებისა და
თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი,
რომლის საფუძველზედაც მხარე დაჯარიმდა 30 000 ათასი ლარით.
კასატორი ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამარ-
თლოს მსჯელობას, იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან სამშე-
ნებლო უსაფრთხოების წესების დარღვევას არ მოჰყოლია მავნე
შედეგი, დარღვევა უნდა ჩაითვალოს მცირე მნიშვნელობის მქო-
ნედ და მხარეს უნდა გამოიეცხადოს სიტყვიერი შენიშვნა. პროდუქ-
ტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 49-ე
მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიზანია სამართალდარღვევის პრევენცია
და იმ მავნე შედეგის თავიდან აცილება, რაც შესაძლოა სახეზე
იყოს სამშენებლო უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვე-
ვაში. თუ სასამართლო დანერგავს მსგავს პრაქტიკას სამშენებლო
სამართალდარღვევებთან მიმართებით, ეს იქნება გარკვეული წა-
ხალისება სამართალდამრღვევი სუბიექტებისათვის. შედეგად, აზ-
რი დაეკარგება კანონის არსებობას და მიზანს, სამშენებლო უსაფ-
რთხოების წესების დარღვევის ჭრილში.

საქართველოს უზრუნვესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატის 2022 წლის 25 იანვრის განჩინებით, საქართველოს
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწი-
ლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად ნარმოებაში იქ-
ნა მიღებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბი-
ლისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სა-
კასაციო საჩივრები. ამავე სასამართლოს 2022 წლის 16 მარტის გან-
ჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის
მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საკასაციო
საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და დადგინდა საქმის გან-
ხილვა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობისა და გასა-
ჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის
შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტე-
ტის მერიის მუნიციპალური ინსპექციისა და ქ. თბილისის მუნიცი-
პალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს
ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გა-
საჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილვე-
ლად უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს. სა-

კასაციონ პალატის მოსაზრებით, მოცემული დავის ფარგლებში სა-აპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია გარემოებები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდათ საქმისათვის, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მისი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმესთან დაკავშირებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

ქ. თბილისში, ...-ის მიმდებარედ/... კორპუსის მიმდებარედ (ს/კ ...), უძრავ ნივთზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია შპს „ლ-ის“ საკუთრების უფლება.

ქალაქ თბილისს მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისს მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 26 მარტის №4431610 ბრძანებით, ქ. თბილისში, ...-ის მიმდებარედ, კერძო საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული კორექტურებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა სანებართვო მონმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 26 მარტიდან 2022 წლის 26 მარტის ჩათვლით.

2019 წლის 12 აგვისტოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ შპს „ლ-ის“ მიმართ შეადგინა №000560 შემოწმების აქტი, რომლის თანახმად, ქ. თბილისში, ...-ის მიმდებარედ/... კორპუსის მიმდებარედ (ს/კ ...) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიმდინარეობისას, ობიექტზე დარღვეული იყო საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილებით დამტკიცებული „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მე-5 და მე-15 მუხლით გათვალისწინებული პირობები, ასევე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მეორე მუხლი, კერძოდ: სამშენებლო მოედანი სრულად არ იყო შემოღობილი სამშენებლო ღობით; კიბის მარშებზე სრულად არ იყო მოწყობილი დროებითი მოაჯირები და ფასადის ღიობებზე არ იყო მოწყობილი დროებითი დამცავი მოავირები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 12 აგვისტოს №შ-241/19 დადგენილებით შეჩერდა შპს „ლ-ის“ მიერ, ქ. თბილისში, ...-ის მიმდებარედ/... კორპუსის მიმდებარედ (ს/კ ...) მშენებლობის უსაფრთხოების წესების

დარღვევით მიმდინარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, მშენებარე ობიექტზე (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) მშენებლობის უსაფრთხოების წესების უზრუნველყოფამდე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 12 აგვისტოს №000560 დადგენილებით შპს „ლ-ი“ დაჯვარიმდა 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, ...-ის მიმდებარედ/... კორპუსის მიმდებარედ (ს/კ ...) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე, მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის. ამავე დადგენილებით შპს „ლ-ს“ დაევალა ქ. თბილისში, ...-ის მიმდებარედ/... კორპუსის მიმდებარედ (ს/კ ...) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე მშენებლობის უსაფრთხოების წესების დაცვა.

2019 წლის 20 აგვისტოს შპს „ლ-ის“ დირექტორმა განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციას და მშენებლობის განახლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა. განმცხადებელმა წარადგინა ი/ზ „...ექსპერტიზის“ 2019 წლის 20 აგვისტოს №... საექსპერტო დასკვნა, „ქალაქ თბილისში, ... მიმდებარედ (ს/კ ...), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებათა დაცვის თაობაზე“.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 27 აგვისტოს №შ-241/19-2 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ შპს „ლ-ის“ მიმართ მიღებული 2019 წლის 12 აგვისტოს №შ-241/19 დადგენილება, მშენებლობის შეჩერების შესახებ.

2019 წლის 27 აგვისტოს შპს „ლ-ის“ დირექტორმა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 12 აგვისტოს №შ-241/19 და 2019 წლის 12 აგვისტოს №000560 დადგენილებების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 31 დეკემბრის №2082 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა შპს „ლ-ის“ 2019 წლის 27 აგვისტოს ადმინისტრაციული საჩივრი, ძალაში დარჩა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 12 აგვისტოს №შ-241/19 და 2019 წლის 12 აგვისტოს №000560 დადგენილებები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემული საკასაციო საჩივრების ფარგლებში უნდა შეფასდეს: ჰქონდა თუ არა საა-

პელაციო სასამართლოს სადაცო სამართალურთიერთობასთან მიმართებაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობა და ამ შესაძლებლობის დადგენის შემთხვევაში, არსებობდა თუ არა გამოვლენილი სამართალდარღვევის მცირემნიშვნელოვნად მიჩნევის წინაპირობები, რაც მოსარჩელეს გაათავისუფლებდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან.

საკავაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მეორე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირს სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების შესაბამისობით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადგენს ადმინისტრაციული გადაცდომისათვის კანონით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების საერთო წესს. შესაბამისად, ზოგადი წესი, რომელიც მცირებინიშვნელოვანი სამართალდარღვევის შემთხვევაში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის გამოყენებას შეეხება, ვრცელდება ყველა სახის სამართალდარღვევაზე, თუ სპეციალური კანონით სხვაგვარი მოწესრიგება არ არსებობს. „...მართალია, სამშენებლო სამართალდარღვევებზე ცალკე კანონმდებლობა ვრცელდება, თუმცა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მოცემული ურთიერთობები არ არის სხვაგვარად დარეგულირებული სპეციალურ, კერძოდ, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში, რომლის 25-ე მუხლის ბოლო პუნქტით თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ხელმძღვანელობს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით..“ (სუს 2019 წლის 20 დეკემბრის № ბს-926-922(კ-17), 2021 წლის 29 ოქტომბრის № ბს-76(კ-19) განჩინებები). ამრიგად, ზოგადი წესი, რომელიც მცირე მნიშვნელობის სამართალდარღვევას აწესრიგებს, ვრცელდება ყველა სახის სამართალდარღვევაზე, თუ ისინი სპეციალური კანონით არ არის სხვაგვარად მოწესრიგებული, მათ შორის სამშენებლო კანონმდებლობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, სა-

აპელაციონ სასამართლოს გააჩნდა საკანონმდებლო საფუძველი, სა-დავო სამშენებლო სამართალდარღვევათან მიმართებაში ემსჯე-ლა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კო-დექსის 22-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობაზე.

რაც შეეხება მოსარჩევესთან მიმართებაში გამოვლენილი სა-მართალდარღვევის მცირებინიშვნებით და მისი ად-მინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკითხის მართებულობას:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩევესთან მიმართებაში გამოვლინდა მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა, რაც პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას წარმოადგენს და სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას, 30 000 ათასი ლარის ოდენობით. საგულისხმოა, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის აბსოლუტური სანქციის სახით ადგენს ჯარიმის კონკრეტულ ოდენობას. ამდენად, ამ ნორმით გათვალისწინებული ქმედების გამოვლენისას, შედარებით განსაზღვრული სანქციის არარსებობის პირობებში, შეუძლებელია, ყოველი კონკრეტული შემთხვევესათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრა ჯარიმის ოდენობის გონივრულობის გათვალისწინებით. „...აბსოლუტურად განსაზღვრული სანქცია, რომელიც საერთოდ არ ითვალისწინებს მოსამართლის მიხედულების თავისუფლების გარკვეულ არეალს, ალუვეთს მას შესაძლებლობას, შეაფასოს სანქციით გათვალისწინებული ონბისძიების გამოყენების აუცილებლობა, გამართლებულობა და შესატყვევისობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში..“ (საქართველოს საკონსტიტუციონ სასამართლოს 2020 წლის 12 ნოემბრის №1/2/1475 გადაწყვეტილება). ამდენად, სახეზეა შემთხვევა, როდესაც სანქცია უფლებამოსილ ორგანოს არ უტოვებს დისკრეციას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაბამისი კრიტერიუმებით და სახელმძღვანელო პრინციპებით შეაფასოს, რარისკის მატარებელია დარღვევა დაცული სფეროსათვის.

საკასაციონ პალატა განმარტავს, რომ ქმედების სამართალდარღვევად აღიარებისას, კანონმდებელი მისი საშიშროების ხარისხის შესაბამისად განსაზღვრავს სანქციის სახეს და მოცულობას. ამასთანავე, შესაძლებელია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით, სახდელის შეფარდებაზე უფლებამოსილმა ორგანომ ჩათვალის, რომ დარღვევის საშიშროების ხარისხმა არ მიაღწია იმ მინიმუმს, რაც აუცილებელია მისი ჩამდენისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. სწორედ

ამ მიზნით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლი ადგენს ქმედების მცირემნიშვნელოვნების გათვალისწინებით, დამრღვევის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისა და მისთვის შენიშვნის გამოყენების შესაძლებლობას. კერძოდ, ამ მუხლის თანახმად, თუ ჩადენილია მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, საქმის გადასაწყვეტად უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია გაათავისუფლოს დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და დასჯერდეს სიტყვიერ შენიშვნას. სიტყვიერი შენიშვნა არ გამოყენება, თუ ჩადენილია იგივე ქმედება განმეორებით, ან თუ დამრღვევის მიმართ ადრე ჩადენილი იმავე ქმედებისათვის ამ მუხლის საფუძველზე გამოყენებული იყო სიტყვიერი შენიშვნა.

საგულისხმოა, რომ მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლი არ შეიცავს მითითებას გადაცდომის მცირემნიშვნელოვნად მიჩნევისათვის საჭირო კრიტერიუმების თაობაზე. „მცირემნიშვნელობის“ განმარტება კანონში მოცემული არ არის, თუმცა უდავოა, რომ შენიშვნის გამოყენება რელევანტურია მაშინ, როდესაც დამრღვევის გამოსასწორებლად არ არის საჭირო სახდელის გამოყენება. საგულისხმოა, რომ შენიშვნის გამოყენებით სამართალდამრღვევის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება არ ნიშნავს მისი მხრიდან ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენის ფაქტის გამორიცხვას. აღნიშნული მუხლის გამოყენების წინაპირობა სამართალდარღვევის ფაქტის უდავოდ არსებობა და მხოლოდ იმ გარემოებების კვლევა, რომლებიც ჩადენილი ქმედების მცირემნიშვნელოვნებას დაადასტურებს, დამრღვევისათვის სანქციის დაკისრების აუცილებლობის გამოსარიცხად.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ქმედების მცირემნიშვნელოვნად მიჩნევა უნდა მოხდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პრინციპების და მიზნების შეჯერების საფუძველზე. ამასთანავე, აუცილებელია სამართალდარღვევის დამდგენი კონკრეტული ნორმის კომპლექსური ანალიზი. სამართალდარღვევის მცირემნიშვნელოვნად შეფასებისას, უნდა ჩაითვალოს, რომ ქმედება ფორმალურად შეიცავს სამართალდარღვევის ნიშნებს, თუმცა თავისი ხასიათით არ გამოუწევევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სამართალდარღვევის შემცველი ქმედების მცირემნიშვნელოვნების დასადგენად, აუცილებელია, სა-

სამართლო გასცდეს საკანონმდებლო აქტის შესაბამისი მუხლის დისპოზიციაში აღნერილ შემადგენლობას, სამართალდარღვევის არსებობის ფაქტის დადასტურების სტადიას და მხედველობაში მიიღოს სამართალდარღვევის ჩადენის ჩადენის ადგილი, დრო, ვითარება, საშუალება და მთელი რიგი გარემოებები. სამართალდარღვევას მცირე მნიშვნელობა მაშინ უნდა მიენიჭოს, როდესაც გაანალიზდება, რომ მსგავსი ქმედების ჩადენისას კანონმდებლობით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს და მართლწესრიგს არ ადგება არსებითი ზიანი. „...ამა თუ იმ ქმედების მნიშვნელობის განსაზღვრისას შესაძლებელია, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მხრიდან მრავალი სხვადასხვა ფაქტობრივი გარემოება თუ ინდივიდუალური მახასიათებელი იქნეს გათვალისწინებული (მაგალითად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევით განპირობებული ზიანის ბუნება და ხარისხი, სამართალდამრღვევის მიერ ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება და სხვ.)“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 12 ნოემბრის №1/2/1475 გადაწყვეტილება).

როგორც აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის სანქციების საფუძველი გახდა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომელიც პასუხისმგებლობის სახით ჯარიმის დაკისრებას უკავშირებს მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევას (მშენებლობის განხორციელებას სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე). საყურადღებოა, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 49-ე მუხლი ზოგადად მიუთითებს მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევაზე, როგორც დასჯად ქმედებაზე. შესაბამისად, ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის წარმოშობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებულია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ცალკეული სპეციალური ნორმების დარღვევასთან. ამდენად, შესაძლებელია, ცალკეულ შემთხვევებში განსხვავებული იყოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 49-ე მუხლით აკრძალული ქმედებიდან გამომდინარე ზიანის საფრთხის ბუნება, ხარისხი და რაოდენობა. მოცემულ შემთხვევაში, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სანქციის სახით ჯარიმის დაკისრების ზოგადი საფუძველი გადატვირთვის სამართლის მიერ მომადგენლობას, სამართალდარღვევის არსებობის ფაქტის დადასტურების სტადიას და მხედველობაში მიიღოს სამართალდარღვევის ჩადენის ჩადენის ადგილი, დრო, ვითარება, საშუალება და მთელი რიგი გარემოებები. სამართალდარღვევას მცირე მნიშვნელობა მაშინ უნდა მიენიჭოს, როდესაც გაანალიზდება, რომ მსგავსი ქმედების ჩადენისას კანონმდებლობით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს და მართლწესრიგს არ ადგება არსებითი ზიანი. „...ამა თუ იმ ქმედების მნიშვნელობის განსაზღვრისას შესაძლებელია, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მხრიდან მრავალი სხვადასხვა ფაქტობრივი გარემოება თუ ინდივიდუალური მახასიათებელი იქნეს გათვალისწინებული (მაგალითად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევით განპირობებული ზიანის ბუნება და ხარისხი, სამართალდამრღვევის მიერ ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება და სხვ.)“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 12 ნოემბრის №1/2/1475 გადაწყვეტილება).

როგორც აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის სანქციების საფუძველი გახდა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომელიც პასუხისმგებლობის სახით ჯარიმის დაკისრებას უკავშირებს მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევას (მშენებლობის განხორციელებას სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე). საყურადღებოა, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 49-ე მუხლი ზოგადად მიუთითებს მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევაზე, როგორც დასჯად ქმედებაზე. შესაბამისად, ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის წარმოშობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებულია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ცალკეული სპეციალური ნორმების დარღვევასთან. ამდენად, შესაძლებელია, ცალკეულ შემთხვევებში განსხვავებული იყოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 49-ე მუხლით აკრძალული ქმედებიდან გამომდინარე ზიანის საფრთხის ბუნება, ხარისხი და რაოდენობა. მოცემულ შემთხვევაში, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სანქციის სახით ჯარიმის დაკისრების ზოგადი საფუძ-

ვლის კონკრეტიზაციას, მოსარჩელესთან მიმართებაში, შეიცავს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილებით დამტკიცებული „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტისა“ და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ სპეციალური ნორმები (სადავო დადგენილებით მიჩნეულია, რომ დარღვეულია „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მე-5, მე-15 მუხლებისა და „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მეორე მუხლის მოთხოვნები – სამშენებლო მოედანი სრულად არ იყო შემოღობილი სამშენებლო ღობით; კიბის მარშებზე სრულად არ იყო მოწყობილი დროებითი მოაჯირები და ფასადის ღიობებზე არ იყო მოწყობილი დროებითი დამცავი მოაჯირები).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მშენებლობის წარმოებისას ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ერთ-ერთ უმთავრეს ინტერესს უნდა წარმოადგენდეს. სწორედ ამიტომ, აუცილებლობას წარმოადგენს სანებართვო სამართლის ინსტიტუტების სწორად გამოყენება. „...აღნიშნული სამართლის ინსტიტუტების სწორი გაგება-გამოყენება უშუალოდ განაპირობებს ადამიანთა ყოფას, საზოგადოებრივი წესრიგის ხარისხსა და კულტურას..“ (სუს 2013 წლის 2 ივლისის №ბს-60-55(კ-13) გადაწყვეტილება). შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, სამშენებლო სფეროში შრომის უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების უზრუნველყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მაღლალია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის წარმოშობის რისკი.

სამშენებლო საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფა სამშენებლო სფეროს ტექნიკური რეგლამენტებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. სწორედ მითითებული კოდექსის მიზნების აღსრულებას ემსახურება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ“. კერძოდ, მითითებული ნორმატიული აქტებიდან გამომდინარე, მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებულ სამშენებლო ობიექტზე სამუშაო-

ების, მათ შორის, სიმაღლეზე შესასრულებელი სამუშაოების განხორციელებისას, პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, სამშენებლო მოედანზე უზრუნველყოს სამშენებლო უსაფრთხოების ნორმების სათანადოდ დაცვა და სამუშაოები განახორციელოს ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, რათა საფრთხე არ დაემუქროს ადამიანის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, საკუთრებასა და გარემოს, ამასთან, ხელი შეეწყოს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას. სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მითითებული დადგენილებებით განსაზღვრული უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შემთხვევაში, ადგილი ექნება სამართალდარღვევას, რომლისთვისაც პასუხისმგებლიობა გათვალისწინებულია პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით.

უდავოა, რომ შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის საფუძველზე, მოსარჩელე ანარმობდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას. ასევე დადგენილია, რომ სამშენებლო სამუშაოები უკავშირდებოდა სიმაღლეზე სამუშაოების შესრულებას, სადაც არსებობდა 2 მეტრის და მეტი სიმაღლიდან ვარდნის საფრთხე (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილებით დამტკიცებული „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ შესაბამისად, სიმაღლეზე სამუშაოების შესრულებისას ძირითადი მოთხოვნები და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპები დადგენილია იმ სამუშაოებზე, სადაც არსებობს 2 მეტრის და მეტი სიმაღლიდან ვარდნის საფრთხე (მათ შორის, ღიობები). ამ პირობებში, მოსარჩელე კომპანიას კიბის მარშებზე სრულად არ ჰქონდა მოწყობილი დროებითი მოაჯირები – ანუ დარღვეული იყო დამცავი მოაჯირების სისტემისათვის დადგენილი აუცილებელი მოთხოვნები – დამცავი მოაჯირები არ იყო დამონტაჟებული ყველგან, სადაც არსებობს სიმაღლიდან ვარდნის პოტენციური საფრთხე (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილებით დამტკიცებული „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი). საგულისხმოა, რომ მშენებლობის პროცესში კიბის მარშების მოწყობიბის მიზანი უდავოდ უკავშირდება სიმაღლეზე მუშაობის რისკის ნინასწარ შეფასებას და სიმაღლიდან ვარდნის საფრთხის თავიდან აცილებას, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოსალოდნელი საფრთხეების წინასწარი გაანალიზება არ მომხდარა. გარდა ამისა, ფასადის ღიობებზე არ იყო მოწყობილი დროებითი დამცავი მოაჯირები – ანუ დარღვეული იყო მოთხოვნები ღიობების მიმართ – ფასადის ღიობებზე, სადაც შესაძლე-

ბელი იყო ადამიანების ვარდნა, არ იყო მოწყობილი დროებითი დამცავი მოაჯირები (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილებით დამტკიცებული „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მე-15 მუხლი).

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოსახლეებთან მიმართებაში გამოვლინდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნათა დარღვევები. აღნიშნული რეგლამენტი ადგენს დასახლებულ ადგილებში და საზოგადოებრივი სიცოცის მომიჯნავედ ან მოქმედი საწარმოს ტერიტორიაზე სამშენებლო მოედნის შემოლობების ვალდებულებას, რათა სამშენებლო მოედანზე შესვლა იყოს კონტროლირებადი და გამორიცხული იყოს იქ უნებლიერ მოხვედრის შესაძლებლობა. შემოლობვა ხალხის მოძრაობის ადგილებში გადახურული უნდა იყოს ისეთი დამცავი საფარით, რომელიც უზრუნველყოფს ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებას. მოცემულ შემთხვევაში, სამშენებლო მოედანი სრულად არ იყო შემოლობილი სამშენებლო ღობით – ანუ დარღვეული იყო სამშენებლო მოედნის ორგანიზებასთან დაკავშირებული მოთხოვნები: სამშენებლო მოედანზე სამუშაოები არ იყო ორგანიზებული იმგვარად, რომ უზრუნველყოფილიყო მშენებლობის უსაფრთხოება (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მეორე მუხლი).

საკასაციო პალატა გამარტავს, რომ სხვა დარღვევების მსგავსად, სუბიექტის წების შესაბამისად, შესაძლებელია, გამოსწორებას დაექვემდებაროს მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევაც, თუმცა მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაბამისი ქმედების მცირემნიშვნელოვნად მიჩნევის მიზნებისათვის, გათვალისწინებულ უნდა იქნება, რომ საკითხი შეეხება სამშენებლო სამუშაოების წარმოებას სიმაღლეზე, რაც მომეტებული საფრთხის წყაროს წარმოადგენს და არსებული დარღვევებით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი შედეგი უშუალო კაეშირშია ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან. ამდენად, გასათვალისწინებელია არა მხოლოდ დარღვევის გამოვლენის შემდეგ არსებული ფაქტობრივი მოცემულობა (სანქციის დაკისრების შემდეგ, დარღვევის გამოსწორება, მშენებლობის გაგრძელება უსაფრთხოების წესების დაცვით, სხვა პირებისათვის ზიანის მიყენების ფაქტის არარსებობა), არამედ შესაძლო უარყოფითი შედეგის სერიოზულობის გააზრება. ქმედების მცირემნიშვნელოვნად შეფასების ფარგლები უნდა მოიცავდეს არამხოლოდ ქმედებით გამოწვეული ზიანის მცი-

რე მნიშვნელობის მქონედ შეფასებას, არამედ, იმ უარყოფითი შე-დეგის დადგომის რეალური საფრთხის გაანალიზებას, რაც არსებობდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ დარღვევის გამოვლენამ-დე. საგულისხმოა, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუ-ფალი მიმოქცევის კოდექსი, ამ ქმედებით განპირობებული შესაძლორისებისა და მოსალოდნელი საფრთხის მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, სხვა სამართალდარღვევებისაგან განსხვავებულად ადგენს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების პროცედურას: გათვალისწინებული არ არის სამართალდარღვე-ვის გამოვლენისას მითითების შედგენისა და დარღვევის აღმოფ-ხვრის მიზნით, სუბიექტისათვის ვადის განსაზღვრის შესაძლებ-ლობა. სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება იწყება პირდაპირ შემოწმების აქტის შედგენით. ამასთანავე, სამშენებ-ლო საქმიანობაზე ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია, შე-მოწმების აქტის შედგენისთანავე, დაუყოვნებლივ მიიღოს დად-გენილება დაჯარიმების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ დამრღვე-ვის პასუხისმგებლობისაგან გათვალისუფლებისა და სამართალდარ-ღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის წინაპირობას არ ქმნის სა-მართალდარღვევის გამოსწორება დადგენილების მიღებამდე (პრო-ცეკტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 23-ე, მე-13, მე-7 წანილები). ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზ-რებით, დარღვევის სერიოზულობას და მისი შინაარსისათვის გან-საკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებას ადასტურებს ის გარემო-ება(ც), რომ მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევის გა-მოვლენისას, პროცეკტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქ-ცევის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ქმედებებისაგან გან-სხვავებით, კანონმდებელი არ გამოხატავს წებას, სანქცირებამდე დამრღვეს განუსაზღვროს გამოსწორების ვადა. კანონით დასჯა-დად და პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლად მიჩნეულია თავისთავად მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევის ფაქტის გამოვლენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის მოსაზ-რებით, მართალია, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ სამართალდარღვევის მცირემნიშვნელოვნად მიჩნევის საკით-ხის შეფასება და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექ-სის 22-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობა არ არის დამოკიდე-ბული სამართალდარღვევის ჩადენისათვის გათვალისწინებული სანქციის სიმკაცრეზე, თუმცა ნათელია, რომ ამ მუხლის შინაარ-სის მთავარი განმსაზღვრელი სიტყვა – „მცირემნიშვნელოვნება“, თავისთავად კავშირშია ცალკეული დარღვევის ხასიათის, მისი სა-შიშროების ხარისხის შეფასებასთან. დადასტურებული სამართალ-

დარღვევის არსებობის პირობებში, დამრღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების გამორიცხვის საკითხის გადაწყვეტისას, საკმარისი არ არის მხოლოდ იმ გარემოებათა მხედველობაში მიღება, რომლებიც კავშირშია დარღვევის გამოვლენის შემდგომ არსებულ ვითარებასთან (სამართალდარღვევის ჩადენის აღიარება, მისი გამოსწორება).

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული განჩინებით შეფასებული არ არის შესაძლო საფრთხეები, რაც შეიძლებოდა წარმოქმნილიყო უსაფრთხოების წესების წარმოებული დაუცველად მშენებლობის წარმოებისას. საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ უნდა იმსჯელოს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული საშეღაბათო დანარჩენის გამოყენების მიზნებისათვის, არის თუ არა გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მხოლოდ ის გარემოება, რომ დარღვევის ჩადენის შემდეგ, მოსარჩელის აქტიური მოქმედებით ვითარება შეიცვალა (მშენებლობის უსაფრთხოების წესების დაცულობა აღდგა). სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ მოსარჩელე ახორციელებს მრავალინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას. შესაბამისად, სამშენებლო არეალის სიფართოვის, მშენებლობის მასშტაბურობის გათვალისწინებით, უსაფრთხოების დაცვის ვალდებულებაც უფრო მაღლალი ხარისხით წარმოიშობა და განსაკუთრებული საჭიროება არსებობს, შეფასდეს გამოვლენილი სამართალდარღვევისათვის დამახასიათებელი ყველა ინდივიდუალური ნიშანი. კერძოდ, დადგენილია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სამშენებლო სამუშაოები უკავშირდებოდა სიმაღლეზე სამუშაოების შესრულებას, სადაც არსებობდა 2 მეტრის და მეტი სიმაღლიდან ვარდნის საფრთხე. მოსარჩელეს კიბის მარშებზე სრულად არ ჰქონდა მოწყობილი დროებითი მოაჯირები – ანუ დარღვეული იყო დამცავი მოაჯირების სისტემისათვის დადგენილი აუცილებელი მოთხოვნები – დამცავი მოაჯირები არ იყო დამონტაჟებული ყველგან (ერთ სართულზე საერთოდ არ იყო მოწყობილი დამცავი მოაჯირები), სადაც არსებობს სიმაღლიდან ვარდნის პოტენციური საფრთხე. ფასადის ლიობებზე არ იყო მოწყობილი დროებითი დამცავი მოაჯირები – დარღვეული იყო მოთხოვნები ლიობების მიმართ – ფასადის ლიობებზე, სადაც შესაძლებელი იყო ადამიანების ვარდნა, არ იყო მოწყობილი დროებითი დამცავი მოაჯირები. გარდა ამისა, დარღვეული იყო სამშენებლო მოედნის ორგანიზებასთან დაკავშირებული მოთხოვნები – სამშენებლო მოედნი სრულად არ იყო შემოლობილი სამშენებლო ღობით).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სა-
სამართლო მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიი-
სა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინ-
სპექციის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობ-
რივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრე-
ბული გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცე-
სო კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად, საქმე ხელახლა განსა-
ხილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-
მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-
წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე
და 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. კასატორების – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუ-
ნიციპალური ინსპექციისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მე-
რიის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება და
საქმე ხელახლი განხილვის მიზნით დაუბრუნდეს იმავე სასამარ-
თლოს;
3. მხარეთათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი გა-
დაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლო-
ოა და არ საჩივრდება.

2. ს ხ ე ა ს ა მ შ ე ნ ე პ ლ ი ღ ა ვ ე ბ ი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ბს-1221(კ-21)

27 ივნისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
თ. ოქროპირიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. უ-ემ 2017 წლის 14 დეკემბერს სარჩელით მიმართა სამ-
ტრედის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ხონის მუნიციპალი-
ტეტის მერიის მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა ბათილად იქნეს ცნობილი ქ. ხონში, ...ას
ქ. №...-ში შპს „I...-ის“ თხევადი გაზის სატუმბი სადგურის მშენებ-
ლობის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გა-
ცემის შესახებ ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16
მაისის №39 351 ბრძანება.

სარჩელის თანახმად, ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017
წლის 16 მაისის №39 351 ბრძანებით დამტკიცდა ქ. ხონში, ...ას ქ.
№...-ში (ს/კ ...) მდებარე შპს „I...-ის“ კერძო საკუთრებაში არსებულ
მინის ნაკვეთზე თხევადი გაზის სატუმბი სადგურის მშენებლობის
პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა 2018 წლის მარტის ჩათ-
ვლით, თანდართული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.
მიუხედავად იმისა, რომ ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017
წლის 13 ივნისის ბრძანებით შეჩერდა მშენებლობა და დაინიშნა
ექსპერტიზა, კომპანია მშენებლობას მაინც აგრძელებდა. ექსპერ-
ტიზის მიერ შესწავლით იქნა მხოლოდ ობიექტის კონსტრუქციუ-
ლი ნაწილი და დადგინდა, რომ მშენებლობა შესრულებული იყო
ხარვეზებით და მოითხოვდა კორექტირებას. ამასთან, ექსპერტი-
ზას არ შეუმოწმებია, რამდენად აკმაყოფილებდა მშენებლობა სა-
ქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8

დეკემბრის № 1-1/2935 ბრძანებას, მათ შორის, არ შემოწმებულა, რამდენი იყო დაცილება მშენებლობასა და საცხოვრებელ სახლებს შორის.

მოსარჩელის მითითებით, რადგან იგი ცხოვრობს ასაშენებელი ობიექტის გვერდით და დაინტერესებული პირია, მონაწილეობა უნდა მიეღო ადმინისტრაციულ წარმოებაში, რისი საშუალებაც არ მიეცა. მის საცხოვრებელ სახლსა და წარმოებულ მშენებლობას შორის დაცილება ძალიან მცირეა, თუმცა აღნიშნული გარემოება პროექტის შედეგენისას გათვალისწინებული არ იყო. საყურადღებოა, რომ მშენებლობასთან ახლოს გადის ცენტრალური გაზის მილები და უსაფრთხოების წესების დარღვევა სავალალო შედეგის მომტანი იქნება არა მხოლოდ მისთვის, არამედ – ხონის მოსახლეობისთვისაც. ამასთან, სამშენებლო ობიექტზე არც აბრა იყო გამოკრული გაზის სატუმბი სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, აქტის გამოცემის დროს დარღვეულ იქნა მისი მომზადებისა და გამოცემის წესები.

2. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 3 იანვრის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეში შპს „I...“ ჩაბმულ იქნა მესამე პირად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად.

3. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. უ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) 2017 წლის 23 მარტს ხონის მუნიციპალიტეტის გამგებას განცხადებით მიმართა შპს „I...-ის“ მინდობილმა პირმა საზოგადოების კერძო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიზის ნაკვეთზე თხევადი გაზის სატუმბი სადგურის მშენებლობის ნებართვის მიღების თაობაზე; ბ) ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 10 მაისის №39 346 ბრძანებით დამტკიცდა შპს „I...-ის“ კერძო საკუთრებაში არსებული ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში (ს/კ ...) მდებარე მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები; გ) ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 მაისის №39 351 ბრძანებით შეთანხმებულ იქნა ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში მდებარე შპს „I...-ის“ თხევადი გაზის სატუმბი სადგურის მშენებლობის პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა 2018 წლის მარტის ჩათვლით; დ) ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 13 ივნისის №39 441 ბრძანების პირველი პუნქტით შეჩერებულ იქნა ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 მაისის №39 351 ბრძანება შპს „I...-ის“ კომპანიისთვის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ და აერძალა მშენებლობასთან დაკავშირებული რაიმე მოქმედე-

ბის განხორციელება საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე. ამავე ბრძანებით დაინიშნა ექსპერტიზა სსიპ ლევან სამხარაულის სახელმის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში; ე) სსიპ ლევან სამხარაულის სახელმის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 7 აგვისტოს დასკვნის თანახმად, შპს „...ს“ მიერ მომზადებული ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში მდებარე თხევადი გაზის სატუმბი სადგურის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია ხარვეზებით და მოითხოვს კორექტირებას კვლევაში მოცემული შენიშვნების მიხედვით. პროექტის მიმართ დადგენილ იქნა შემდეგი სახის შენიშვნები: განმარტებით ბარათში არ არის წარმოდგენილი გეოლოგიური კვლევის შედეგები და განმარტება – რა გრუნტზე ხდება საპროექტო შენობების დაფუძნება. კონსტრუქციულ ნაწილში უნდა იყოს მოცემული 0.00 ნიშნულის შესაბამისი აბსოლუტური ნიშნული. უნდა დაარმირდეს მიღებული წესით და პნ ... მოთხოვნების გათვალისწინებით. ფილის კონფიგურაციიდან გამომდინარე, აუცილებელია ჭრილის გარდა მოცემული იყოს ფილის არსებითი გეგმა, ზედა და ქვედა არმატურის ბადეების ჩვენებით, დასამატებელია სამონტაჟო არმატურაც; სვეტებში მიღებული საკიდების ბიჯი ზედა და ქვედა საყრდენებზე შესამცირებელია; საძირკვლების ფილებში დასამატებელია გვერდითი დასანკეროებელი ვერტიკალური ჩანგლები არმატურის პირგადადების წესების დაცვით; სველი წერტილის შენობა: შენობის კუთხეებში დასამატებელია რკინაბეტონის გულარები, მზიდა კედლების გადაკვეთებში კედლების წყობა გასაძლიერებელია ბადეებით, ზღუდარები დასამატებელია, საძირკვლების ჩალრმავება უნდა დაზუსტდეს გეოლოგიური მონაცემების საფუძველზე; ვ) მოსარჩევე მ. უ-ეს თავისი დარღვეული უფლების თაობაზე საამისოდ უფლებამოსილი ორგანოსათვის – ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღების მოთხოვნით არ მიუმართავს; ზ) შპს „გ...ის“ (ა ტიპის ინსპექტირების ორგანო) მიერ ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში მდებარე მშენებარე თხევადი გაზის სატუმბი სადგურის პროექტზე 2017 წლის 30 მაისს გაცემული საექსპერტო დასკვნის თანახმად, თხევადი გაზის შესანახი მიწისქვეშა რეზერვუარის და ჩამომსხმელი სვეტიდან რეგლამენტირებული მანძილი უახლოეს შენობა-ნაგებობამდე, რომელიც არ განეკუთვნება თხევადი გაზის სადგურს, შემუშავებულია დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ტექნიკურ რეგლამენტზე დაყრდნობით, სადაც 4-60 ტ-მდე ჭურჭლის განთავსება სადგურს გარეთ მდებარე შენობებამდე დასაშვებია 15 მ-ის მანძილზე. პროექტზე აღნიშნული დაშორება შეადგენს 20 მ-ს. რაც შეეხება თხევადი გაზის ჩამოსასხმელ სვეტს (დისპანსერი), მათი დაშო

რების მანძილი უნდა შეადგენდეს სულ მცირე 9 მ-ს. აღნიშნული მანძილი ასევე დაცულია. პროექტი შესრულებულია დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ტექნიკური რეგლამენტის (...ის სახანძრო და სამაშველო სამსახური) მოთხოვნების შესაბამისად; ო) სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 7 ივნისის დასკვნის თანახმად, მანძილი ჩამოსასხმელი სვეტიდან ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში (ფაქტიურად №139-ში) მდებარე საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის კედლამდე შეადგენს 25.5 მეტრს, ხოლო მანძილი ავზიდან ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში (ფაქტიურად №139-ში) მდებარე საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის კედლამდე შეადგენს 21.8 მეტრს. მანძილები ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში (ფაქტიურად №141-ში) მდებარე გაზგასამართი სადგურის კომპლექსის ჩამოსასხმელი სვეტიდან და ავზიდან და ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში (ფაქტიურად №139-ში) მდებარე შენობა-ნაგებობის კედლებს შორის არ შეესაბამება „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის №1-1/2935 ბრძანების დანართ №5-ში განსაზღვრულ ნორმებს; ი) მ. უ-ე ფლობს ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში (ფაქტობრივად №139-ში) მდებარე საცხოვრებელ სახლს (სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეების – ნ. კ-ეის, ქ. ა-ეის ჩვენებები).

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 30-ე მუხლზე, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „ნ“ პუნქტზე, 48-ე მუხლის პირველ ნაწილზე, „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №60 დადგენილების მე-6 პუნქტზე, „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და ასევე სხვა ქვეყნებში ნარმობული, რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 07 მარტის №50 დადგენილების პირველ მუხლზე მითითებით სამტრედიის რაონულმა სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოში სამოქმედოდ იქნა დაშვებული დადგენილების დანართით განსაზღვრულ ევროკავშირის

და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტი, მათ შორის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდის გაერთიანებული სამეფოს ტექნიკური რეგლამენტი (დანართის მე-6 პუნქტი). მოცემულ შემთხვევაში შპს „გ...ის“ (ა ტიპის ინსპექტირების ორგანიზაციის მიერ ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში მდებარე მშენებარე თხევადი გაზის სატუმბი სადგურის პროექტზე 2017 წლის 30 მაისს გაცემული საექსპერტო დასკვნის თანახმად, თხევადი გაზის შესანახი მინის-ქვეშა რეზერვუარის და ჩამომსხმელი სვეტიდან რეგლამენტირებული მანძილი უახლოეს შენობა-ნაგებობამდე, რომელიც არ განეკუთვნება თხევადი გაზის სადგურს, შემუშავებულია დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდის გაერთიანებული სამეფოს ტექნიკურ რეგლამენტზე დაყრდნობით... პროექტი შესრულებულია დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდის გაერთიანებული სამეფოს ტექნიკური რეგლამენტის (...ის სახანძრო და სამაშველო სამსახური) მოთხოვნების შესაბამისად. ის გარემოება, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელმისა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 07 ივნისს დასკვნის თანახმად, მანძილები ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში (ფაქტიურად №141-ში) მდებარე გაზგასამართი სადგურის კომპლექსის ჩამოსახმელი სვეტიდან და ავზიდან და ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში (ფაქტობრივად №139-ში) მდებარე შენობა-ნაგებობის კედლებს შორის არ შეესაბამება „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 დეკემბრის №1-1/2935 ბრძანების დანართი №5-ში განსაზღვრულ ნორმებს, არ წარმოადგენს გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძველს. შპს „გ...ის“ (ა ტიპის ინსპექტირების ორგანიზაციის მიერ შესახებ დასკვნის თანახმად, შეესაბამება დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდის გაერთიანებული სამეფოს ტექნიკურ რეგლამენტს. აღნიშნული შესაბამისობა მოსარჩევე მხარეს სადაცვოდ არ გაუხდია, სადაცვოდ ხდის დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდის გაერთიანებული სამეფოს ტექნიკური რეგლამენტის გამოყენებას თხევადი გაზის სატუმბი სადგურის მშენებლობის პროექტის შეფასებისათვის.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-11 პუნქტსა და 25-ე მუხლის მე-5 პუნქტზე მითითებით

სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ აქტი, რომელსაც არ შეესაბამება შპს „I...-ის“ საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე თხევადი გაზის სატუმბი სადგურის მშენებლობის პროექტი, არის „ავტოგასასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 დეკემბრის №1-1/2935 ბრძანება, რომელიც წარმოადგენს რეგულირების ამ სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების უფრო დაბალი იერარქის მიერ მიღებულ დოკუმენტს, ვიდრე „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დამვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებით შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და ასევე სხვა ქვეყნებში წარმოებული, რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 07 მარტის №50 და „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №60 დადგნილებები. ამასთან, ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც 2008 წლის 08 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის №1-1/2935 ბრძანება, ძალადაკარგულია „საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით (2010 წლის 04 აგვისტო).

სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩევე მხარის მიერ მისივე შუამდგომლობით ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით ნაწილზე აცელიორება, რომლის თანახმად, მანძილები ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში (ფაქტიურად №141-ში) მდებარე გაზგასამართი სადგურის კომპლექსის ჩამოსასხმელი სვეტიდან და ავზიდან და ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში (ფაქტობრივად №139-ში) მდებარე შენობა-ნაგებობის კედლებს შორის არ შეესაბამება „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 დეკემბრის №1-1/2935 ბრძანების დანართ №5-ში განსაზღვრულ ნორმებს, არ წარმოადგენს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს, ვინაიდან არ ქმნის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისთვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის შემადგენლობას.

სამტრედის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრდა მ. უ-ების მიერ.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 23 ივნისის განჩინებით მ. უ-ების სააპელაციო საჩივრარი არ დაკამაყოფილდა: უცვლელი დარჩა სამტრედის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასებები და დამატებით მიუთითა, რომ გასაჩივრებული ბრძანება არის აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. კანონი ასეთი აქტის ბათილად ცნობის შესაძლებლობას უშვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული აქტი არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირთა კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. ამასთან, აუცილებელია ეს დარღვევა იყოს არსებითი ხასიათის, ანუ სხვა პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა შეუძლებელი უნდა იყოს მოცემული ადმინისტრაციული აქტის გაუქმების გარეშე. კონკრეტულ შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე მესამე პირმა შეს „I...-მა“ განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის ქმედებები (ობიექტის მშენებლობა), ხოლო მოსარჩევის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა, რომ სადაც აქტით არსებითად დაირღვა და რეალური ზიანი მიადგა მის კანონიერ უფლებასა და ინტერესს.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 23 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. უ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩევის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა არასწორად დაადგინეს ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ აქტის გამოცემის დროს დაცული იყო მისი მომზადებისა და გამოცემის კანონით დადგენილი წესი, ასევე არასწორად დაადგინეს, რომ აქტის გამოცემის ფორმალურ მხარეს მოსარჩევე არ ხდიდა სადაცოდ. გასაჩივრებული აქტის გამოცემის დროს არ ჩატარებულა ადმინისტრაციული წარმოება, არ მიუწვევიათ ყველა დაანტერესებული პირი, მათ შორის, მოსარჩელეც. ამასთან, მშენებლობის დაწყებამდე არც აბრა იყო გამოკრული გაზის სატუმბი სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით. სრულად იქნა დარღვეული სადაც პერიოდში მოქმედი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის №1-1/2935 ბრძანების

ბა, კერძოდ, ამავე ბრძანების მე-5 დანართი, რაც დადასტურებულ იქნა ასევე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექ-სპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნითაც. სასამართლოს განმარტება იმის შესახებ, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი შეესაბამება დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ტენიკურ რეგლამენტს, დაუსაბუთებელია, რადგან საქართველოში მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით მოქმედებს საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტები, რომელთა მიხედვითაც სრულად არის დარღვეული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გასაჩივრებული ბრძანება არც ერთ ნორმატიულ აქტთან არ არის შესაბამისობაში. საყურადღებოა, რომ ხონის მუნიციპალიტის გამგებლის 2017 წლის 13 ივნისის ბრძანებით შეჩერდა მშენებლობა და დაინიშნა ექსპერტიზა, თუმცა კომპანია მშენებლობას მაინც აგრძელებდა. ექსპერტიზის მიერ შესწავლილ იქნა ობიექტის მხოლოდ კონსტრუქციული ნაწილი და დადგინდა, რომ მშენებლობა შესრულებულია ხარვეზებით და მოითხოვდა კორექტირებას. ექსპერტიზას არ შეუმონმებია რამდენად აგმაყოფილებდა მშენებლობა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის №1-1/2935 ბრძანებას, მათ შორის, ამავე ბრძანების მე-5 დანართს. პროექტის და ფაქტობრივი მშენებლობის მიხედვით, მშენებლობა არ არის დაცილებული კანონმდებლობით განსაზღვრული მანძილით ბრძანების მე-5 დანართში მითითებულ არც ერთ ობიექტთან, განსაკუთრებით საცხოვრებელ სახლებთან, ავტოსატრანსპორტო საშუალების სადგომ ადგილებთან, ავტომაგისტრალთან. კასატორის საცხოვრებელ სახლსა და თხევადი გაზის სატუმბ სადგურს შორის დაცილება მცირეა, ამასთან, იქვე გადის ცენტრალური გაზის მილები და უსაფრთხოების წესების დარღვევა საფალი შედეგის მომტანი იქნება არა მარტო მისთვის, არამედ – ხონის მოსახლეობისათვისაც.

კასატორის მოსაზრებით, დაუსაბუთებელია სასამართლოს მითითება, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის №1-1/2935 ბრძანება ძალადაკარგულია „საშიში სანარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით, რადგან აღნიშნულ ბრძანებაში ბოლო ცვლილება განხორციელდა 2018 წელს.

კასატორის მითითებით, სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ არასწორად განმარტა, რომ ვინაიდან სადაცო აქტი არის აღმჭურველი და მესამე პირს განხორციელებული აქვს მშენებლობა, მისი ბათილად ცნობა გამოიწვევდა მესამე პირისათვის ზიანის მიყენებას. მითითებული მსჯელობა ეწინააღმდეგება როგორც საქმის მასალებს, ისე მხარეთა ახსნა-განმარტებებს და მოქმედ კა-

ნონმდებლობას, რადგან, მართალია, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ იქნა აღმჯურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მაგრამ მესამე პირს არ შეიძლება კანონიერი ნდობა ჰქონდეს მის მიმართ, მის მიერ განხორციელებული უკანონო მოქმედების გამო, კერძოდ, მშენებლობის დაწყებისთანავე იქნა სასამართლოს მიერ გამომტანილი განჩინება და შეჩერდა მშენებლობა. მესამე პირი სასამართლოს გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ შაბათ-კვირას ახორციელებდა მშენებლობას, რის შესახებაც კასატორმა შეატყყობინა ზედამედველობის სამსახურს და ერთხელ გამოყენებულ იქნა კიდეც სახდელი.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 18 თებერვლის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. უ-ეის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 20 აპრილის განჩინებით მ. უ-ეის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიზნევს, რომ მ. უ-ეის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. უ-ეის სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები“, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, „სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)“. დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქ-

ტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებაზე დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) 2017 წლის 23 მარტს ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობას განცხადებით მიმართა შპს „I...-ის“ მინდობილმა პირმა საზოგადოების ეკრძო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე თხევადი გაზის სატუმბი სადგურის მშენებლობის ნებართვის მიღების თაობაზე; ბ) ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 10 მაისის №39 346 ბრძანებით დამტკიცდა შპს „I...-ის“ კერძო საკუთრებაში არსებული ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში (ს/კ ...) მდებარე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები; გ) ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 მაისის №39 351 პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანებით დამტკიცდა ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში (ს/კ ...) მდებარე შპს „I...-ის“ კერძო საკუთრებაში არსებული თხევადი გაზის სატუმბი სადგურის მშენებლობის პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა 2018 წლის მარტის ჩათვლით, თანდართული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად; დ) ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 13 ივნისის №39 441 მშენებლობის ნებართვის შეჩერებისა და ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ ბრძანებით შეჩერებულ იქნა ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 მაისის ბრძანება №39 351 შპს „I...-ის“ კომპანიისთვის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ, აეკრძალა მას მშენებლობასთან დაკავშირებული რაიმე მოქმედების განხორციელება საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე. ამავე ბრძანებით დაინიშნა საინჟინრო ექსპერტიზა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროდან დასკვნის მისაღებად; ე) სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 7 აგვისტოს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, შპს „...ს“ მიერ მომზადებული ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში თხევადი გაზის სატუმბი სადგურის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია ხარებზებით და მოითხოვს კორექტირებას, კვლევაში მოცემული შენიშვნების მიხედვით. ამავე დასკვნის გამოკვლევითი ნაწილიდან დგინდება, რომ ექსპერტს პროექტის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები: განმარტებით ბარათში არ არის მოცემული სამშენებლო მოედნის კლიმატური პირობები, ტერიტორიის სეისმურობა, ასევე არ არის წარმოდგენილი გეოლოგიური კვლევის შედეგები და განმარტება – რა გრუნტზე ხდება საპროექტო

შენობების დაფუძნება; კონსტრუქციულ ნაწილში მოცემული უნდა იყოს 0.00 ნიშნულის შესაბამისი აბსოლუტური ნიშნული; ფურცელი 10, ელემენტი 1 უნდა დაარმირდეს მიღებული წესით და პნ ... მოთხოვნების გათვალისწინებით; ფურცელი 11, ფილის კონფიგურაციიდან გამომდინარე, აუცილებელია ჭრილის გარდა მოცემული იყოს ფილის არმირების გეგმა, ზედა და ქვედა არმატურის ბადეების ჩვენებით, დასამატებელია სამონტაჟო არმატურაც; ფურცელი 12 სვეტებში მიღებული საკიდების ბიჯი ზედა და ქვედა საყრდენებზე შესამცირებელია; საძირკვლის ფილებში (ელემენტი 4 და 5) დასამატებელია გვერდით დასაანკერებელი ვერტიკალური ჩანგლები არმატურის პირგადადების წესების დაცვით; სველი წერტილის შენობა: შენობის კუთხებში დასამატებელია რკინაბეტონის გულარები, მზიდი კედლების გადაკვეთებში კედლების წყობა გასაძლიერებელია ბადეებით, ზღუდარები დასამატებელია, საძირკვლების ჩაღრმავება უნდა დაზუსტდეს გეოლოგიური მონაცემების საფუძველზე. რეზისუარის ნახაზი ესკიზურად არის წარმოდგინოლი და არ განხილება; გ) შპს „გ...ის“ (A ტიპის ინსპექტორების ორგანო) მიერ ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში მდებარე მშენებარე თხევადი გაზის სატუმბი სადგურის პროექტზე მომზადებული საექსპერტო დასკვნის თანახმად (2017 წლის 30 მაისი), ამავე მისამართზე მდებარე მშენებარე თხევადი გაზის სატუმბი სადგურის პროექტი შესრულებულია დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ტექნიკური რეგლამენტის (...ის სახანძრო და სამაშველო სამსახური) მოთხოვნების შესაბამისად. პროექტი შეფასებულია დადებითად და დასკვნაში მოცემული ორი შენიშვნის გათვალისწინების შემთხვევაში შესაძლებელია მასში აღნერილი სამონტაჟო სამუშაოების შესრულება. ამავე დასკვნაში აღნიშნულია, რომ თხევადი გაზის შესანახი მინისქემა რეზისუარის და ჩამომსხმელი სვეტიდან რეგლამენტირებული მანძილი უახლოეს შენობა-ნაგებობამდე, რომელიც არ განეკუთვნება თხევადი გაზის სადგურს, შემუშავებულია დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ტექნიკურ რეგლამენტზე დაყრდნობით, სადაც 4-60 ტ-მდე ჭურჭლის განთავსება სადგურს გარეთ მდებარე მშენებარე შენობებამდე დასაშვებია 15 მ-ის მანძილზე. პროექტზე აღნიშნული დაშორება შეადგენს 20 მ-ს. რაც შეეხება თხევადი გაზის ჩამომსხმელ სვეტს (დისპენსერი), მათი დაშორების მანძილი უნდა შეადგენდეს სულ მცირე 9 მ-ს, რაც ასევე დაცულია. სპეციალისტების მიერ დაფიქსირდა შემდეგი სახის ორი შენიშვნა: 1. პროექტზე არ არის დატანილი თხევადი გაზის წევის ამწევი მოწყობილობა (კომპრესორი ან ტუმბო); 2. არ არის დატანილი ხანძარსაწანალმდეგო ჰიდრანტები; ზ) სსიპ ლევან სამ-

ხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 7 ივნისის დასკვნის თანახმად, მანძილი ჩამოსასხმელი სვეტიდან ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში (ფაქტიურად №139-ში) მდებარე საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის კედლამდე შეადგენს 25.5 მეტრს, ხოლო მანძილი ავზიდან ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში (ფაქტიურად №139-ში) მდებარე საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის კედლამდე შეადგენს 21.8 მეტრს. მანძილები ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში (ფაქტიურად №141-ში) მდებარე გაზგასამართი სადგურის კომპლექსის ჩამოსასხმელი სვეტიდან და ავზიდან და ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში (ფაქტიურად №139-ში) მდებარე შენობა-ნაგებობის კედლებს შორის არ შესაბამება „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის №1-1/2935 ბრძანების დანართ №5-ში განსაზღვრულ ნორმებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (როგორც სადავო აქტის გამოცემის პერიოდში, ასევე დღეისათვის მოქმედი რედაქციით), მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა.

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ მე-100 მუხლის შესაბამისად, მშენებლობის შეტყობინების შეთანხმების ან მშენებლობის ნებართვის გაცემის უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციული ორგანო არის შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

სადავო პერიოდში მოქმედი „მშენებლობის ნებართვის გაცემის ნესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 30-ე მუხლის შესაბამისად, ადგილობრივ დონეზე მშენებლობის ნებართვის რეგულირებას ახორციელებენ შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

დასახელებული საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე პალატა განმარტავს, რომ როგორც სადავო პერიოდში, ასევე დღეისათვის მოქმედი, საკანონმდებლო ნორმებით მშენებლობის ნებართვის გაცემა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებაა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ხოლო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯარების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მთავარ სადაცო საკითხს წარმოადგენს ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 მაისის №39 351 პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანების კანონიერება, რომლის საფუძველზეც დამტკიცდა ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში (ს/კ ...) მდებარე შპს „I...-ის“ კერძო საკუთრებაში არსებული თხევადი გაზის სატუმბი სადგურის მშენებლობის პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა 2018 წლის მარტის ჩათვლით.

სადაცო პერიოდში მოქმედი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-3 მუხლის 43-ე პუნქტის თანახმად, მშენებლობის ნებართვა არის განსაკუთრებული იერარქიის ნებართვა, როგორც წესი, იყოფა სამ ურთიერთდამოკიდებულ, მაგრამ ადმინისტრაციული წარმოების თვალსაზრისით დამოუკიდებელ სტადიაზ: I სტადია – ქალაქიმშენებლობითი პირობების დადგენა (მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება); II სტადია – არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება (არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნიკულოგიური სქემის შეთანხმება); III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა; ხოლო ამავე დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით, განსაზღვრულ შემთხვევებში სათანადო წესით მიღებული მშენებლობის ნებართვა.

დადგენილია, რომ 2017 წლის 23 მარტს ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობას განცხადებით მიმართა შპს „I...-ის“ მინდობილმა პირისა საზოგადოების კერძო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთზე თხევადი გაზის სატუმბი

სადგურის მშენებლობის ნებართვის მიღების თაობაზე. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შემდეგ, 2017 წლის 16 მაისის ბრძანებით ასევე დამტკიცდა თხევადი გაზის სატუმბი სადგურის მშენებლობის პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ნებართვის მიღების მიზნით კომპანიის მიერ წარდგენილი იყო შპს „...ს“ მიერ მომზადებული ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში თხევადი გაზის სატუმბი სადგურის პროექტი.

საქმეში წარმოდგენილია 2017 წლის 30 მაისით დათარიღებული (ანუ მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ მომზადებული) შპს „გ...ის“ (A ტიპის ინსპექტორების ორგანო) მიერ ქ. ხონში, ...ას ქ. №...-ში მდებარე მშენებარე თხევადი გაზის სატუმბი სადგურის პროექტზე მომზადებული საექსპერტო დასკვნა, რომლის თანახმად, ამავე მისამართზე მდებარე მშენებარე თხევადი გაზის სატუმბი სადგურის პროექტი შესრულებულია დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთი ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ტექნიკური რეგლამენტის (...ის სახანძრო და სამაშველო სამსახური) მოთხოვნების შესაბამისად. პროექტი შეფასებულია დადგრითად და დასკვნაში მოცემული ორი შენიშვნის გათვალისწინების შემთხვევაში შესაძლებელია მასში აღნიშნული სამონტაჟო სამუშაოების შესრულება. ამავე დასკვნაში აღნიშნულია, რომ თხევადი გაზის შესანახი მიწისქვეშა რეზერვუარის და ჩამომსხმელი სვეტიდან რეგლამენტირებული მანძილი უახლოეს შენობა-ნაგებობამდე, რომელიც არ განეკუთვნება თხევადი გაზის სადგურს, შემუშავებულია დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთი ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ტექნიკურ რეგლამენტზე დაყრდნობით, სადაც 4-60 ტ-მდე ჭურჭლის განთავსება სადგურს გარეთ მდებარე მშენებარე შენობებამდე დასაშვებია 15 მ-ის მანძილზე. პროექტზე აღნიშნული დაშორება შეადგენს 20 მ-ს. რაც შეეხება თხევადი გაზის ჩამომსხმელ სკეტს (დისპენსირი), მათი დაშორების მანძილი უნდა შეადგენდეს სულ მცირე 9 მ-ს, რაც ასევე დაცულია. სპეციალისტების მიერ დაფიქსირდა შემდეგი სახის ორი შენიშვნა: 1. პროექტზე არ არის დატანილი თხევადი გაზის წნევის ამწევი მოწყობილობა (კომპრესორი ან ტუმბი); 2. არ არის დატანილი ხანძარსანიალმდევი ჰიდრანტები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და ასევე სხვა ქვეყნებში წარმოებული, რეგულირებული სფეროსათვის მიუთვნებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსების შესახებ“ საქართველოს

მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №50 დადგენილების საფუძველზე საქართველოში სამოქმედი დაშვებული დადგენილების დანართით განსაზღვრული ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტები, რომელთა შორის არის დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთი ირლანდის გაერთიანებული სამეფო.

„ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №60 დადგენილების მე-6 მუხლის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის დაპროექტების დროს მინიმალური მანძილები მიწისქვეშა და მინისზედა რეზერვუარების მქონე ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე განთავსებულ შენობებსა და ნაგებობებს შორის, ხოლო მინიმალური მანძილები ავტოგასამართი სადგურიდან მიმომდებარებამდე, რომლებიც არ მიეკუთვნება ავტოგასამართ სადგურს განისაზღვრება მოქმედი სტანდარტის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დაინტერესებული პირი უფლებამოსილი იყო ესარგებლა ზემოაღნიშნული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის ნორმატიული აქტით და წარედგინა მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციული ორგანიზაციის №50 დადგენილებით განსაზღვრული ქვეყნის რეგლამენტის დაცვით შედგენილი მშენებლობის პროექტი, თუმცა ეს არ გამორიცხავდა ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ვალდებულებას, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიეღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

საქმეში წარმოდგენილია ...ის სახანძრო და სამაშველო სამსახურის სახანძრო უსაფრთხოების რეგლამენტი (საინფორმაციო ფურცელი – FS – INFO06) (ბენზინგასამართი სადგურები, ავტოგაზი, ავტომობილების საწვავით შევსების მოწყობილობები), რომლითაც იხელმძღვანელა კომპანიამ თხევადი გაზის სატუმბი სადგურის პროექტის მომზადებისას. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, საინფორმაციო ფურცლის მიზანია ცნოს (აღიაროს) სტანდარტები, რომლებიც ეხება ავტოგაზის მოწყობილობებით აღჭურვილ ბენზინგასამართ სადგურებს. საინფორმაციო ფურცლის 1-ლი ცხრილით დადგენილია დაშორებები შენობებიდან, საზღვრებიდან და ცეცხლის წყაროებიდან, ხოლო მე-2 ცხრილში აღნიშნულია ბენზინგასამართი სადგურები – მინიმალური დამორების მანილები. დგინდება, რომ 4-60 ტ-მდე ტევადობის ცისტერნის მინიმალური დაშორების მანძილი შენობებიდან, საზღვრებიდან, ლობეებიდან

ან აალების ფიქსირებული წყაროებიდან შეადგენს 15 მ-ს, ხოლო 6.4 პუნქტის თანახმად, დისპენსერები უნდა იყვნენ მოშორებული საცხოვრებელი შენობებიდან სულ მცირე 9 მეტრით ან 6 მეტრით ნებისმიერი სხვა სახის დაკავებული შენობებიდან, როცა ამ შენობების ღიობები სათანადოდაა დაცული.

მიუხედავად იმისა, რომ შპს „გ...ის“ (A ტიპის ინსპექტორების ორგანო) საექსპერტო დასკვნის თანახმად, დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ტექნიკური რეგლამენტის (...ის სახანძრო და სამაშველო სამსახური) მოთხოვნების შესაბამისად შესრულებული თხევადი გაზის სატუმბი სადგურის პროექტი შეფასებულია დადებითად, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ რეგლამენტის გადასინჯვის თარიღია 2009 წლის იანვარი, ხოლო შემდეგი გადასინჯვის თარიღია 2010 წლის იანვარი. ანუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია ნებართვის გაცემის დროისათვის, კერძოდ, 2017 წლის 16 მაისის მდგომარეობით იყო თუ არა ეს რეგლამენტი მოქმედი და ხომ არ იყო გადასინჯვის შედეგად მასში ისეთი სახის ცვლილებები განხორციელებული, რაც თხევადი გაზის სატუმბი სადგურის პროექტს შეუსაბამოს გახდიდა მოთხოვნებთან. ასევე, არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, თუ რამდენად შეესაბამება თხევადი გაზის სატუმბი სადგურის პროექტი დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს სრულად. აღნიშნული საკითხის კვლევა მნიშვნელოვანია, რამდენადაც შეუძლებელია განხორციელდეს მშენებლობის ნებართვის გაცემა ისეთ პირობებში, როდესაც პროექტი რეგლამენტან შესაბამისობაშია მხოლოდ ნაწილობრივ, მაგალითად, მინიმალური დაშორების მანძილის დაცვა აზრს კარგავს, თუ პროექტი შესაბამისობაში არ იქნება რეგლამენტის სხვა მოთხოვნებთან. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, შპს „გ...ის“ დასკვნაში მითითებულია, რომ ექსპერტიზა გაიარა პროექტის ტექნოლოგიურმა ნაწილმა, თუმცა დასაბუთება იმდენად მნირია, რომ შეუძლებელია დასკვნის ერთმნიშვნელოვნად გაზიარება. ამ შხრივ საყურადღებოა, რომ დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ტექნიკურ რეგლამენტზე მითითებას არ იძლევა არც სსიპ ლეგან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს 2017 წლის 7 აგვისტოს დასკვნა და მასში აღნიშულია, რომ ექსპერტმა გამოიყენა შემდეგი ლიტერატურა (სტანდარტები, რეგლამენტები) – ა) პრ 01.01.-09 – სეისმომედეგი მშენებლობა; ბ) **СНиП 2.03.01-84** – რკინაბეტონის კონსტრუქციები; გ) **СНиП II-7-81*** – მშენებლობა სეისმურ რაიონებში.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს მნიშვნელოვნად მიაჩნია იმ-

სჯელოს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა მითითებაზე იმის შესახებ, რომ „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კონსლექსების უსაფრთხოების შესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის №1-1/2935 ბრძანებას არ ჰქონდა იურიდიული ძალა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის გათვალისწინებით (იურიდიული ძალა არა აქვს ძალადაკარგულად გამოცხადებული საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი გამოცხადებული ძალადაკარგულად), ვინაიდან, ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც 2008 წლის 08 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის №1-1/2935 ბრძანება, ძალადაკარგულია „საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით (2010 წლის 04 აგვისტო).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ზემოდასახელებული ბრძანება მიღებულია 2008 წლის 8 დეკემბერს „საშიში საწარმოო ობიექტების უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტზე დაყრდნობით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკანონმდებლო აქტი ძალადაკარგულია 2010 წლის 4 აგვისტოს №2911 საქართველოს კანონით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის №1-1/2935 ბრძანებას ძალა არ დაუკარგავს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 მარტის №1-1/362 ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შედეგად №1-1/2935 ბრძანების პრეამბულა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით – „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 სექტემბრის №77 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ: გათვალისწინებით იმისა, რომ 2012 წლის 5 აგვისტოს №6157 კანონით ძალადაკარგულად გამოცხადდა „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი, №1-1/2935 ბრძანებაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 14 სექტემბრის №1-1/1817 ბრძანებით კვლავ განხორციელდა ცვლილება და პრეამბულა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 103-ე მუხლის მე-15 ნაწილის შესაბამისად, „საქართველოს ეკონომიკისა და

მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 სექტემბრის №77 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვძრძანება: „საბოლოოდ, №1-1/2935 ბრძანება ძალადაკარგულად გამოცხადდა ეკონომიკური განვითარების მინისტრის 10/17/2019 №1-1/501 ბრძანებით. შესაბამისად, 2017 წლის 16 მაისის მდგომარეობით, ანუ როდესაც ხონის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გამოსცა №39 351 ბრძანება ქ. ხონში, ...ას ქ. №...ში შპს „I...-ის“ თხევადი გაზის სატუმბი სადგურის მშენებლობის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ, „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის №1-1/2935 ბრძანება მოქმედებდა და დაუსაბუთებელია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა მითითება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია, პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ სადაც ბრძანების გამოცემამდე ადმინისტრაციულ ორგანოში ექსპერტიზის დასკვნა წარდგენილი არ ყოფილა, თუმცა სასამართლოს მნიშვნელოვნად მიაჩნია სადაც აქტის კანონშესაბამისობის კვლევის მიზნით ყურადღება გაამახვილოს იმ საექსპერტო დასკვნებზე, რომლებიც შედგენილია გასაჩივრებული ბრძანების გამოცემის შემდეგ და იძლევა საშუალებას შეფასდეს რამდენად სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოება ჩაატარა ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2017 წლის 16 მაისის ბრძანების გამოცემის დროს.

დადგენილია, რომ შპს „გ...ის“ (A ტიპის ინსპექტირების ორგანო) საექსპერტო დასკვნაში დაფიქსირდა შემდეგი სახის ორი შენიშვნა: 1. პროექტზე არ არის დატანილი თხევადი გაზის წნევის ამწევი მოწყობილობა (კომპრესორი ან ტუმბი); 2. არ არის დატანილი ხანძარსაწინააღმდეგო ჰიდრანტი.

სადაც პერიოდში მოქმედი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 23-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად: (2) სამშენებლო საქმიანობაში საექსპერტო შეფასების მიზანია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების და შენობა-ნაგებობების მშენებლობის განხორციელების ეტაპების შეფასება საქართველოს ტერიტორიაზე უსაფრთხო და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს უზრუნველ-

ყოფისათვის; (3) სამშენებლო საქმიანობაში საექსპერტო შეფასება წარმოადგენს კანონმდებლობასთან, მათ შორის, ამ დადგენილებასთან და სამშენებლო რეგლამენტებთან შესაბამისობის დადასტურებას. ამავე დადგენილების 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამშენებლო საქმიანობის ექსპერტი ვალდებულია, მის მიერ განხორციელებული საექსპერტო შეფასება ატარებდეს ერთმნიშვნელოვნად დადებით ან უარყოფით ხასიათს.

განსახილველ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, შპს „გ...ის“ (A ტიპის ინსპექტორების ორგანო) საექსპერტო დასკვნაში დაფიქსირდა ორი სახის შენიშვნა, ანუ დასკვნა ერთმნიშვნელოვნად დადებით ხასიათს არ ატარებს. მართალია, აღნიშნული დასკვნა გასაჩივრებული ბრძანების გამოცემის დროს ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი არ იყო, თუმცა ფაქტია, რომ ამ დასკვნამ გამოავლინა ხარვეზები თხევადი გაზის სატუმბი სადგურის პროექტში, ეს კი ცალსახად მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სადაცვო ბრძანების გამოცემის დროისათვის არასწორი შეფასება მისცა პროექტს და გასცა მშენებლობის ნებართვა.

შპს „I...-ის“ მიერ წარდგენილი თხევადი გაზის სატუმბი სადგურის პროექტი, რომ საჭიროებდა დამატებით გამოკვლევას, დადასტურდა თავად ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 13 ივნისის №39 441 მშენებლობის ნებართვის შეჩერებისა და ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ ბრძანებით, რომლითაც შეჩერებულ იქნა ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 მაისის ბრძანება №39 351 შპს „I...-ისათვის“ მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ და დაინიშნა საინჟინრო ექსპერტიზა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან დასკვნის მისაღებად.

მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შპს „...ს“ მიერ მომზადებული ქ. ხონში, ...ა ქ. №...-ში თხევადი გაზის სატუმბი სადგურის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია ხარვეზებით და მოითხოვს კორექტიორებას, კვლევაში მოცემული შენიშვნების მიხედვით. ამავე დასკვნის გამოკვლევითი ნაწილიდან დგინდება, რომ ექსპერტს პროექტის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები: განმარტებით ბარათში არ არის მოცემული სამშენებლო მოედნის კლიმატური პირობები, ტერიტორიის სეისმურობა, ასევე არ არის წარმოდგენილი გეოლოგიური კვლევის შედეგები და განმარტება – რა გრუნტზე ხდება საპროექტო შენობების დაფუძნება; კონსტრუქციულ ნაწილში მოცემული უნდა იყოს 0.00 ნიშნულის შესაბამისი აბსოლუტური ნიშნული; ფურცელი 10, ელემენტი

1 უნდა დაარმირდეს მიღებული წესით და პნ ... მოთხოვნების გათვალისწინებით; ფურცელი 11, ფილის კონფიგურაციიდან გამომდინარე აუცილებელია ჭრილის გარდა მოცემული იყოს ფილის არმირების გეგმა, ზედა და ქვედა არმატურის ბადეების ჩვენებით, დასამატებელია სამონტაჟური არმატურაც; ფურცელი 12 სვეტებში მიღებული საკიდების ბიჯი ზედა და ქვედა საყრდენებზე შესამცირებელია; საძირკვლის ფილებში (ელემენტი 4 და 5) დასამატებელია გვერდითი დასაანკერებელი ვერტიკალური ჩანგლები არმატურის პირგადადების წესების დაცვით; სველი წერტილის შენობა: შენობის კუთხეებში დასამატებელია რკინაბეტონის გულარები, მზიდი კედლების გადაკვეთებში კედლების წყობა გასაძლიერებელია ბადეებით, ზღუდარები დასამატებელია, საძირკვლების ჩალრმავება უნდა დაზუსტდეს გეოლოგიური მონაცემების საფუძველზე. რეზერვუარის ნახაზი ესკიზურად არის წარმოდგენილი და არ განიხილება.

საქმეში წარმოდგენილია ხონის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 21 დეკემბრის №39 1398 ბრძანება, რომლითაც ირკევა, რომ ვინაიდან გამოსწორდა ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული ყველა ხარვეზი, განახლდა ქ. ხონში, ...ას ქ. №...ში თხევადი გაზის სატუმბი სადგურის მშენებლობა. მართალია, აღნიშნული ბრძანების თანახმად, მშენებლობა გაგრძელდა ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრის შემდეგ, თუმცა საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ კვლავ გამოუკვლეველი დარჩა, რამდენად იყო ძალაში დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეცნიერო ტექნიკური რეგლამენტით (...ის სახანძრო და სამაშველო სამსახური) გათვალისწინებული სტანდარტები, კერძოდ, მისი ის რედაქცია, რომელსაც ეყრდნობა შპს „გ...ის“ (A ტიპის ინსპექტორების ორგანო) საექსპერტო დასკვნა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საქმეში წარმოდგენილი ...ის სახანძრო და სამაშველო სამსახურის საინფორმაციო ფურცლის (ბენზინგასამართი სადგურები, ავტოგაზი, ავტომობილების საწვავით შეესების მოწყობილობები) გადასინჯვის თარიღად მითითებულია 2009 წლის იანვარი, შემდეგი გადასინჯვის თარიღია 2010 წლის იანვარი. ყოველივე აღნიშნული კი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ქმნის სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის, გადაწყვეტილებაში მითითებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძვლებს.

ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინ-

ციპის გათვალისწინებით (სასკ-ის მე-4, მე-19 მუხ.), მართალია, სა-სამართლოს აქვს შესაძლებლობა ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით შეაგროვოს დამატებითი მტკიცებულებები, თუმცა აღნიშნული უზრუნველყოფს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაშვებული ხარვეზების აღმოხვრას და არა ორგანოში განსახორციელებელი წარმოების ჩანაცვლებას. განსახილველ შემთხვევაში, გამოკვლევას საჭიროებს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რიგი გარემოებები. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია საკითხი შეისწავლოს სზაკ-ით დადგენილი წესით, სრულად გამოიკვლიოს საქმესთან დაკავშირებული გარემოებები და მიიღოს სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის განმარტებას, რომ ვინაიდან გასაჩივრებული ბრძანება არის აღმჯურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ამ აქტის საფუძველზე მესამე პირმა შპს „I...-მა“ განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის ქმედებები (ობიექტის მშენებელობა), ამასთან, ვინაიდან სადაც აქტით არსებითად არ დარღვეულა და რეალური ზიანი არ მიღვიმია მოსარჩელის კანონიერ უფლებასა და ინტერესს, აღნიშნული წარმოადგენს გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობის დამაბრკოლებელ გარემოებას, კერძოდ, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული აქტი წარმოადგენს აღმჯურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის ბათილად ცნობისათვის მნიშვნელოვანია არსებობდეს კანონმდებლობით მკაცრად დადგენილი წინაპირობები, რადგან რიგ შემთხვევებში ამგვარი აქტის კანონსაწინააღმდეგო ხასიათიც კი ვერ გახდება მისი ბათილად ცნობის საფუძველი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჯურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირთა კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი. კანონიერი ნდობა არ არსებობს, თუ მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის

უკანონო ქმედება.

სადაც საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანია გაირკვეს, გასაჩივრებული აქტი ექცევა თუ არა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადებით განსაზღვრულ კატეგორიაში, რადგან გატარებული მმართველობითი ღონისძიების სტაბილურობის და პირის კანონიერი ნდობის დაცვის უზრუნველსაყოფად კანონმდებელი განსაკუთრებული სამართლებრივი დაცვის ობიექტად აცხადებს თვით კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და ადგენს მისი გაბათილების დაუშვებლობის სტანდარტს, პირის კანონიერი ნდობის არსებობის პირობებში. ამავე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრულია, როგორ უნდა შემონმდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის არსებობა, კერძოდ, თუ მხარემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი. ამდენად, შეფასების საგანს წარმოადგენს აღმინისტრაციული სამართლის ასევე უმნიშვნელოვანესი კანონიერებისა და კანონიერი ნდობის პრინციპებს შორის კონფლიქტი. ამ პირობებში თანაზომიერების პრინციპის მეშვეობით უნდა დადგინდეს, თუ რომელი პრინციპის დაცვა არის კონკრეტულ შემთხვევაში პრიორიტეტული, რომელი პრინციპია აღმატებული ხარისხის და რომლის უზრუნველყოფა არის დაცვის ღირსი. სასამართლო მიუთითებს, რომ კანონიერების პრინციპი პრიორიტეტულია კანონიერი ნდობის პრინციპთან მიმართებით, თუ აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. ამგვარი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში გადის აღმჭურველი აქტი განსაკუთრებული სამართლებრივი დაცვის ქეშ მყოფი უკანონო აქტების ფარგლებიდან, რამდენადაც ადგილი აქტს საჯარო ინტერესების არსებითად დარღვევას. ამასთან, არსებითი ხასიათის დარღვევა მაშინაა სახეზე, თუ სხვა პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა შეუძლებელია მოცემული აღმინისტრაციული აქტის გაუქმების გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სადაც აქტის კანონიერების შემონმებისას მნიშვნელობა აქვს იმას თუ რა სახის ზიანი ადგება მოსარჩევეს. მიყენებული ზიანის მოცულობა უნდა შედარდეს წინამდებარე დავაში მესამე პირის სახით მონაწილე შპს „I...-ისათვის“ მიყენებული ზიანის მოცულობასთან.

პირველ რიგში, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ხონის მუნიციპალიტეტის გამ-

გებლის 2017 წლის 16 მაისის №39 351 ბრძანებით შპს „I...-ს“ აეკ-რძალა მშენებლობასთან დაკავშირებული რაიმე მოქმედების განხორციელება საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე, თუმცა სამშენებლო სამუშაოების ჩატარება მაინც გაგრძელდა, რასაც მოჰყვა ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 ოქტომბრის აქტი დაჯარიმების თაობაზე, რომლის თანახმად, მშენებლობა გრძელდებოდა თვითნებურად სანებართვო პირობების დარღვევით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მითითება, რომ ვინაიდან შპს „I...-მა“ განახორციელა სამშენებლო სამუშაოები, ამ საფუძვლით მას შეიძლება კანონიერი ნდობა ჰქონდეს გასაჩივრებული აქტის მიმართ. რაც შეეხება, თუ რა სახის ზიანი ადგება მოსარჩელეს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მშენებლობის ნებართვის გაცემა და სანებართვო პირობების დადგენის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი არის სიცოცხლისა და ჯამრთელობის უსაფრთხოება, მოცემულ შემთხვევაში კი მოსარჩელე სწორედ იმ გარემოებაზე მითითებით დაეობს სასამართლოში, რომ თხევადი გაზის სატუმბი სადგური შენდება მისი სახლის მომიჯნავედ და დაცული არ არის კანონმდებლობით გათვალისწინებული მანძილი ავტოგასამართ სადგურსა და მის საცხოვრებელ სახლს შორის, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონიერების პრინციპს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტული მნიშვნელობა, რადგან ნინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა მოსარჩელის კანონიერი უფლება იცხოვროს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აღმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია: а) გამოითხოვოს დოკუმენტები; ბ) შეაგროვოს ცნობები; გ) მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს; დ) დაათვალიეროს მოვლენის ან შემთხვევის ადგილი; ე) დანიშნოს ექსპერტიზა; ვ) გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები; ზ) მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს უმნიშვნელოვანეს პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიღლოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. სზაკ-ის აღნიშნული დანაწესი ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს, რამდენადაც ყო-

ველი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს განსახილველი საკითხის გარემოებებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს საკითხის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებული დასკვნა. საკასაციო პალატის მითითებით, იმისათვის, რომ შესრულდეს კანონის მოთხოვნა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს კანონშესაბამისი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მნიშვნელოვანი და სავალდებულო წინაპირობაა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, გაანალიზება, შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება ამ გარემოებათა შეფასების შედეგად, რათა თავიდან იქნეს აცილებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაუსაბუთებელი დასკვნის გაკეთება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული საკითხი მის დისკრეციის განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ

ადმინისტრაციულ ორგანოს სრულყოფილად არ შეუსრულებია სა-ქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გა-მოკვლევისა და ამ გარემოებათა შეფასების, ურთიერთშეჯერების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება. მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევა სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დროს ძალაში იყო თუ არა დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ტექნიკური რეგლამენტი (...ის სახანძრო და სამაშველო სამსახური), მისი ის რედაქცია, რომელ-საც ეყრდნობა შპს „გ...ის“ (A ტიპის ინსპექტორების ორგანო) საექსპერტო დასკვნა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საქმეში წარმოდგენილი ...ის სახანძრო და სამაშველო სამსახურის საინფორმაციო ფურცლის (ბერზინგასამართი სადგურები, ავტოგაზი, ავტო-მობილების საწვავით შექსების მოწყობილობები) გადასინჯვის თარიღად მითითებულია 2009 წლის იანვარი, შემდეგი გადასინჯვის თარიღია 2010 წლის იანვარი. ახალი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოპასუხებ უნდა გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, მათ შორის, ძალაში მყოფი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები, მესამე პირის მიერ წარდგენილი პროექტის შესაბამისობა აღნიშნული რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. აღნიშნული გარემოება, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 წანილის შესაბამისად, ქმნის სადაც საკითხის გადაუწყვეტლად, სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის, გადაწყვეტილებაში მითითებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძვლებს.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო სა-სამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 წანილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10

მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. ამდენად, სადაც საკითხის სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გადაწყვეტის პირობებში, ხონის მუნიციპალიტეტის მერიას მ. უ-ეის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მ. უ-ეის მიერ საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 550 (100+150+300) ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით და 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ც ყ ვ ი ს ტ ა:

1. მ. უ-ეის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 23 ივნისის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. უ-ეის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 მაისის №39 351 ბრძანება და ხონის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალოს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;
5. მ. უ-ეის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
6. მოპასუხეს – ხონის მუნიციპალიტეტის მერიას დაეკისროს მ. უ-ეის სასარგებლოდ მ. უ-ეის მიერ საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 550 (100+150+300) (ხუთას ორმოცდათი) ლარის ანაზღაურება;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მინის ნაკვეთზე სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

გადაცევის დადგენა საქართველოს სახელით

№ბს-393(კ-20)

6 ოქტომბერი, 2022 წ ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
გ. აბუსერიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა;

აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 12 აპრილს ლ. დ-იმა და დ. ყ-იმა სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-
ლეგიას, მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ
და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამ-
სახურის 2015 წლის 11 დეკემბრის №2318764 ბრძანებისა და 2016
წლის 29 ივლისის №2743522 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში,
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 21 თებერ-
ვლის №1-414 ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვეს.

მოსარჩელეთა მითითებით, საკუთრების უფლებით ფლობენ 396 კვ.მ მინის ნაკვეთს ქ. თბილისში, ...ის ქუჩა №3-ში, ს/კ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქი-
ტეტურის სამსახურის 2015 წლის 11 დეკემბრის №2318764 ბრძა-
ნებით დაკმაყოფილდა 6. ფ-ეის 2015 წლის 9 ნოემბრის №... განცხა-
დება. ამავე ბრძანებით ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მი-
ნის ნაკვეთს დაუდგინდა სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ქ.
თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალი-
ტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 29 ივლისის №2743522
ბრძანებით დაკმაყოფილდა რ. ტ-ეის 2016 წლის 30 ივნისის №... გან-
ცხადება. ამავე ბრძანებით ქ. თბილისში, ...ის ქ. №3-ში მდებარე ...
საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მინის ნაკვეთზე შეთანხმდა
დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (საც-
ხოვრებელი, კომერციული) არქიტექტურული პროექტი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 21 თებერ-
ვლის №1-414 ბრძანებით დაკმაყოფილდა ს. ზ-ისა და თ. ზ-ის ნარ-

მომადგენლის, გ. კ-ის 2016 წლის 13 ოქტომბრის №374412/15 და №374432/15 ადმინისტრაციული საჩივრები. ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 11 დეკემბრის №2318764 და 2016 წლის 29 ივლისის №2743522 ბრძანებები. ძალადაკარგულად გამოცხადდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 28 ოქტომბრის №1-1938 ბრძანება.

სადაც ბრძანებით თბილისის მუნიციპალიტეტის მერმა, მატერიალური და ფორმალური კანონიერების მოთხოვნათა დარღვევით, ბათილად ცნო აღმშურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომელთა მიმართ მოსარჩელებს გააჩნდათ კანონიერი ნდობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2017 წლის 18 აპრილის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში მე-სამე პირებად ჩაერთნენ სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური, ს. ზ-ი და თ. ზ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2017 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით ლ. დ-ისა და დ. ყ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2015 წლის 9 ნოემბერს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს ნ. ფ-ეის №... ელექტრონული განცხადება წარედგინა, ლ. დ-ის კუთხითილი, ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის მოთხოვნით. განცხადებას შპს „ა...-ის“ 2015 წლის 20 აპრილის ტოპოგრაფიული გეგმა ერთვოდა, რომლის მიხედვით, ... საკადასტრო ერთეულზე ამავე მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმაზე ასახული შენობა-ნაგებობები იყო აღნიშნული. სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 11 დეკემბრის №2318764 ბრძანებით ნ. ფ-ეის 2015 წლის 9 ნოემბრის №... განცხადება დაკმაყოფილდა და ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დაუდგინდა.

2016 წლის 30 ივნისს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს რ. ტ-ეის №... ელექტრონული განცხადება წარედგინა, რომლითაც ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (საცხოვრებელი, კომერციული) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება მოითხოვა. სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 29 ივლისის №2743522

ბრძანებით 2016 წლის 30 ივნისის №... განცხადება დაკმაყოფილდა და ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩა №3-ში მდებარე, საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი ...) დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (საცხოვრებელი კომერციული) არქიტექტურული პროექტი შეთანხმდა.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 11 დეკემბრის №2318764 და 2016 წლის 29 ივლისის №2743522 ბრძანებით ს. ზ-ის და თ. ზ-ის ნარმომადგენელმა, გ. კ-იმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში გაასაჩივრა ადმინისტრაციული საჩივრით. აღნიშნული საჩივრებით მიეთითა, რომ ს. ზ-ისა და თ. ზ-ის თანასაკუთრებაში არსებულ, ... საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე მდებარე ღობე და შენობა-ნაგებობების ნაწილები იქრებოდა საპროექტო ... საკადასტრო ერთეულზე, აღნიშნული ფაქტი კი არ იყო დაფიქსირებული 2015 წლის 9 ნოემბრის №... განცხადებაზე თანდართულ ტოპოგრაფიულ გეგმაზე. ამასთან, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამასახურის 2016 წლის 29 ივლისის №2743522 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით, საპროექტო ობიექტი უნდა განთავსებულიყო მიწის ნაკვეთის იმ ნაწილზე, სადაც მდებარეობდა საჩივრის ავტორების საცხოვრებელი სახლი. ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2015 წლის 25 ოქტომბრის №2259961 დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო შენობა-ნაგებობა უნდა ყოფილიყო 5-სართულიანი, ხოლო შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით, იგი შედგებოდა 7 სართულისაგან. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენისას, მხარის მიერ სრულყოფილი ტოპოგრაფიული გეგმის ნარდგენის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო მშენებლობის ნებართვის გაცემის მე-2 ეტაპზე მიიღებდა სხვაგვარ გადაწყვეტილებას. მითითებული გარემოებების დასადასტურებლად ქ. თბილისის მერიას შპს „ბ...ის“ გეორეფერენსირების შედეგების პროფესიული დასკვნა, აზომვითი ნახაზი და ფოტოსურათები წარედგინა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 21 თებერვლის №1-414 ბრძანებით ს. ზ-ის და თ. ზ-ის ნარმომადგენლის გ. კ-ის 2016 წლის 13 ოქტომბრის №374412/15 და №374432/15 ადმინისტრაციული საჩივრები დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 11 დეკემბრის №2318764 და 2016 წლის 29 ივლისის №2743522 ბრძანებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 28 ოქტომბრის

№ 1-1938 ბრძანება და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შემდეგ, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა დაეფალა. აღნიშნული ბრძანება დაეფუძნოს შემდეგ გარემოებებს: – „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვის პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად, გარდა 38-ე და 39-ე მუხლებით დადგენილი შემთხვევებისა, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. ამავე პუნქტის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიებია: I სტადია – ქალაქ-თმშენებლობითი პირობების დადგენა; II სტადია – არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება; III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა. სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 11 დეკემბრის №2318764 ბრძანების გამოცემა წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის პირველ სტადიას, რომლის ფარგლებში მიწის ნაკვეთს უდგინდება ქალაქ-თმშენებლობითი პირობები, კერძოდ, მოწმდება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების მიზანშენონილობა, წარდგენილი დოკუმენტებს კანონმდებლობასთან შესაბამისობა, ინფორმაცია მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ, გრუნტის ზოგადი მახასიათებლები და სხვა. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 42-ე მუხლის მიხედვით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის. ამავე დადგენილების 45-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ქალაქ-თმშენებლობის პირობების დამტკიცების შესახებ განცხადებას უნდა დაერთოს მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა არსებული მდგომარეობით. 2015 წლის 9 ნოემბრის №... განცხადებაზე დართული შპს „ა...-ის“ 2015 წლის 20 აპრილის ტოპოგრაფიული გეგმის მიხედვით, ... საკადასტრო ერთეულზე იყო მხოლოდ ამ მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმაზე ასახული შენობა-ნაგებობა. აღნიშნული გეგმის საწინააღმდეგოდ საჩივრის ავტორთა მიერ წარდგენილი შპს „ბ...-ის“ გეორეფერენსირების შედეგების პროფესიული დასკვნის მიხედვით, თ. ზ-ისა და ს. ზ-ისა საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე საცხოვრებელი სახლის 3.55 კვ.მ და ქვის კედლის (ლობის) ნაწილი განთავსებული

იყო ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრის მიღმა, დ. ყ-ისა და ლ. დ-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის საზღვრებში. 2016 წლის 29 ივლისის №2743522 ბრძანებებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით, საპროექტო შენობა-ნაგებობა უნდა განთავსებულიყო საპროექტო მიწის ნაკვეთის იმ მონაცემზეც, სადაც ს. და თ. ზ-იების საცხოვრებელი სახლი და ლობე მდებარეობს. ამდენად, არქიტექტურის სამსახურის მიერ სადავო აქტების გამოცემისას საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის შემთხვევაში, შესაძლოა სხვაგვარი გადაწყვეტილება ყოფილიყო მიღებული.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სადავო პერიოდში მოქმედ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 37-ე მუხლის პირველი პუნქტზე, რომლის მიხედვით, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად და აღნიშნა, რომ განაცხადი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ, ამ დადგენილების შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველი სტადიისათვის აუცილებელ, ნებართვის მაძიებლის მიერ მოთხოვნილ პირობას, განაცხადი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ მოიცავს: а) ინფორმაციას მიწის ნაკვეთის შესახებ; ბ) მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მიმართ ნებართვის მაძიებლის ძირითად მოთხოვნებს („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 43-ე მუხლი). მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ განაცხადი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მას უნდა დაერთოს: а) მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა არსებული მდგომარეობით (მასშტაბი 1:500 ან 1:1000); ბ) განმცხადებლის იდენტიფიკაციის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები; გ) წარმომადგენლის მიერ განცხადების შეტანის შემთხვევაში – სათანადო რჩმუნებულება; დ) მიწის ნაკვეთის სიტუაციური გეგმა სათანადო დეტალიზაციით (მდებარეობა საქალაქო ქუჩების მიხედვით და საჭიროების შემთხვევაში აეროფოტოგადაღება); ე) კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონის კვლევის შედეგები; ვ) კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში – არქეოლოგიური კვლევის შედეგები; ზ) თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსების დამადასტურებელი ფოტოსურათი; თ) მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების გეგმა

(იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობა დაგეგმილია საცხოვრებელ, საზოგადოებრივ-საქმიან ან საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში, მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების გეგმასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს მიწის ნაკვეთის სამეზობლო და საზოგადოებრივი საზღვრის მიმდებარე ნაკვეთების/სივრცეების საზღვრები (საკადასტრო საზღვრების რუა), სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვრების ის წერტილები, სადაც იქმნება კუთხები, აღნიშნული უნდა იქნეს წერტილით, მისი კოორდინატებისა და აბსოლუტური ნიშნულის მითითებით, ხოლო ამ დადგენილების 53-ე მუხლის 52-ე პუნქტში მითითებული ობიექტების შემთხვევაში, სამშენებლო მიზნებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების კოორდინატები; ი) მიწის ნაკვეთის მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 45-ე მუხლი).

პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მიხედვით, ნებართვის გამცემი არ გასცემს ნებართვას, თუ: ა) ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა გამოსწორებული ნებართვის მაძიებლის მიერ; ბ) ნებართვის მაძიებელი ვერ აკმაყოფილებს კანონით ან კანონის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილ სანებართვო პირობებს; გ) ნებართვის მაძიებელს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ჩამორთმეული აქვს შესაბამის სანებართვო სფეროში საქმიანობის უფლება.

საქალაქო სასამართლომ დასახელებული წორმებიდან და დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე მიიჩნია, რომ სადავო ბრძანების გამოცემისას მართლზომიერად იქნა დადგენილი, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 11 დეკემბრის №2318764 და 2016 წლის 29 ივლისის №2743522 ბრძანებებით ... საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობების დადგენა და არქიტექტურული პროექტის შეთანხმება საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევისა და შეფასების გარეშე განხორციელდა, რამეთუ არ იქნა გათვალისწინებული საპროექტო მიწის ნაკვეთზე არსებული მდგომარეობა – შენობა-ნაგებობისა და ღობის ნაწილი, რომელიც მომიჯნავე საკადასტრო ერთეულს ეკუთვნოდა და იქრებოდა საპროექტო მიწის ნაკვეთის საზღვრებში. საქალაქო სასა

მართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 21 თებერვლის №1- 414 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციის წესით გასასაჩივრეს ლ. დ-იმა და დ. ყ-იმა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 7 აგვისტოს განჩინებით ლ. დ-ის და დ. ყ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას არ დარღვეულა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოყენებინა, სწორი შეფასება მისცა საქმის მასალებს, საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები დადგენილია სრულყოფილად, რაც არ იძლეოდა გადაწყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს.

სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ სადავო ბრძანების გამოცემისას ადგილი არ ჰქონია კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ სწორად დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11.12.2015წ. №2318764 და 29.07.2016წ. №2743522 ბრძანებებით ... საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობების დადგენა, ასევე არქიტექტურული პროექტის შეთანხმება განხორციელდა საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ვინაიდან არ იქნა გათვალისწინებული საპროექტო მინის ნაკვეთზე არსებული მდგომარეობა – შენობა-ნაგებობისა და ღობის ნაწილი, რომელიც მომიჯნავე საკადასტრო ერთეულს ეკუთვნიდა და იჭრებოდა საპროექტო მიწის ნაკვეთის საზღვრებში.

სააპელაციო სასამართლომ, აპელანტის მიერ წარდგენილ, კანონიერ ძალაში შესულ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 30.05.2017წ. გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომლითაც ს. ზ-ისა და თ. ზ-ის სარჩელი, მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ (მესამე პირები: დ. ყ-ი, ლ. დ-ი), „რეგისტრაციის შესახებ“ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 10.06.2014წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა, აღნიშნა, რომ საკასაციო პალატამ მართებულად

მიიჩნია სააპელაციო პალატის დასკვნა სადავო რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძვლების არარსებობის თაობაზე, რადგან კასატონობის მიერ მხოლოდ ახალი აზომვითი ნახაზის წარდგენა საჯარო რეესტრში, მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე უფლების დამდგენი დოკუმენტის არსებობის გარეშე, ვერ გახდებოდა რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძველი.

სააპელაციო პალატამ ასევე შეაფასა აპელანტის მიერ წარდგენილი საექსპერტო კვლევითი ჯგუფის – შპს „ე...ის“ მიერ 10.06.2019 წელს შედგენილი საექსპერტო დასკვნა, რომლითაც დასაშვებადა მიჩნეული თბილისში, ...ის ქ. №3-ში მდგრადი მიწის ნაკვეთზე (ს/კ ...) არსებული $\frac{1}{2}$ და 2/2 შენობის დემონტაჟი. აპელანტი დამატებით დაეყრდნო „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 11² მუხლის, რომლის შესაბამისად, საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირი ვალდებულია საჯარო რეესტრში უფლების/ვალდებულების რეგისტრაციისათვის წარსადგენი საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი შეადგინოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულებისა და დოკუმენტირების წესის შესაბამისად. ამასთანავე, აპელანტმა მიუთითა საქართველოს მთავრობის 08.08.2016წ. №388 დადგენილებით დამტკიცებულ „მზნის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულებისა და დოკუმენტირების წესზე“ (დანართი №1), რომლის 2.1 მუხლის თანახმად, საკადასტრო აღწერის შედეგი (საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი) შედგენილ უნდა იქნეს სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემაში, ხოლო 2.3 მუხლის შესაბამისად, აგეგმვის/აზომვის ზედდება დასაშვებია რეგისტრირებულ მონაცემებთან 0.3 მ-ით. აპელანტის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, საპროექტო ობიექტი, მეზობლად მდებარე უძრავი ქონების მხოლოდ 20 სმ-ს მოიცავდა და შესაბამისობაში იყო ზედდებისათვის კანონით დასაშვებ ცდომილებასთან.

აპელანტის პოზიციასთან დაკვშირებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონი განსაზღვრავს საჯარო რეესტრის წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლება-მოვალეობებს. სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის პოზიცია არ იყო შესაბამისობაში განსახილველი დავის შინაარსთან. სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 21.02.2017წ. №1-414 ბრძანებით სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11.12.2015წ. და 29.07.2016წ. ბრძანებების ბათილად გამოცხადების მიზეზი გახ-

და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. №57 დადგენილების მოთხოვნის შეუსრულებლობა – ქალაქ **თბილისი** დადგენილების დამტკიცების შესახებ განცხადებაზე არასწორი მონაცემების შემცველი მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმის წარდგენა და არა „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის უსწორობა. შესაბამისად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის საფუძველზე გამოცემული, საქართველოს მთავრობის 08.08.2016წ. №388 დადგენილებით დამტკიცებული „მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულებისა და დოკუმენტირების წესის“ ნორმა, რომელიც აგეგმვის/აზომვის შედეგად, რეგისტრირებულ მონაცემებთან ზედდების დასაშვებობას შეეხება, ვერ გავრცელდება მოცემულ შემთხვევაზე, რომელიც მდგომარეობს საჯარო რეესტრში დაზუსტებული მონაცემებით რეგისტრირებული სამეზობლო ფართების არსებობის პირობებში, ერთ-ერთი ფართის მესაკუთრის მიერ, რეგისტრირებულ ფართზე მშენებლობის განხორციელების მიზნით წარდგენილი დოკუმენტის (ტოპოგრაფიული გეგმის) შეუსაბამობაში მშენებლობის ნებართვის გაცემის წესთან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 7 აგვისტოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. დ-იმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, 2015 წლის 9 ნოემბრის **R13555502** განცხადებაზე დართული შპს „ა...-ის“ 2015 წლის 20 აპრილის ტოპოგრაფიული გეგმის მიხედვით ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე იყო მხოლოდ ამ მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმაზე არსებული შენობა-ნაგებობა. საჩივრის ავტორთა მიერ წარდგენილი შპს „პ...ის“ გეორეფერენსირების შედეგების პროცესიული დასკვნის მიხედვით, თ. ზ-ისა და ს. ზ-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული საცხოვრებელი სახლის 3.55 კვ.მ და ქვის კედლის (ლობის) ნანილი განთავსებული იყო ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრის მიღმა, დ. ყ-ისა და ლ. დ-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. 2016 წლის 29 ივლისის №2743522 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით, შენობა-ნაგებობა უნდა განთავსებულიყო საპროექტო მიწის ნაკვეთის იმ მონაკვეთზეც, სადაც ს. და თ. ზ-ის საცხოვრებელი სახლი და ღობე მდებარეობდა.

კასატორმა მიუთითა კანონიერ ძალაში შესულ თბილისის საქა-

ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 მაისის (საქმე №3/6959-16) გადაწყვეტილებაზე, რომლითაც არ დაემაყოფილდა ს. ზ-ისა და თ. ზ-ის ადმინისტრაციული სარჩელი. აღნიშნული სარჩელით მოსარჩელეები ითხოვდნენ ლ. დ-ის და დ. ყ-ის საკუთრებად უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათოლად ცნობას, იმ ძირითადი მოტივით, რომ თ. ზ-ისა და ს. ზ-ის თანასაკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე მდებარე საცხოვრებელი სახლის 3.55 კვ.მ და ქვის კედლის (ლობე) ნაწილი განთავსებული იყო ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მინის ნაკვეთის საზღვრების მიღმა, დ. ყ-ისა და ლ. დ-ის საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის საზღვრებმი. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, სადაც ფართი არ წარმოადგენდა თ. და ს. ზ-იების საკუთრებას. სასამართლომ არც ის გარემოება გაითვალისწინა, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 აგვისტოს №388 დადგენილებით დამტკიცებული „მინის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულებისა და დოკუმენტირების წესის“ მე-2 მუხლის მოთხოვნით ზედდების დასაშვებობამ რეგისტრირებულ მონაცემებთან არ უნდა გადააჭარბოს 0.3 მ-ს, ხოლო მათი საპროექტო ობიექტი მეზობლად მდგრად უძრავი ქონების მხოლოდ 20 სმ-ს მოიცავდა, რაც შესაბამისობაში იყო ზედდებისათვის დასაშვებ ცდომილებასთან, აღნიშნული ფაქტი კი წარმოადგენდა ძირითად საფუძველს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 11 დეკემბრის №2318764 და 2016 წლის 29 ივლისის №2743522 ბრძანებების ბათილად ცნობისათვის.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა შპს „ე...ის“ საექსპერტო დასკვნა, რომლითაც დასაშვებად იქნა მიჩნეული თბილისში, ...ის ქუჩა №3-ში მდებარე მინის ნაკვეთზე ს/კ ..., პროექტით გათვალისწინებული ნუმერაციით ½ და 2/2 შენობის დემონტაჟი, რამეთუ სადემონტაჟო შენობას არ გააჩნდა კონსტრუქციული კავშირი ძირითად შენობასთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 წანილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ლ. დ-ის საკასაციო საჩივარი. ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 23 მაისის განჩინებით ლ. დ-ის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვა დადგინდა მხარეთა დასწრებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 2 ივნისის განჩინებით ლ. დ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად. მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდგომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მხარეებს აცნობა, რომ საკასაციო საჩივარის განხილვა გადაიდო კვლავ ზეპირი განხილვის გარეშე 2022 წლის 6 ოქტომბერს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივარის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. დ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 7 აგვისტოს განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. დ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეყუნქტში მითითებული ფაქტები, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა საპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასაცორმა საპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ნარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

განსახილველი დავის ფარგლებში მოსარჩელე სადაცოდ ხდის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 21 თებერვლის №1-414 ბრძანების კანონიერებას და მოთხოვს მის ბათილად ცნობას. სადაცო ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქი-

ტექტურის სამსახურის 2015 წლის 11 დეკემბრის №2318764 ბრძანება, რომლითაც ლ. დ-ის თანასაკუთრებაში არსებულ ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მინის ნაკვეთს დაუდგინდა სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ასევე პათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 29 ივლისის №2743522 ბრძანება, რომლითაც ამავე მინის ნაკვეთზე შეთანხმდა დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (საცხოვრებელი, კომერციული) არქიტექტურული პროექტი. დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სადაცო აქტის დასაბუთებას და სადაცო აქტის გამოცემის შემდგომ წარდგენილ მტკიცებულებებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო, უპირველესად, საჭიროდ მიჩნევს მიუთითოს და მხარეთა ყურადღება გაამახვილოს მოცემული საქმის შემდეგ გარემოებებზე:

ლ. დ-ი თანასაკუთრების უფლებით ფლობს ქ. თბილისში, ...ის ქუჩა №3-ში მდებარე 396 კვ.მ მინის ნაკვეთს ს/კ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 11 დეკემბრის №2318764 ბრძანებით ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მინის ნაკვეთს დაუდგინდა სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ხოლო იმავე ადმინისტრაციული ორგანოს 2016 წლის 29 ივლისის №2743522 ბრძანებით მინის ნაკვეთზე შეთანხმდა დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (საცხოვრებელი, კომერციული) არქიტექტურული პროექტი.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 11 დეკემბრის №2318764 და 2016 წლის 29 ივლისის №2743522 ბრძანებები ს. ზ-ის და თ. ზ-ის წარმომადგენელმა გ. კ-იმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში გაასაჩივრა ადმინისტრაციული საჩივრით. საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ს. ზ-ისა და თ. ზ-ის თანასაკუთრებაში არსებულ, ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მინის ნაკვეთზე მდებარე ლობე და შენობა-ნაგებობების ნაწილები იჭრებოდა ... საკადასტრო ერთეულზე, რაც არ იყო დაფიქსირებული 2015 წლის 9 ნოემბრის №... განცხადებაზე თანდართულ ტოპოგრაფიულ გეგმაზე. ამასთან, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 29 ივლისის №2743522 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით, საპროექტო ობიექტი უნდა განთავსებულიყო მინის ნაკვეთის იმ ნაწილზე, სადაც მდებარეობდა ს. ზ-ისა და თ. ზ-ის საცხოვრებელი სახლი.

საჩივარში ასევე მითითებულია იმ გარემოებაზე, რომ ქალაქ

თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2015 წლის 25 ოქტომბრის №2259961 დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო შენობა-ნაგებობა უნდა ყოფილიყო 5-სართულანი, ხოლო შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით, იგი შედგებოდა 7 სართულისაგან.

საჩივრის ავტორის მტკიცებით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენისას, მხარის მიერ სრულყოფილი ტოპოგრაფიული გეგმის წარდგენის შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო მშენებლობის ნებართვის გაცემის მე-2 ეტაპზე შიიღებდა სხვაგვარ გადაწყვეტილებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის №1-414 ბრძანებით ს. ზ-ის და თ. ზ-ის წარმომადგენლის, გ. კ-ის 2016 წლის 13 ოქტომბრის №374412/15 და №374432/15 ადმინისტრაციული საჩივრები დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სისპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 11 დეკემბრის №2318764 და 2016 წლის 29 ივნისის №2743522 ბრძანებები, ძალადაკარგულად გამოცხადდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 28 ოქტომბრის №1-1938 ბრძანება და სისპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შემდეგ, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა დაევალა.

სადაც ბრძანებით ადმინისტრაციულმა ორგანომ მიუთითა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 45-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და აღნიშნა, რომ ქალაქ მშენებლობის პირობების დამტკიცების შესახებ განცხადებას უნდა დაერთოს მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა არსებული მდგომარეობით. 2015 წლის 9 ნოემბრის №... განცხადებაზე დართული შპს „ა...-ის“ 2015 წლის 20 აპრილის ტოპოგრაფიული გეგმის მიხედვით, ... საკადასტრო ერთეულზე იყო მხოლოდ ამ მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმაზე ასახული შენობა-ნაგებობა. შპს „ბ...-ის“ გეორეფერენსირების შედეგების პროფესიული დასკვნის მიხედვით კი თ. ზ-ისა და ს. ზ-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული საცხოვრებელი სახლის 3.55 კვ.მ და ქვის კედლის (ლობის) ნაწილი განთავსებული იყო ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრის მიღმა, დ. ყისა და ლ. დ-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის საზღვრებში. 2016 წლის 29 ივნისის №2743522 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით, საპროექტო შენობა-ნაგე-

ბობა უნდა განთავსებულიყო საპროექტო მიწის ნაკვეთის იმ მონაკვეთზეც, სადაც ს. და თ. ზ-იების საცხოვრებელი სახლი და ლობე მდებარეობდა. ამდენად, არქიტექტურის სამსახურის მიერ სა-დავო აქტების გამოცემისას საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის შემთხვევაში, შესაძლოა, სხვაგვარი გადაწყვეტილება ყოფილიყო მიღებული.

ასევე ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ლ. დ-ი საკუთრების უფლების დასაცავად წლებია დავობს, 6 წელზე მეტი დროის გან-მავლობაში იგი, მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, ვერ სარგებ-ლობს საკუთრებით და ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან არ განხორციელებულა ლ. დ-ის ინტერესების დასაცავად რაიმე ქმე-დითი ღონისძიება. საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის მხარეთა დასწრებით განხილვის უმთავრეს მიზანს დავის მორიგების გზით დასრულება წარმოადგენდა, რაც ვერ იქნა მიღწეული. ამდენად, სახეზეა მოცემულობა, როდესაც ლ. დ-ი საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობას ვერ ახორციელებს ქალაქ თბილი-სის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 21 თებერვლის №1-414 ბრძანებით სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტუ-რის სამსახურის 2015 წლის 11 დეკემბრის №2318764 და 2016 წლის 29 ივლისის №2743522 ბრძანებების ბათილად ცნობის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენადაც სადავო საკითხი ეხება მოსარჩელის საკუთრების უფლებას, საკასაციო სასამარ-თლო საჭიროდ მიიჩნევს განმარტოს საქართველოს კონსტიტუცი-ით აღიარებული საკუთრების უფლების ნორმატიული შინაარსი.

საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რე-დაქციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის (ამჟამად მოქმედი რე-დაქციის მე-19 მუხლი) თანახმად, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუკალია. დაუშვებელია საკუთრე-ბის, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყო-ველთაო უფლების გაუქმება. საკონსტიტუციო სასამართლოს გან-მარტებით, „აღნიშნული კონსტიტუციური დებულებით აღიარებუ-ლია საკუთრების ინსტიტუტის, როგორც დემოკრატიული საზოგა-დოების ერთ-ერთ საფუძვლად არსებული ლირებულების კონსტი-ტუციური მნიშვნელობა, რომელიც ინდივიდის პიროვნული თავი-სუფლებისა და ინდივიდუალური თვითრეალიზების ერთ-ერთ უმ-ნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს. საკუთრების უფლე-ბა ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შე-საძლებლობების ადეგაბურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთა-რი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიე-რად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ

სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მენარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დაგით ჯიმშელებიშვილი, ტარიელ გვატაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით პრაქტიკულ სარგებლობა, არ არის საკმარისი მისთვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტის მინიჭება. მან ასევე უნდა ისარგებლოს იმგვარი სამოქალაქო, კერძოსამართლებრივი წესრიგით, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას და, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას. საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტია მოიცავს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებითი უფლების პრაქტიკულ რეალიზებას და შესაძლებელს გახდის საკუთრების შეძენის გზით ქონების დაგროვებას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით განმტკიცებული საკუთრების უფლება არ არის მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის. იგი წარმოადგენს მთელი რიგი ქონებრივი ურთიერთობებისა და სხვაგვარი სამართლებრივი შედეგების წარმოშობის უმთავრეს წინაპირობას. ამასთან, საკუთრების უფლების დაცულობის უზრუნველყოფის საჭიროება არ არის ფორმალური და სწორედ აღნიშნული წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედს, რამდენადაც საკუთრების უფლების დაცვით მიღწეულ უფლების ქმედით რეალიზებაზეა დამკიდებული საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებულ ადამიანის მთელ რიგ უფლებათა შემდგომი განხორციელება.

რაც შეეხება საკუთრების უფლების შინაარსს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საკუთრებას განმარტავს როგორც ქონების (ნივთის) მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება-მოსილებათა ერთიანობას (170-ე მუხლი). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, ეკრძოდ, სახელშეერულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ

ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ იღავება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. საკასაციო სასამართლოს მითითებით, ქონებით (ნივთით) სარგებლობა გულისხმობს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ ქონების (ნივთის) სამშენებლოდ განვითარებასაც. მიწის გამოყენების სხვა შესაძლებლობებთან ერთად, საკუთრების შინაარსს განსაზღვრავს მისი მშენებლობის მიზნით გამოყენების შესაძლებლობა.

სწორედ საკუთრების უფლების რეალიზაციის პირობებში, გაიცა, მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის მოპოვების მიზნით, 2015 წლის 11 დეკემბრის №2318764 ბრძანება, რომლითაც მიწის ნაკვეთს დაუდგინდა სამშენებლოდ გამოყენების პირობები და 2016 წლის 29 ივლისის №2743522 ბრძანება, რომლითაც შეთანხმდა დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (საცხოვრებელი, კომერციული) არქიტექტურული პროექტი (აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები), რამაც წარმოშვა ლ. დ-ის საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ მიწის ნაკვეთზე შეძლებდა მშენებლობის ნებართვის მიღებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ლ. დ-ის ქ. ობილისში, ...ის ქუჩა №3-ში მდებარე ... საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთი დარეგისტრირებული აქვს დაზუსტებული რეგისტრაციით. საკასაციო სასამართლო არ უარყოფს საქმეში მესამე პირებად ჩაბმული – მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა ინტერესებს, თუმცა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელის მიერ წარდგენილ იქნა, კანონიერ ძალაში შესული, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც ს. ზ-ისა და თ. ზ-ის სარჩელი, მოპასუხესის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ (მესამე პირები: დ. ყ-ი, ლ. დ-ი), საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 10 ივნისის №... რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ლ. დ-ის და დ. ყ-ის სახელზე რეგისტრირებული საკუთრების უფლება. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა რა აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე, მიუთითა, რომ ს. ზ-ისა და თ. ზ-ის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგან მათ მიერ საჯარო რეესტრში წარდგენილ იქნა მხოლოდ ახალი აზომვითი ნახაზი უფლების დამდგენი დოკუმენტის არსებობის გარეშე, რაც ვერ გახდებოდა რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძველი. ამდენად, უდავოა, რომ ლ. დ-ის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკადასტრო მონაცემები არის სწორი და მის თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე განთავსებულია ნაგებობა, რომლის მიმართ მას რაი-

მე ინტერესი არ გააჩნია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ს. ზ-ისა და თ. ზ-ის მხრიდან ქ. თბილისის მერიისადმი მიმართვის და საჩივრის წარდგენის კანონიერ ინტერესს, წარმოადგენდა სწორედ ის გარემოება, რომ მათ საკუთრებაში არსებულ მიწის წაკვეთზე განთავსებული საცხოვრებელი სახლის 3.55 კვ.მ და ქვის კედლის (ღობის) წაწილი განთავსებული იყო ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის წაკვეთის საზღვრის მიღმა, დ. ყ-ისა და ლ. დ-ის საკუთრებაში არსებულ მიწის წაკვეთის საზღვრებში. თუმცა, როგორც აღინიშნა, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით არ დადგინდა ლ. დ-ის თანასაკუთრებაში აღრიცხული უძრავი ქონების სარეგისტრაციო ჩანაწერის უსწორობა და შესაბამისად დადასტურდა საჩივრის ავტორთა განმარტების უსაფუძვლობა, რომ მათი კანონიერი ინტერესი ილახებოდა იმით, რომ ლ. დ-ის არამართებულად ჰქონდა დარეგისტრირებული საჩივრის ავტორთა კუთვნილი საცხოვრებელი სახლის 3.55 კვ.მ და ქვის ღობის წაწილი აღინიშნავია, რომ ზემოხსენებული დავის ფარგლებში, ს. ზ-ისა და თ. ზ-ის მიზანს წარმოადგენდა სასამართლოს მხრიდან, საკუთარი უფლების წამდვილობისა და რეგისტრირებული მონაცემების თანახმად, კასატორის სახელზე არსებული ჩანაწერის უზუსტობის დადასტურება, რაც ვერ იქნა მიღწეული. განსახილველ შემთხვევაში სახეზე უფლებათა კონკურენცია, რა დროსაც სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, ხელი შეუწყოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად წარმომობილი და არსებული საკუთრებით მშვიდობიან სარგებლობას. მაშასადამე, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია სადაც აქტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მსჯელობა, რომელმაც უფლებათა კონკურენციის პირობებში მართლზომიერი მესაკუთრის წაცელად უპირატესობა მიზნიქა სხვის საკუთრებაში შექრილი ნაგებობის სავარაუდო მფლობელს.

რაც შეეხება კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით მინის წაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას და დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (საცხოვრებელი, კომერციული) არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 21 თებერვლის №1-414 სადაც ბრძანებაში ადმინისტრაციულმა ორგანომ მიუთითა სადაც პერიოდში მოქმედ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 45-ე მუხლის მე-3 წაწილზე, რომლის მიხედვით, ქალაქთ მშენებლობის პირობების დამტკიცების შესახებ განცხადებას უნდა დაერთოს მიწის წაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა არსებული მდგო-

მარეობით. 2015 წლის 9 ნოემბრის №... განცხადებაზე დართული შპს „ა...-ის“ 2015 წლის 20 აპრილის ტოპოგრაფიული გეგმის მიხედვით კი ... საკადასტრო ერთეულზე იყო მხოლოდ ამ მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმაზე ასახული შენობა-ნაგებობა. საჩივრის ავტორთა მიერ წარდგენილი შპს „ბ...-ის“ გეორეფერენსირების შედეგების პროფესიული დასკვნის მიხედვით, თ. ზ-ისა და ს. ზ-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული საცხოვრებელი სახლის 3.55 კვ.მ და ქვის კედლის (ლობის) ნანილი განთავსებული იყო ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრის მიღმა, დ. ყ-ისა და ლ. დ-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის საზღვრებში. ხოლო, 2016 წლის 29 ივლისის №2743522 ბრძანებებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით, საპროექტო შენობა-ნაგებობა უნდა განთავსებულიყო საპროექტო მიწის ნაკვეთის იმ მონაკვეთზეც, სადაც ს. და თ. ზ-იების საცხოვრებელი სახლი და ლობები მდებარეობდა. დასახელებული გარემოებების საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერმა 2017 წლის 21 ოქტომბრის №1-414 სადაც ბრძანებით, საჩივრის დაქმაყოფილების საფუძვლად მიუთითა, რომ არქიტექტურის სამსახურის მიერ სადაც აქტების გამოცემისას საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის შემთხვევაში, შესაძლოა, სხვაგარი გადაწყვეტილება ყოფილიყო მიღებული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლის ფუნდამენტურ ფუნქციას, სამართლიანად გადაწყვიტოს დავა, შეესაბამება ის, რომ ინტერპრეტაციის კონკურირებული არგუმენტების არჩევანი და წონადობა სამართლიანობის საფუძველზე განხორციელდეს. მაშასადამე, იმ არგუმენტებს ენიჭება უპირატესობა, რომლებიც სამართლიანი შედეგის დადგომას განაპირობებს. კანონის ინტერპრეტაციისას კი სამართლიან შედეგზე ორიენტირება არგუმენტაციას მუდამ თან გასდევს. სამართლის ფუნქცია, რომ პრობლემები სამართლიანად გადაწყვიტოს, არა მხოლოდ ინტერპრეტაციის გზით ხორციელდება, არამედ, ამავე დროს, წარმოადგენს კანონის განვითარების საჭიროების შემთხვევას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამშენებლო სამართლი წარმოადგენს იმ წორმათა ერთობლიობას, რომელიც საჯარო ინტერესების გათვალისწინებით აწესრიგებს მიწის ნაკვეთის სამშენებლო მიზნით გამოყენების საკითხებს. სამშენებლო სამართლი დამყარებულია საჯარო ინტერესის პრინციპზე, რაც განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით, სახელმწიფოს აკისრია ვალებულება უზრუნველყოს წესრიგის დამყარება, რათა მოქალაქეებმა ბოროტად არ გამოიყენონ უფლებები. მშენებლობის ნებართვის გაცემა წარმოადგენს კომპლექსურ პროცესს, რა დროსაც

მრავალი ინტერესი იყრის თაგს, რომლებიც ერთმანეთთან უნდა შეჯერდეს და დაბალანსდეს. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის და კერძო ინტერესის შეწონასწორება და დაბალანსება, რამეთუ სხვაგვარად შეუძლებელია უფლებამოსილების სამართლიანად განხორციელება. თვითნებობის რისკის შემცირების საშუალებას კი პროპორციულობის პრინციპი წარმოადგენს, რადგან მისი თანმიმდევრული ეტაპების მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში ამომწურავად შეისწავლება საჯარო და კერძო ინტერესები და შეირჩევა გამართლებული ბალანსი დასაქმაყოფილებელ საჯარო ინტერესსა და კერძო სუბიექტისთვის დასაკისრებელ სამართლებრივ ტვირთს შორის.

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებიდან გამომდინარე, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსახილვედ შემთხვევაში მოსარჩელის მიწის ნაკვეთის მიმართ მომეტებული საჯარო ინტერესი არ არსებობს. რაც შეეხება მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა კანონიერ ინტერესს, რამაც განაპირობა ქ. თბილისის მერთან საზივრის წარდგენა, ასევე არ აქვს საფუძველი, რამდენადაც ს. ზ-ის და თ. ზ-ის საკუთრება ანდა კანონით დაცული სხვა უფლება, განსახორციელებელი მშენებლობით არ ილახება. საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველ ნაწილზე, სადაც მოცემულია მშენებლობის თავისუფლების კერძოსამართლებრივი საფუძვლები, რომლის თანახმად, მესაკუთრე აღჭურვილია უფლებამოსილებით, მის ნაკვეთზე განახორციელოს სასურველი მშენებლობა და ისარგებლოს ასეთი შენობა-ნაგებობით. განსახილველი დავის ფარგლებში აღნიშნულ საკითხზე საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს, რადგან ს. და თ. ზ-იების საჩივრის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 21 თებერვლის №1-414 ბრძანებით ბათილად ცნობილი სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 11 დეკემბრის №2318764 და 2016 წლის 29 ივლისის №2743522 ბრძანებები წარმოადგენს აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რამდენადაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60⁰ მუხლის მე-4 ნაწილით კი დაუშვებელია კანონისაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ

მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. ამავე მუხლის მე-5 ნაწილით, დაანტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი. კანონიერი ნდობა არ არსებობს, თუ მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება.

ამდენად, დაცის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია გაირკვეს, გასაჩივრებული აქტი ექცევა თუ არა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადებით განსაზღვრულ კატეგორიაში, რადგან გატარებული მმართველობითი ღონისძიების სტაბილურობის და პირის კანონიერი ნდობის დაცვის უზრუნველსაყოფად კანონმდებელი განსაკუთრებული სამართლებრივი დაცვის ობიექტად აცხადებს თვით კანონსაწინაღმდეგო აღმჭურველ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს და ადგენს მისი გაბათილების დაუშვებელობის სტანდარტს, პირის კანონიერი ნდობის არსებობის პირობებში. ამავე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრულია, როგორ უნდა შემონმდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის არსებობა, კერძოდ, თუ მხარემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი. ამდენად, შეფასების საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის ასევე უმნიშვნელოვანესი კანონიერებისა და კანონიერი ნდობის პრინციპებს შორის კონფლიქტი. თანაზომიერების პრინციპის მეშვეობით უნდა დადგინდეს, თუ რომელი პრინციპის დაცვა არის კონკრეტულ შემთხვევაში პრიორიტეტული, რომელი პრინციპია აღმატებული ხარისხის და რომლის უზრუნველყოფა არის დაცვის ღირს. სასამართლო მიუთითებს, რომ კანონიერების პრინციპი პრიორიტეტულია კანონიერი ნდობის პრინციპთან მიმართებით, თუ აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. ამგვარი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში აღმჭურველი აქტი გადის განსაკუთრებული სამართლებრივი დაცვის ქვეშ მყოფი უკანონო აქტების ფარგლებიდან, რამდენადც ადგილი აქვს საჯარო ინტერესების არსებითად დარღვევას. ამასთან, არსებითი ხასიათის დარღვევა მაშინაა სახეზე, თუ სხვა პირთა უფლებებისა და ინტერესე-

ბის დაცვა შეუძლებელია მოცემული ადმინისტრაციული აქტის გაუქმების გარეშე.

მესამე პირების, ს. ზ-ისა და თ. ზ-ის ინტერესების დადგენას-თან მიმართებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ ზოგადად სადავო საკითხს შეიძლება გავლენა ჰქონდეს მათ ინტერესსა და უფლებებზე, რამდენადაც დავა ეხება მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ საცხოვრებელი სახლის მშენებლობის საკითხს, თუმცა მხარეთა ინტერესების პროპრეისულობის კუთხით, არსებითია არა ნებისმიერი, კანონით დაცული ინტერესი, არამედ კონკრეტული, სადავო საკითხთან დაკავშირებით მკვეთრად გამოხატული ინტერესი და მისი ხელყოფის ინტენსიურობა. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ მოსარჩელეთა მიერ მითითებული გარემოები, საფუძველს აცლის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული აღმჭურველი აქტების ბათილად ცნობას.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ლ. დ-ის თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გადასულია, სავარაუდოდ, ს. და თ. ზ-ის მფლობელობაში არსებული ნაგებობა. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ არ დაკავშირდება ს. და თ. ზ-იების სარჩელი ლ. დ-ის სახელზე არსებული რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობის მოთხოვნით, რითაც დასტურდება მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის და რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მართებულობა. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოში წარადგინა მტკიცებულება, რომლის თანახმად, მშენებლობის განხორციელების დროს დემონტაჟს არ ექვემდებარე ის ნაგებობა, რომელიც შექრილია ლ. დ-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (07.08.2019 ნ ლის განჩინება გვ. 12, მე-2 აბზაცი). საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარმოუდგენია იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, თუ რა მასშტაბის გავლენას ახდენდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებსა და შინის ნაკვეთზე შეთანხმებულ დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (საცხოვრებელი, კომერციული) არქიტექტურულ პროექტზე, მომიჯნავე 3.55 კვ.მ შენობის და ქვის კედლის ნაწილის საკადასტრო გეგმაზე მიუთითებლობა. მხედველობაშია ასევე მისაღები, რომ დასახელებულ გარემოებაზე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო აქტის მიღების დროს მხოლოდ ვარაუდია გამოთქმული, სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს ისეთი უთანასწორობის შექმნას, როდესაც ერთი მხარე (ნაგებობის ნაწილით, ღობით), რომელიც სა-

მართლებრივი საფუძვლის გარეშე, თვითნებურად გადასულია მომიჯნავე მინის ნაკვეთზე, უკანონოდ ზღუდავს მეორე მხარეს თავისუფლად ისარგებლოს საკუთრების უფლებით. ამდენად, საკასაციო სასამართლო ადასტურებს საჯარო ინტერესის არსებობას, ასევე მესამე პირთა ინტერესების დაცვას, თუმცა არა მოსარჩელის საკუთრების უფლების, რომელიც ასევე მოიცავს მშენებლობის უფლებას, ხელყოფის (შეზღუდვის) ხარჯზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩინია, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 21 თებერვლის №1-414 ბრძანების ბათილად ცნობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მატერიალურ-საპროცესო სამართლებრივი საფუძვლები. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 21 თებერვლის №1-414 ბრძანება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეს – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა დაეკისროს სასამარჩელო მოთხოვნაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 53.1 მუხლის თანახმად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საედაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 550 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით,

გ ა დ ა ც ყ ვ ი ს ა :

- ლ. დ-ის საკასაციო საჩივარი დაქმაყოფილდეს;
- გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-

ციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 7 აგვისტოს განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ლ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 21 თებერვლის №1-414 ბრძანება, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 11 დეკემბრის №2318764 ბრძანებისა და 2016 წლის 29 ივლისის №2743522 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში;

5. მოპასუხეს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაეკისროს ლ. დ-ის სასამართლოდ მის მიერ საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირათხესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა თანხმობის გარეშე სარეკლამო აპრის მოცყობისა და სარეკორდს მომარცხენაში სამუშაოების ჩატარების კანონიერება

**განხილვა
საქართველოს სახელით**

№ბს-1101(3კ-22)

8 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
ბ. სტურუა

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2020 წლის 5 აგვისტოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „....მა“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხების – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და სსიპ ქალაქ თბილი-

სის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 ოქტომბრის №4727438 გადაწყვეტილებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 18 სექტემბრის №1290 ბრძანების ბათილად ცნობა მოიხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, 2019 წლის 6 სექტემბერს ქ. გ-ის წარმომადგენლის მიერ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში შეტანილი იქნა განცხადება თანდართული მასალებით, რომელიც შეეხებოდა ქ. გ-ის კუთვნილი ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობასა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებას. სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა განცხადება, რომლის შედეგად 2019 წლის 28 ოქტომბრის №4727438 გადაწყვეტილებით ქ. გ-ს თანხმობა მიეცა კუთვნილი ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობაზე, თუმცა არქიტექტურის სამსახურის მიერ განცხადებაზე თანდართული ყველა დოკუმენტაციის არსებითად არ შესწავლის გამო, მათ მიერ გაცემული სამუშაოთა შესრულების თანხმობა გაცდა ქ. გ-ის საკუთრების ფარგლებს და გავრცელდა ბმა „...“-ის საკუთრებაში არსებულ გამწვანების ზოლზე, რომლის შედეგად განადგურებული იქნა შენობის გარე ფასადზე მოწყობილი გამწვანების ზოლი.

მოსარჩელის მითითებით, ვინაიდან არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 ოქტომბრის №4727438 გადაწყვეტილებით სამუშაოთა შესრულების არეალი გაცდა ქ. გ-ის საკუთრების ფარგლებს და მოიცვა ბმა „...“-ის წევრების საერთო საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილი, მათ მიერ აღნიშნული უკანონო გადაწყვეტილება 2020 წლის 18 თებერვალს გასაჩივრებული იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 18 სექტემბრის №1290 ბრძანებით საჩივარი არ დაკამაყოფილდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რის გამოც ისინი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2021 წლის 4 ივნისის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა ქ. გ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2021 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ბინათმე-

საკუთრეთა ამხანაგობა „...“-ის სარჩელი დაქმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 ოქტომბრის №4727438 გადაწყვეტილება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 18 სექტემბრის №1290 ბრძანება.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ. №4ა-ში მდებარე უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით: №..., სადარბაზო 1, სართული 1, კომერციული სათავსო №1, ფართი 104,24 კვ.მ., და საკადასტრო კოდით: №..., სადარბაზო 1, სართული 2, კომერციული სათავსო №7, ფართი 87,00 კვ.მ., 2008 წლის 1 ოქტომბრიდან საკუთრების უფლებით აღრიცხულია ქ. გ-ის სახელზე. ნაკვეთის საკუთრების ტიპი – თანასაკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 2812.00 კვ.მ., ნაკვეთის ნინა ნომერი: 10, შენობა-ნაგებობები: №1, №2, №3, №4, №5, შენობა-ნაგებობების საერთო ფართი: 15797,45.

2019 წლის 6 სექტემბერს ქ. გ-ის წარმომადგენელმა ნ. გ-მა №AR1705381 გაცხადებით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა ქ. თბილისში, ...ის ქუჩა №4ა, №... და №... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ფარებთზე | კლასის სამშენებლო სამუშაოებს, კერძოდ, სარეკლამო აბრის მოწყობისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობის დადასტურება. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 ოქტომბრის №4727438 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ქ. გ-ის 2019 წლის 6 სექტემბრის №AR1705381 გაცხადება და ქ. თბილისში, ...ის ქუჩა №4ა, №... და №... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ფართებზე დადასტურდა | კლასის სამშენებლო სამუშაოების, კერძოდ, სარეკლამო აბრის მოწყობისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა.

2020 წლის 18 თებერვალს ბმა „...“-ის თავმჯდომარის, ლ. ჯ-ის წარმომადგენელმა, ლ. გ-მა №19/01200493725-01 ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 ოქტომბრის №4727438 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 18 სექტემბრის №1290 ბრძანებით არ დაქმაყოფილდა ბმა „...“-ის თავმჯდომარის, ლ. ჯ-ის წარმომადგენელის, ლ. გ-ის 2020 წლის 18 თებერვლის №19/01200493725-01 ადმინისტრაციული საჩივარი და ძალაში დარჩა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტე-

ტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 ოქტომბრის №4727438 გადაწყვეტილება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილია არქიტექტორ მ. კ-ას 2020 წლის 4 დეკემბრის საექსპერტო დასკვნა ქ. თბილისში, ...ის ქ. №4ა შენობის | სართულზე მოქ. ქ. გ-ის კუთვნილ ფართზე სარეკლამო აბრის მოწყობისა და ფასადის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების არქიტექტურულ პროექტზე, სადაც ცალსახად არის ნათევამი, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 ოქტომბრის №4727438 გადაწყვეტილების მიხედვით, პროექტი ითვალისწინებს მოქ. ქ. გ-ის კუთვნილი ფართის გარეთ არსებული გამწვანებული მყარი მონოლითური მასალისაგან მოწყობილი სავყავილე სივრცის ინსტრუქციას მისი დემონტაჟის გზით და ასევე გათვალისწინებულია მისი ვე კუთვნილი საერთო ფართის ცვლილება (მომატება) 4,43 მ2-ით.

სასამართლოს მითითებით, „შენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ დადგენილების მიზნებისათვის შენობა-ნაგებობები და სამშენებლო სამუშაოები მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ექსპლუატაციაში მიღებისათვის იყოფა 5 კლასად: ა) I კლასი – შენობა-ხაგებობები, რომლებიც მშენებლობის ნებართვას არ საჭიროებს; ბ) II კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის დაბალი ფაქტორით; გ) III კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის სამუალო ფაქტორით; დ) IV კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის მაღალი ფაქტორით; ე) V კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის მომეტებული ფაქტორით (განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობები). ამავე დადგენილების 65-ე მუხლი კონკრეტულად განსაზღვრავს პირველი კლასის შენობა-ნაგებობის მახასიათებლებს. კერძოდ, დასახელებული მუხლის პირველი პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტის თანახმად, I კლასს განეკუთვნება: ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ლიობების მოწყობა/დემონტაჟი. თუ აღნიშნული სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, ამ დადგენილების 66-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გარდა, დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ. სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული დადგენილების 65-ე და 66-ე მუხლების პირველი პუნქტების თანახმად, I კლასის შენობა-ნაგებობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის მნარმოებელი/დამკვეთი ვალდებულია განზრახული მშენებლობის

შესახებ განცხადებით აცნობოს მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს. ხოლო 66-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო 5 დღის ვადაში წარდგენილი სულყოფილი დოკუმენტ(ები)ის საფუძველზე წერილობით ადასტურებს დაგეგმილი მშენებლობა/მონტაჟის ქალაქთმშენებლობით დოკუმენტთან შესაბამისობას და მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობას.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მშენებლობის სახეობებია: ა) ახალი მშენებლობა (მათ შორის, მონტაჟი); ბ) რეკონსტრუქცია; გ) რემონტი-შეკეთება, მოპირკეთება/აღჭურვა (არ საჭიროებს ნებართვას); დ) დემონტაჟი; ე) ლანდშაფტური მშენებლობა; ვ) დროებითი შენობა-ნაგებობების მონტაჟი/განთავსება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შენობა-ნაგებობების ახალი მშენებლობა ისეთი მშენებლობაა, რომელიც ხორციელდება მიწის ნაკვეთის იმ ნაწილში, სადაც არ დგას შენობა-ნაგებობა ან ხდება არსებულის მთლიანად ჩანაცვლება, ხოლო დადგენილების მე-3 მუხლის 50-ე პუნქტის თანახმად, რეკონსტრუქცია არის არსებული შენობა ნაგებობის ან/და მისი ნაწილ(ები)ის არსობრივად შეცვლა, მათი ფიზიკური, ხარისხობრივი და თვისისობრივი განახლების მიზნით.

ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებით დამტკიცებული იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დეპულება“, რომლის მე-2 მუხლით განსაზღვრულია სამსახურის მიზნები, ერთოდ, დასახელებული მუხლის თანახმად, სამსახურის მიზნებია: ა) მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება; ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება. ამავე დეპულების 3.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს არქიტექტურული პროცესების მართვა – დადგენილი წესით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა და კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათშიც ცვლილებების შეტანა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულ უფლებამოსილე-

ბათა განხორციელება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ხორციელდება არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის საფუძველზე. ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური არის ქ. თბილისში არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში ერთადერთი ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო, იგი ვალდებული არის იზრუნოს ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესებისათვის და ამ კუთხით იგი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით. შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, შესაძლებლობა აქვს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების შესწავლისა და შეფასების შემდგომ განსაზღვროს ამა თუ იმ სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზანშეწონილობა და მისი შესაბამისობა სამსახურის მიერ შემუშავებულ ქალაქის განვითარების პოლიტიკასთან.

სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე მხარე არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 ოქტომბრის №4727438 გადაწყვეტილებას, რომლითაც ქ. თბილისში, ...ის ქუჩა №4ა, №... და №... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ფართებზე დადასტურდა | კლასის სამშენებლო სამუშაოების, კერძოდ, სარეკლამო აბრის მოწყობისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა, არაკანონიერად მიიჩნევს და განმარტავს, რომ მათ მიერ გაცემული სამუშაოთა შესრულების თანხმობა გაცდა ქ. გ-ის საკუთრების ფარგლებს და მოიცვა ბმა „...“ -ის წევრების საერთო საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილი, გავრცელდა ამხანაგობის საკუთრებაში არსებული გამწვანების ზოლზე, რომლის შედეგად განადგურებული იქნა შენობის გარე ფასადზე მოწყობილი გამწვანების ზოლი.

სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელე მხარის პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით და მიუთითა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონება არის მიწის ნაკვეთი, ამავე ნაკვეთზე განთავსებული მრავალბინიანი სახლი, მასთან დაკავშირებული მომსახურე საინჟინრო ქსელების, მოწყობილობა-დანადგარების, შენობა-ნაგებობებისა და კეთილმოწყობის ობიექტების ერთობლიობა, რომელიც არ იმყოფება ინდივიდუალურ საკუთრებაში. მითითებული კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ისეთი განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას და გავლენას ახდენს

სხვა ბინის მესაკუთრეთა მიერ საერთო ქონების გამოყენებაზე, ხორციელდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ამავე კანონის 10¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობის გარეშე შესაძლებელია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონების ისეთი განვითარება, რომელიც გავლენას ახდენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაზე, თუმცა არ ითვალისწინებს ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის გაზრდას ან/და ახალი ინდივიდუალური საკუთრების საგნის წარმოშობას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული სამშენებლო სამუშაოები ითვალისწინებს ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის გაზრდას ან/და ახალი ინდივიდუალური საკუთრების საგნის წარმოშობას, სამშენებლო სამუშაოების დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილებას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა იღებს წევრთა 2/3-ის ხმებით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული სამშენებლო სამუშაოები ითვალისწინებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების დემონტაჟს, ამის შესახებ გადაწყვეტილებას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა იღებს წევრთა 2/3-ის ხმებით.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (ფოტოსურათებით, საპროექტო გეგმით) და მხარეთა ახსნა-განმარტებებით სასამართლომ ცალსახად დადასტურებულად მიიჩნია, რომ სადავო აქტის საფუძველზე ქ. გ-ის მიერ განხორციელებული სამუშაოები გასცდა მისი საკუთრების ფარგლებს და მოიცავა ბმა „...“-ის წევრებისა საერთო საკუთრებაში არსებული შენობის წანილი, განხორციელდა საერთო საკუთრებაში არსებული ფართის რეკონსტრუქცია მისი დემონტაჟის გზით და მოხდა ფართის ცვლილება, რაც „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 და 10¹ მუხლების საფუძველზე საჭიროებდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა თანხმობას. აქვე სასამართლომ იმ გარემოებაზეც მიუთითა, რომ სადავო აქტით მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ მომხდარა ასევე იმ გარემოების გამოკვლევა, იყო თუ არა სახეზე ექსტერიერის რეკონსტრუქცია, რაც თავის მხრივ მე-2 კლასს განეკუთნება და საჭიროებს არა წერილობით დადასტურებას, არამედ II კლასის შენობა-ნაგებობაზე მშენებლობის წებართვის გაცემისთვის განკუთვნილ პროცედურებს.

სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საქ-

მეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილ, არქიტექტორ მ. კ-ას 2020 წლის 4 დეკემბრის საექსპერტო დასკვნაზე, რომლის თანახმად, ექსპერტი, არსებული პროექტის შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე, ცალსახად ადასტურებს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 ოქტომბრის №4727438 გადაწყვეტილების მიხედვით, პროექტი ითვალისწინებს მოქ. ქ. გ-ის კუთვნილი ფართის გარეთ არსებული გამწვანებული მყარი მონოლითური მასალისაგან მოწყობილი საყვავილე სივრცის ინსტრუქციას მისი დემონტაჟის გზით და ასევე გათვალისწინებულია მისივე კუთვნილი საერთო ფართის ცვლილება (მომატება) 4,43 მ2-ით.

ამდენად, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიჩინა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე მხარის მიერ სასამართლო სხდომაზე ვერ იქნა დასაბუთებული მის მიერ გამოცემული აქტის ფაქტობრივი და სამართლებრივი არგუმენტაცია, შესაბამისად, მან ისე მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ გამოიკვლია, არ შეაფასა და არ შეაჯერა ისეთი გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო საკითხის გადასაწყვეტად, რის გამოც სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 ოქტომბრის №4727438 გადაწყვეტილება მიღებული იყო კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რაც პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა მოსარჩელეს და ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

რაც შეეხება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 18 სექტემბრის №1290 ბრძანებას, რომლითაც ბმა „...“-ის თავმჯდომარის, ლ. ჯ-ის წარმომადგენებელს, ლ. გ-ს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაქმაყოფილებაზე, სასამართლომ მიჩინია, რომ მოცემულ შემთხვევაში იმდენად, რამდენადაც დადგენილი იქნა, რომ სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 ოქტომბრის №4727438 გადაწყვეტილება, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, კანონის მოთხოვნათა დარღვევით იყო მიღებული და ის მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა, აღნიშნული გარემოება თავის მხრივ გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა. შესაბამისად, ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 18 სექტემბრის №1290 ბრძანება, მით უფრო მაშინ, როდესაც ადმინისტრაციულ საჩივრას, როგორც უფლების დაცვის საშუალებას, მხარის-თვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩინია და ადმინისტრაციული

წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამომებას, რომელიც თავის თავში მოიცავს აქტის, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კანონიერების გადამომებას. სასამართლომ მიუთითა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, როგორც საჩივრის განმხილველ ორგანოს, გასაჩივრებული აქტის კანონიერებისა და მიზანშენონილობის გადამომების ვალდებულება წარმოეშვება მაღალი ხარისხით, რაც გულისხმობს იმას, რომ მის მიერ გამოკვლეული უნდა ყოფილიყო საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და აღნიშნულის საფუძველზე მიღებული უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილების ან საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა და ქ. გ-მა, რომელიც გაასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 30 ივნისის განჩინებით ქ. გ-ის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებები, მიუთითა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტზე, მე-10 მუხლის პირველ პუნქტზე, 10¹ მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებზე და მიიჩნია, რომ იმ პირობებშიც, თუ არ ხდება ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის გაზრდა ან/და ახალი ინდივიდუალური საკუთრების საგნის წარმოშობა, აუცილებელია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობის წარდგენა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საკითხი შეეხება ფასადის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, რომელმაც უდავოდ მოიცემა ბმბა „...“-ის წევრების საერთო საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილი. ამავეს ადასტურებდა საქმეში წარმოდგენილი 2020 წლის 4 დეკემ-

ბრის საექსპერტო დასკვნა, რომლის თანახმად, არსებული პროექტის შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე, ცალსახად და-დასტურდა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 ოქტომბრის №4727438 გადაწყვეტილების მიხედვით, პროექტი ითვალისწინებდა მოქ. ქ. გ-ის კუთვნილი ფართის გარეთ არსებული გამწვანებული მყარი მონოლითური მა-სალისაგან მოწყობილი საყვავილე სივრცის რეკონსტრუქციას მი-სი დემონტაჟის გზით და ასევე გათვალისწინებული იყო მისივე კუთვნილი საერთო ფართის ცვლილება (მომატება) 4,43 მ²-ით.

რაც შეეხება აპელანტის მითითებას მასზედ, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა არქიტექტურის სამსახურის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა, პალატამ გაიზიარა და გან-მარტა, რომ სამშენებლო სამუშაოების პროექტის (ფოტომონტა-ჟის) შეთანხმება და კონკრეტული სამუშაოების მიზანშეწონილო-ბის დადგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბი-ლისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დისკრეცი-ულ უფლებამოსილებას მიეკუთვნება, თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლე-ბამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთება-ში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. დაუშვებელია ადმინისტრა-ციული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების მტკიცება მხო-ლოდ დისკრეციული უფლებამოსილების არსებობაზე მითითებით. მოცემულ შემთხვევაში კი სადაცო აქტი ბმა „....“ -ის წევრების საერ-თო საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილს შეეხება და ასევე ვრცელდება ამხანაგობის საკუთრებაში არსებულ გამწვანების ზოლზეც, რაც დასტურდებოდა, როგორც წარმოდგენილი ფოტო-სურათებიდან, ასევე ზემოხსენებული ექსპერტის დასკვნიდანაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ გაიზიარა საქალაქო სა-სამართლოს დასკვნა, რომ არქიტექტურის სამსახურის მიერ და-დასტურებული იქნა იმგვარი სამუშაოების განხორციელება (საერ-თო საკუთრებაში არსებული ფართის რეკონსტრუქცია), რაც „ბი-ნათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე საჭიროებდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევ-რთა თანხმობას. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც განმცხა-დებელი მოითხოვდა სარეკლამო აპრის მოწყობისა და სარეკო-სტრუქციო სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობის დადასტუ-რებას თბილისში, ...ის ქ. №4ა-ში მდებარე უძრავი ნივთის ფასად-ზე, არქიტექტურის სამსახური არ იყო უფლებამოსილი ბინათმე-საკუთრეთა ამხანაგობის თანხმობის გარეშე მიეღო დადებითი გა-დაწყვეტილება. ამდენად, პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასა-

მართლომ მართებულად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 ოქტომბრის №4727438 გადაწყვეტილება მიღებული იყო კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რაც პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა მოსარჩელეს, რის გამოც გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი. ამასთან, აღნიშნული აქტის ბათილად ცნობის პირობებში, ასევე მართებულად იქნა ბათილად ცნობილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 18 სექტემბრის №1290 ბრძანება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 30 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა და ქ. გ-მა, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 ოქტომბრის განჩინებებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის საკასაციო საჩივრები; ხოლო ქ. გ-ის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

კასატორი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია აღნიშნავს, რომ I კლასის სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად დამკვეთისთვის არ არის სავალდებულო მშენებლობის ნებართვის გაცემისთვის კანონმდებლობით დადგენილი სამი სტადიის გავლა, თუმცა ამავდროულად, აღნიშნული სამშენებლო სამუშაოების დასაშვებობისათვის აუცილებელია განზრაბული მშენებლობის შესახებ მშენებლობის ნებართვის გამცემი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსთვის განცხადების წარდგენა და შესაბამისი წერილობითი დასტურის მოპოვება. მოცემულ შემთხვევაში მერიამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტით დადასტურებული სამშენებლო სამუშაოები მიეკუთვნებოდა პირველ კლასს, რომელიც ნებართვას არ საჭიროებდა, თუმცა საჭირო იყო ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ გაცემული წერილობითი დასტურის მოპოვება. განმცხადებელმა კი არქიტექტურის სამსახურში წარადგინა საჯარო რეესტრის ამონანერები, არსებული სიტუაციის ამსახვე-

ლი ფოტოსურათები და ფოტომონტაჟი, რისი სრულყოფილად შეს-ნავლის შემდგომაც არქიტექტურის სამსახურმა გადაწყვეტილება მიიღო მოქმედი რეგულაციებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

კასატორის მითითებით, არქიტექტურის სამსახურის მხრიდან აღნიშნული I კლასის სამშენებლო სამუშაოების დადასტურებით მოხდა ქ. გ-ის ინდივიდუალური საკუთრების ისეთი განვითარება, რომელიც გავლენას ახდენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევ-რთა საერთო ქონებაზე, თუმცა აღნიშნულით არ მომხდარა ინდი-ვიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის გაზრდა ან ახალი ინდივიდუალური საკუთრების საგნის წარმოშობა. ამდენად, არ არ-სებობდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობის წარდგენის ვალდებულება.

კასატორის – სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქი-ტექტურის სამსახურის მითითებით, სადავო აქტით დადასტურე-ბული სარეკონსტრუქციო სამუშაოები განეკუთვნება I კლასის სა-მუშაოებს და სასამართლომ უსაფუძვლოდ მიუთითა განსახორცი-ელებელი სამუშაოების II კლასთან დაკავშირებით. კასატორის მი-თითებით, საქმეში არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურა-თებით, ფოტომონტაჟით, არსებული და საპროექტო გეგმებით, ცალსახად დგინდებოდა, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოები მო-იცავდა იმ ტიპის სამუშაოებს, რაც განეკუთვნებოდა I კლასს. აღ-ნიშნულს ასევე ადასტურებდა ექსპერტის დასკვნა, რომლის თა-ნახმად, ფასადის რეკონსტრუქციის ფარგლებში გათვალისწინე-ბული იყო არსებული ვიტრაჟების ნაცვლად მსხვილპანელოვანი დე-კორატიული ჩარჩოს გამოყენებით ახალი ვიტრაჟების მოწყობის სამუშაოები. აღნიშნული ვიტრაჟების შეცვლა არ იწვევდა ფართის ცვლილებას და იგი მხოლოდ ფასადის დეკორის შემქმნელი იყო.

რაც შეეხება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობის წარ-დგენის აუცილებლობას, კასატორის განმარტებით, მითითებული უძრავი ნივთები მოქცეული იყო ქ. გ-ის საკუთრებაში, რის გამოც ადგილი ჰქონდა ინდივიდუალური საკუთრების საგნის ისეთ განვი-თარებას, რაც არ იწვევდა ფართობის გაზრდას ან ახალი საკუთრე-ბის საგნის წარმოშობას. ამდენად, არ არსებობდა ბინათმესაკუთ-რეთა ამხანაგობის თანხმობის წარდგენის ვალდებულება. ამასთან, ფართის ის ნაწილი, რომელზეც სასამართლო მიუთითებდა, წარ-მოადგენდა არაექსპლუატირებად ფართს, ვინაიდან მასში მოხვედ-რა შეთანხმებული დოკუმენტაციის მიხედვით, შეუძლებელი იყო და იგი მხოლოდ ფასადის დეკორს წარმოადგენდა. ამდენად, არა-ექსპლუატირებადი ფართი შემხებლობაში არ იყო საერთო ფარ-თის და მისი მოწყობა არ ხდებოდა ბინათმესაკუთრეთა ამხანა-

გობის საერთო ფართის ხარჯზე, ხოლო გამწვანების ზოლთან მიმართებით, კასატორი უთითებს, რომ საპროექტო დოკუმენტაციით ხდება მისი შენარჩუნება და ამ კუთხითაც ზიანი არ ადგება ამ-ხანაგობის ინტერესებს.

კასატორი ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში არქიტექტურის სამსახურის სადაც გადაწყვეტილება წარმოადგენს აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აღმჭურველი აქტების მიმართ კი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ანესებს განსაკუთრებული დაცვის გარანტიებს, რასთან დაკავშირებითაც კასატორი მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 7 თებერვლის განჩინებით ქალაქ თბილის მუნიციპალიტეტის მერიისა და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის საკასაციო საჩივრების დასშვებობის საკითხის განხილვა დადგინდა მხარეთა დასწრებით 2023 წლის 23 თებერვალს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 23 თებერვლის საოქმო განჩინებებით კასატორის – სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და მესამე პირის – ქ. გ-ის შუამდგომლობა საქმეზე ახალი მტკიცებულებების დართვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა და მათვე დაუბრუნდათ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №008442322 ექსპერტის დასკვნა (9 ფურცელი).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 23 თებერვლის სხდომიდან საქმის განხილვა გადაიდო ზეპირი მოსმენის გარეშე, რა დროსაც მხარეებს მიეცათ ვადა მორიგების პირობების შესათანხმებლად და შესაბამისი ინფორმაციის წარმოსადგენად, თუმცა მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 2 მაისის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასა-

ციონ საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გან-ჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსა-ხურის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლე-ლად უნდა დარჩეს გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასა-მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 30 ივნი-სის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამ-სახურის 2019 წლის 28 ოქტომბრის №4727438 სადაც გადაწყვე-ტილების მიღების დროს საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლო-ბის ნებართვასთან დაკავშირებულ საჯარო სამართლებრივ ურთი-ერთობათა რეგულირების სფეროს მოიცავდა „მშენებლობის ნებარ-თვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქარ-თველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება, რო-მელიც არეგულირებდა საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლო-ბის ნებართვის გაცემის, სანებართვო პირობების შესრულებისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესს. დასახე-ლებული დადგენილების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახ-მად, ამ დადგენილების მიზნებისათვის შენობა-ნაგებობები და სამ-შენებლო სამუშაოები მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ექ-სპლუატაციაში მიღებისათვის იყოფა 5 კლასიდ: а) I კლასი – შენო-ბა-ნაგებობები, რომლებიც მშენებლობის ნებართვას არ საჭირო-ებს; ბ) II კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის დაბალი ფაქტორით; გ) III კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის საშუალო ფაქტორით; დ) IV კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის მაღალი ფაქტორით; ე) V კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის მომეტებული ფაქტორით (გან-საკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობები).

ამავე დადგენილების 65-ე მუხლი კონკრეტულად განსაზ-ღვრავს პირველი კლასის შენობა-ნაგებობის მახასიათებლებს, კერ-ძოდ, I კლასს განეკუთვნება ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კა-რის, ფანჯარის და სხვა ღიობების მოწყობა/დემონტაჟი. თუ აღნიშ-ნული სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქცი-ებს, ამ დადგენილების 66-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუ-მენტაციის გარდა, დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაო-ების დაწყებამდე მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელე-ბელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ. ამასთან, I კლასის შე-ნობა-ნაგებობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის მნარმობელი/დამკვეთი ვალდებულია განზრახუ-ლი მშენებლობის შესახებ განცხადებით აცნობოს მშენებლობის

ნებართვის გამცემ ორგანოს, ხოლო 66-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო 5 დღის ვა-დაში წარდგენილი სრულყოფილი დოკუმენტ(ებ)ის საფუძველზე წერილობით ადასტურებს დაგეგმილი მშენებლობა/მონტაჟის ქა-ლაქტმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობას და მშენებ-ლობის განხორციელების შესაძლებლობას.

ამდენად, მართალია, I კლასს მიკუთხებული განსახორციელე-ბელი სამუშაოები წებართვას არ საჭიროებდა, თუმცა საჭირო იყო წებართვის გამცემი ორგანოს მიერ გაცემული წერილობითი დას-ტურის მოპოვება.

განსახილეველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2019 წლის 6 სექ-ტემბერს ქ. გ-მა №AR1705381 განცხადებით მიმართა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, წარუდ-გინა საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე ფოტომონტაჟი და მოითხოვა ქ. თბილისში, ...ის ქუჩა №4ა, №... და №... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ფარ-თებზე I კლასის სამშენებლო სამუშაოების, კერძოდ, სარეკლამო აბრის მოწყობისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობის დადასტურება.

ასევე დადგენილია, რომ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალი-ტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 ოქტომბრის №4727438 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ...ის ქუჩა №4ა, №... და №... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ფართებზე და-დასტურდა I კლასის სამშენებლო სამუშაოების, კერძოდ, სარეკ-ლამო აბრის მოწყობისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩა-ტარების შესაძლებლობა.

მოსარჩელე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“ სადავოდ ხდის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსა-ხურის 2019 წლის 28 ოქტომბრის №4727438 გადაწყვეტილების კა-ნონიერებას, რომლითაც დაკმაყოფილდა მესამე პირის ქ. გ-ის მოთ-ხოვნა და მიეცა კუთხილი ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შესაძ-ლებლობა. წარმოდგენილი სარჩელით ასევე მოთხოვნილია აღნიშ-ნული აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით წარდგენილი ადმინის-ტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მი-ლებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 18 სექტემბრის №1290 ბრძანების ბათილად ცნობა.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“ წარმოდგენილ სარჩელს ძი-რითადად აფუძნებს იმ გარემობაზე, რომ არქიტექტურის სამსა-ხურის სადაცვო გადაწყვეტილებით გაცემული სამუშაოთა შესრუ-ლების თანხმობა გაცდა ქ. გ-ის საკუთრების ფარგლებს და გავ-

რცელდა პმა „...“-ის საკუთრებაში არსებული გამწვანების ზოლზე, რომლის შედეგად განადგურებული იქნა შენობის გარე ფასადზე მოწყობილი გამწვანების ზოლი. თავის მხრივ, კასატორები – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და სისიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ ვინაიდან ფართი, რომლის ფასადზეც უნდა განხორციელებულიყო სარეკონსტრუქციო სამუშაოები და აბრის მოწყობა, წარმოადგენდა ქ. გ-ის ინდივიდუალურ საკუთრებას, ამდენად, საჭირო არ იყო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობის წარდგენა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სისიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 ოქტომბრის №4727438 სადაც გადაწყვეტილებით ხდება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე განსახორციელებული სამუშაოების დადასტურება, შესაბამისად, სადაც სამართალურთიერთობის შეფასებისას საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც არეგულირებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ფორმებსა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საკუთრების ფორმებს, აგრეთვე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წარმოშობის, ჩამოყალიბების, საქმიანობისა და ლიკვიდაციის ძირითად სამართლებრივ პირობებს (მუხლი 1). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის თანახმად, ერთმანეთისაგან იმიჯნება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საკუთრების ფორმები, კანონი ითვალისწინებს მრავალბინიან სახლში როგორც ინდივიდუალური, ასევე საერთო საკუთრების ობიექტების არსებობას. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის ინდივიდუალურ საკუთრებად მიიჩნევა ცალკეულ პირთა საკუთრებაში არსებული ბინა, აგრეთვე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის მფლობელობაში არსებული მრავალბინიან სახლის სამურნეო სათავსები (სარდაფები, სხვენები და ა. შ.) (მუხლი 4.1), ხოლო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას წარმოადგენს: მინის ნაკვეთი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მომსახურებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობები და საინჟინირო-კომუნიკაციური მოწყობილობა და გაყვანილობა; მრავალბინიან სახლის მზიდი და შემომზღვდუდავი არამზიდი (ფასადის) კონსტრუქციები (საძირკელები, კარაჟასი, კედლები, საერთო სარგებლობის აივნები, სართულებულისა გადახურვები, პარაპეტები (მოაჯირები), ლავგარდანები (კარნიზები), საწვიმარი მილები და ა. შ.);

მრავალბინიანი სახლის ვესტიბიულები, სადარბაზოები, დერეფ-ნები, კიბის უჯრედები, სარდაფები, სხვენები, საქვაბეები, ტექნიკური სართულები, სახურავები, ლიფტები, სხვადასხვა დანიშნულების შახტები, არხები, ნაგავგამტარები, ბუნკერები და ა. შ., რომ-ლებიც არ იმყოფება ინდივიდუალურ საკუთრებაში; სატრანზიტო გაყვანილობა (მუხლი 5.4).

ამასთან, რამდენადაც „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს ინდივი-დუალურ და საერთო საკუთრებას, შესაბამისად, მათი განვითარების შესაძლებლობისთვის განსხვავებულ რეგულაციებს ითვალისწინებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მრავალბინიან სახლში ქონების ყველა სახის განვითარება არ საჭიროებს ამხანაგობის თანხმობას, ამხანაგობის წევრთა კრებაზე გადაწყვეტილების მიღებას. ქონების განვითარებისას ამხანაგობის თანხმობის წარდგენის საჭიროების საფუძვლები განსაზღვრულია „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონით, რომლის მე-10 და 10¹ მუხლები განსაზღვრავს ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების და ინდივიდუალურ საკუთრებაში მყოფი ქონების განვითარების პირობებს, კერძოდ, მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ისეთი განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას და გავლენას ახდენს სხვა ბინის მე-საკუთრეთა მიერ საერთო ქონების გამოყენებაზე, ხორციელდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრებაზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ამავე კანონის 10¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობის გარეშე შესაძლებელია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონების ისეთი განვითარება, რომელიც გავლენას ახდენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაზე, თუმცა არ ითვალისწინებს ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის გაზრდას ან/და ახალი ინდივიდუალური საკუთრების საგნის წარმოშობას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული სამშენებლო სამუშაოები ითვალისწინებს ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის გაზრდას ან/და ახალი ინდივიდუალური საკუთრების საგნის წარმოშობას, სამშენებლო სამუშაოების დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილებას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა იღებს წევრთა 2/3-ის ხმებით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული სამშენებლო სამუშაოები ითვალისწინებს ბინათ-

მესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების დემონტაჟს, ამის შესახებ გადაწყვეტილებას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა იღებს წევრთა 2/3-ის ხმებით.

განსახილველ შემთხვევაში ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილია, რომ სადაცო აქტის საფუძველზე ქ. გ-ის მიერ განხორციელებული სამუშაოები გასცდა მისი საკუთრების ფარგლებს და მოიცვა ბმბა „...“-ის წევრების საერთო საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილი, რასაც ადასტურებს საქმეში წარმოდგენილ 2020 წლის 4 დეკემბრის საექსპერტო დასკვნა, რომლის თანახმად, არსებული პროექტის შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე, დადასტურდა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 ოქტომბრის №4727438 გადაწყვეტილების მიხედვით, პროექტი ითვალისწინებდა მოქ. ქ. გ-ის კუთვნილი ფართის გარეთ არსებული გამწვანებული მყარი მონოლიტური მასალისაგან მოწყობილი საყვავილე სივრცის რეკონსტრუქციას მისი დემონტაჟის გზით და ასევე გათვალისწინებული იყო მისივე კუთვნილი საერთო ფართის ცვლილება (მომატება) 4,43 მ²-ით. აღნიშნული კი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის დასახელებული ნორმების საფუძველზე საჭიროებდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა თანხმობას. აღნიშნულის საწინააღმდეგო გარემოება სადაცო აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოებისა და საქმეში მესამე პირად ჩაბმული ქ. გ-ის მიერ არ დადასტურებულა. მართალია, საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას კასატორის – სსპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და მესამე პირის – ქ. გ-ის მიერ წარმოდგენილ იქნა ექსპერტის დასკვნა, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე, 399-ე მუხლების შესაბამისად, რამდენადაც საკასაციო ინსტანციის სასამართლოში დაუშვებელია ახალი მტკიცებულებების მიღება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 23 თებერვლის საოქმო განჩინებებით კასატორის – სსპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და მესამე პირის – ქ. გ-ის შუამდგომლობა საქმეზე ახალი მტკიცებულებების დართვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა და მათვე დაუბრუნდათ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №008442322 ექსპერტის დასკვნა (9 ფურცელი).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო

სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და და-საბუთებული პრეტენზია (შედავება). ამავე მუხლის პირველი ნა-ნილის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამარ-თლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. საკასაციო სა-სამართლო განმარტავს, რომ საკასაციო სასამართლო არ წარმო-ადგენს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენ სასამართლოს. ამასთან, საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საკასა-ციო სასამართლოში ახალი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის და მტკიცებულებების მიღების შესაძლებლობას, შესაბამისად, მო-ცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს ქვედა ინსტანციის სასამარლოების მიერ საქმეზე დადგენილი გა-რემოებით, რაც საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად ვერ იქნა გაპათილებული მხარეთა მიერ.

ამდენად, საქმეზე დადგენილი გარემოებების მიხედვით, რამ-დენადაც ქ. გ.-ის მიერ დაგეგმილმა ფასადის სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა მოიცავა ბმა „...“-ის წევრების საერთო საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილი, შესაბამისად, არქიტექტურის სამსა-ხურს სადაც გადაწყვეტილების მიღებისას უნდა ეხელდღვანელა „ბინათმესაკუთრება ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანო-ნის მოთხოვნების შესაბამისად, რა დროსაც ამხანაგობის თანხმო-ბის არარსებობის პირობებში არ უნდა დაეშვა მოთხოვნილი ფორ-მით სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებ-ლობა. არქიტექტურის სამსახურის მხრიდან აღნიშნული პირობე-ბის დაუცველობა კი ადასტურებს სადაცოდ ქცეული სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 ოქტომბრის №4727438 გადაწყვეტილების უკანონობას, კანონის იმპერატიული მოთხოვნის გაუთვალისწინებლად საკით-ხის გადაწყვეტას, რამაც პირდაპირი და უშუალო ზიანი მიაყენა მო-სარჩელის ინტერესებს. არქიტექტურის სამსახურის აღნიშნული გადაწყვეტილების უკანონობის პირობებში ასევე უკანონოა ადმი-ნისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობა-ზე მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 18 სექტემბრის №1290 ბრძანება. ქალაქ თბილისის მუნიცი-პალიტეტის მერიას, როგორც საჩივრის განმხილველ ორგანოს, გა-საჩივრებული აქტის კანონიერებისა და მიზანშენონილობის გადა-მონმების ვალდებულება წარმოეშვება მაღლალი ხარისხით, რაც გუ-ლისხმობს იმას, რომ მის მიერ გამოკვლეული უნდა ყოფილიყო საქ-მისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და აღნიშნულის საფუძველზე მიღებული უნდა ყოფილიყო შესაბამისი გადაწყვე-ტილება.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, კონკრეტული ობიექტების ამხანაგობის საერთო საკუთრებად მიჩნევა მათი მომეტებული მნიშვნელობით არის განპირობებული, რის გამო **ც** საერთო საკუთრება ამხანაგობის მეშვეობით მართვას მოითხოვს. შესაბამისად, განსახილველი საკითხის გადაწყვეტამდე არქიტექტურის სამსახურის მიერ შეფასებას საჭიროებდა დაგეგმილი სარეკონსტრუქციო სამუშაოების ხასიათი, მისი შესრულების არეალი და თანმდევი შედეგები. არქიტექტურის სამსახურს უნდა დაედგინა მისი გადაწყვეტილების შესრულება ხომ არ გამოიწვევდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისათვის ზიანის მიყენებას, შესაბამისად, უნდა შეეფასებინა დაგეგმილ სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობის წარდგენის საჭიროება. განსახილველ შემთხვევაში კი სახეზე არ გვაქვს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრების „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოხატული ნება სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები ადგენენ ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯრების საფუძველზე, დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ იყო გამოკვლეული. საკასაციო სასამართლო განმარტავს, იმისათვის, რომ შესრულდეს კანონის მოთხოვნა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს კანონშესაბამისი, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მნიშვნელოვანი და სავალდებულო ნინაპირობაა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, გაანალიზება, შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება ამ გარემოებათა შეფასების შედეგად, რათა თავიდან იქნეს აცილებული ადმინისტრაციული ორგანოს დაუსაბუთებელი დასკვნის გაკეთება, რაც მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს სათანადოდ არ განუხორციელებია.

ამასთან, კასატორი – სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური წარმოდგენილი სარჩელის დაკმაყოფილების გამოსარიცხად ასევე მიუთითებს სადაც აქტის აღმტურველ ხასიათზე და გამორიცხავს მოცემულ შემთხვევაში მისი ბათილად ცნობის შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში სა-

კასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ სახეზეა აღმჭურველი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება – განხორციელებულია სარეკონსტრუქციო სამუშაოები, თუმცა ამავდროულად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ დაინტერესებული პირის კანონიერი ნდობის არსებობა არ გამორიცხავს მისი ბათილად ცნობის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ შესაბამისი აქტით არსებითად დარღვეულია სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან მესამე პირების ინტერესი, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.4 მუხლის თანახმად, დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, აღმჭურველი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით მინიჭებული უფლების დაცვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს კანონიერი ნდობა. ხოლო აღმჭურველი აქტის ბათილად გამოცხადების საფუძველია მმართველობის კანონიერება, მმართველობის კანონიერების პრინციპი მოითხოვს კანონიერების აღდგენის მიზნით უკანონო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას. მმართველობის ორგანოს მიერ დაშვებული შეცდომის გამოსწორება და ამ მიზნით ადრესატისათვის აღმჭურველი გადაწყვეტილების გაუქმება საჭიროებს კანონიერებისა და კანონიერი ნდობის პრინციპების შეპირისპირების შედეგად თანაზომიერი გადაწყვეტილების მიღებას. კანონიერი ნდობა დაცვის ლირსია, უკეთუ დაინტერესებულმა მხარემ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება, განხორციელებული ღონისძიებებით დაინტერესებულმა მხარემ მიიღო სარგებელი და აქტის ბათილად გამოცხადებით მას მიადგება ზიანი. კანონიერი ნდობის დაცვა არ ხდება, უკეთუ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ არქიტექტურის სამსახურის აღმჭურველი აქტი ენინააღმდეგება ბმა „...“-ის ინტე-

რესეპს, სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა მოიცვა ბმა „...“-ის წევ-რების საერთო საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილი, შესაბა-მისად, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებ-რივი აქტები მართებულად იქნა სასამართლოს მიერ ბათილად ცნო-ბილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სა-სამართლო მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მე-რიისა და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტუ-რის სამსახურის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხ-ლის შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელა-ციონ სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 30 ივნისის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის საკასა-ციონ საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ად-მინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 30 ივნისის განჩინე-ბა;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლო-ოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 298 20 75
www.supremecourt.ge